დამოუკიდებელი და ზეპარტიული

ASAVALI.GE ASDAS.GE

ასავალ დასავალი

2021 წლის
15 - 21 ნოემბერი
N 47 1407
ფასი 3 ლარი
და 30 თეთრი

რუსული ბომბი გლდანის ციხეში

სასწრაფოდ ჩაუტარდეს პატიმარ სააკაშვილს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა!

4

შორს ბინძური და სისხლიანი ხელები ქართული პოლიციისაგან!

2-3

„სამართალი აღსრულდება ყველა იმ ჩინოვნიკს, რომელსაც ხელი ჩაუნერია!“

8

აგინე რუსეთს, უძახე ოკუპანტი, შენს ოპონენტებს რუსეთის მონები უწოდე, თავი დასავლური ორიენტაციის ერთგულ მიმდევრად და რუსეთის შეურიგებელ მტრად გამოაცხადე, მაგრამ საქმით ის აკეთე, რაც რუსეთის ინტერესებში შედის — აი, ის მარტივი და ბანალური სქემა, რითიც სააკაშვილი და მისი გუნდი მოქმედებდა და მოქმედებს დღემდე!

14-15

ვინ ესროლა ჟვანიას

ქართველო პოლიციელებო,

თქვენ უკან საქართველო და ქართველი ხალხი დგას!

რასაც ახლა ქართული პოლიცია აკეთებს, ეს სახელმწიფოსა და კანონის თავდადებული მსახურების მაგალითია! რასაც ბოლო დღეების განმავლობაში საპატრულო და კრიმინალური პოლიციის თანამშრომლები უძლებენ, ეს პროფესიული და სამოქალაქო გმირობის ნიმუშია!

დიახ, **ქართველი პოლიციელები** თავგაცხელებული ნაცსექტანტებისაგან წარმოუდგენელ შეურაცხყოფასა და დამცირებას იტანენ!

ქართველი პოლიციელები პოლიტიკური რევანშიზმით ამძუვნებულ პროვოკატორთა გამოხტომებს ითმენენ!

ქართველი პოლიციელები ტიტანურ ნებისყოფას ამჟღავნებენ და კანონის სრული დაცვით, ძალის გადამეტების გარეშე უმკლავდებიან ქვეყანაში დესტაბილიზაციისა და ქაოსის გამოწვევის მსურველთა დესტრუქციულ, სამართლებრივი ჩარჩოებიდან გასულ ქმედებებს, რომლებსაც სახელმწიფო დაწესებულებების ბლოკირებისა და სახელმწიფო ინსტიტუტების საქმიანობის პარალიზების მცდელობა ჰქვია!

ქართველი პოლიციელები 24 საათის განმავლობაში ქუჩაში დგანან და მათთვის აღარ არსებობს დასვენება, ძილი, ოჯახი, შვილების მოფერება, ხანდაზმული მშობლების მოვლა თუ შეყვარებულთან პაემანი, რადგან საქართველოში სამოქალაქო მშვიდობა და სახელმწიფოებრივი სტაბილურობა ყოველდღიურად და ყოველწუთიერად გახდა დასაცავი პოლიტიკური ჭინკებისაგან, რომელთათვისაც არც სახელმწიფო არსებობს, არც — ერი და არც — სამშობლო, რადგან მათი სახელმწიფოც, ერიცა და სამშობლოც სისხლის სამართლის დამნაშავე, აწ უკვე გლდანის ციხის სამკურნალო და-

ქართველ პოლიციელებს, რომლებიც საქართველოსა და ქართველ ხალხს უბოროტესი რევანშისტული ძალის შურისძიებისაგან ასე გმირულად და თავდადებით იცავენ, სახელმწიფომ ხელფასებიც უნდა გაუზარდოს და სხვა სოციალური დივიდენდებიც!

კვირგვინოსნები

ირაკლი ღარიბაშვილი
საქართველოს პრემიერ-მინისტრი

მედიკამენტების ფასები არის ძალიან გაზრდილი და ჩვენ ვართ ვალდებულები, ამაზე მოვახდინოთ რეაგირება, თანაც დროულად. უკვე წლებია, ასე განვითარდა ეს პროცესი და საჭიროებს სწორად ჩარევას ჩვენი მხრიდან. **რეალურად, ჩვენ უნდა გავაკეთოთ ისე, როგორც არის ევროპის ქვეყნებში.** ახალს არაფერს არ ვიგონებთ, ეს საკითხი უნდა დარეგულირდეს, იმიტომ, რომ ჩვენს მოსახლეობას ძალიან აწუხებს.

„ინტერპრესნიუსი“

სოზარ სუბარი
პარლამენტის თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარე

ვინმე თუ ღელავს, ვაითუ **სააკაშვილი** ხელისუფლებაში დაბრუნდეს და რა გვეშველებაო, დავამშვიდებ და ვეტყვი — ეს არ მოხდება. თუ ვინმე ოცნებობს, რომ **სააკაშვილი** ხელისუფლებაში დაბრუნდება, ამ განზრახვას ცივი წყალი უნდა გადავასხათ და ვუთხრათ, რომ ეს არ მოხდება არასდროს — არც იმ ექვს წელში, რომელიც ციხეში უნდა გაატაროს და არც მას შემდეგ, როცა შეიძლება, იყოს თავისუფალი ან არ იყოს, იმის მიხედვით, როგორ დამთავრდება სასამართლო პროცესები.

მიხეილ სააკაშვილის პერიოდში მოქმედი კანონის ჰუმანიზაცია რომ არა, მას 34 წელი მოუწევდა ციხეში ჯდომა — მადლობა თქვას, რომ კარგ პირობებშია და ფაფები არ აკლია.

„პირველი არხი“

ირაკლი კობახიძე
„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე

ყველა ძალიან მალე შეეგუება, **რომ სააკაშვილს** ბოლომდე მოუწევს სასჯელის მოხდა.

„იმედინიუსი“

რაფი ბრეგაძე
ოსტატობის მინისტრი

რა არის წამება?! **სააკაშვილს** მივეცით ტელევიზორი, მაცივარი, მის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე დღე და ღამე ზრუნავენ, უკვე ჰყავდა 130-მდე ვიზიტორი. ჩვენ ვართ ის ხალხი, რომელმაც ციხეებში წამება და არაადამიანური მოპყრობა დაასრულა.

„საქართველოს რესპუბლიკა“

წესებულების ბინადარი საკაშვილია!

სააკაშვილის რეჟიმის დრო რომ იყოს და ქართული პოლიცია კვლავ მერაბიშვილის მიერ შექმნილ ქართულ გესტაპოს ჰგავდეს, ადვილი წარმოსადგენია, რა მოუვიდოდათ ნაცსექტანტებს, რომლებიც სახელმწიფო უწყებების ბლოკირებას გაბედავდნენ და სამართალდამცავებს უკანასკნელი სიტყვებით მიაყენებდნენ შეურაცხყოფას! ჰო, ასეთებს მერაბიშვილის პოლიტიკური პოლიცია ჯერ ადგილზევე დაუხეთქავდა თავებს, მერე წინასწარი დაკავების იზოლატორში მოუწყობდა ჯოჯოხეთს და ბოლოს, ადეიშვილის ჯიბის სასამართლოს მეშვეობით, გლდანის ციხის მრავალწლიან საგზურსაც გამოუწერდა დიდი ოდენობით ნარკოტიკების შეძენა-შენახვის, იარაღის უკანონო ტარების ან სულაც რუსეთის ჯაშუშობისა და სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის მუხლით!

თუმცა, დღეს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი **მეგვამე მერაბიშვილი** კი არა, **ვახტანგ გომელაურია,** საპატრულო პოლიციას დოქსოპულო **გოგა გრიგალაშვილი** კი არა, **ვაჟა სირაძე** ხელმძღვანელობს, კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის უფროსის თანამდებობას **ირაკლი ქადაგიძე** კი არა, **მამუკა ჯელიძე** იკავებს და მისი მოადგილე **ირაკლი ფირცხალავა** კი არა, **თემურ კუპატაძეა,** რის გამოც საპატრულო და კრიმინალური პოლიციის თანამშრომლები ნაცპროვოკატორებს ექცევიან არა ისე, როგორც ისინი იმსახურებენ, არამედ ისე, როგორც კანონი ითვალისწინებს.

ნაცსექტანტების ტაქტიკა, რომელიც ქართველი პოლიციელების შეურაცხყოფას, დამცირებას, მორალურ და ფსიქოლოგიურ ტერორს, მათ ფიზიკურ და ემოციურ გამოფიტვას ითვალისწინებს, ერთ სტრატეგიულ მიზანს ემსახურება — **ძალოვანი სტრუქტურები ჩამოიშალოს და ვეღარ შეძლონ სამოქალაქო და სახელმწიფო წესრიგის დაცვა, რაც ავტომატურად ნიშნავს სახელმწიფოს ჩამოშლას და იმის გამეორებას, რაც სააკაშვილმა საქართველოში 2003 წლის ნოემბერში გააკეთა!**

მოკლედ, რაც ბოლო დღეების განმავლობაში თბილისის ქუჩებში ხდება და რასაც მთელი საქართველო ტელეეკრანზე ძარღვებდაჭიმული ადევნებს თვალს, ნამდვილი ნერვების ომია, გამძლეობისა და ნებისყოფის ფიცხელი მარათონი, რომელშიც ერთმანეთს სიკეთე

ჯალათი სააკაშვილის უბიდან გამომძვრალო ქვეწარმავლებო, შორს ბინძური და სისხლიანი ხელები ქართული პოლიციისაგან!

დღეს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი **მეგვამე მერაბიშვილი** კი არა, **ვახტანგ გომელაურია,** საპატრულო პოლიციას დოქსოპულო **გოგა გრიგალაშვილი** კი არა, **ვაჟა სირაძე** ხელმძღვანელობს, კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის უფროსის თანამდებობას **ირაკლი ქადაგიძე** კი არა, **მამუკა ჯელიძე** იკავებს და მისი მოადგილე **ირაკლი ფირცხალავა** კი არა, **თემურ კუპატაძეა,** რის გამოც საპატრულო და კრიმინალური პოლიციის თანამშრომლები ნაცპროვოკატორებს ექცევიან არა ისე, როგორც ისინი იმსახურებენ, არამედ ისე, როგორც კანონი ითვალისწინებს!

და ბოროტება, სინათლე და სიბნელე, ღირსება და უღირსობა, სამშობლო და უსამშობლოობა ეტოქებიან!

ამ ომის წინა ხაზზე, მოცემულ მომენტში, ქართველი პოლიციელები დგანან, რომლებსაც ახლა ქართველი საზოგადოებისა და ქართული სახელმწიფოს განსაკუთრებული მხარდაჭერა სჭირდებათ!

მხარდაჭერა — მორალური!

მხარდაჭერა — ფსიქოლოგიური!

მხარდაჭერა — თუ გნებავთ — მატერიალურიც!

დიახ, რატომაც არა? ქართველ პოლიციელებს, რომლებიც საქართველოსა და ქართველ ხალხს უბოროტესი რევანშისტული ძალის შურისძიებისაგან ასე გმირულად და თავდადებით იცავენ, სახელმწიფომ ხელფასებიც უნდა გაუზარდოს და სხვა სოციალური დივიდენდებიც!

საქართველოს მთავრობამ უკვე გამოაცხადა, რომ 2022 წლის 1 იანვრიდან საჯარო მოხელეებს ხელფასები ეტაპობრივად გაეზრდებათ, რაც, რა თქმა უნდა, ძალიან კარგია, მაგრამ **მომავალი წლის ბიუჯეტში ცალკე და საგანგებოდ უნდა იქნას გათვალისწინებული ანაზღაურების გაზრდა სასჯელაღსრულებისა და კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებისათვის, რომლებიც დღეს ყველა ტიპის საჯარო მოხელეზე უფრო მძიმე და შრომატევად საქმეს ასრულებენ!**

სრულიადაც არ იქნება გადაჭარბებული, თუ ვიტყვით, რომ

პოლიციელი დღეს მართლაც გმირია და ქართველი საზოგადოება ვალდებულია, საკუთარი გმირები ქართული სახელმწიფოს სამტროდ აღძრული ნაცხროვის ბინძური ხელებისგანაც დაიცვას და ბინძური ენისგანაც!

თავცხელმა ნაცსექტანტებმა უნდა იცოდნენ, რომ პოლიციელების შეურაცხყოფით ქართველ ხალხს შეურაცხყოფენ და ამ შეურაცხყოფაზე პასუხსაც ქართველი ხალხისაგან მიიღებენ, ოღონდ, ნუ ეგონებათ, რომ ქართველი ხალხი მათ მიმართ ისეთივე ლმობიერი იქნება, როგორიც ახლა ქართული პოლიცია და ქართული სახელმწიფოა!

ქართველი ხალხის განაჩენი, მათ შორის, გმირი ქართველი პოლიციელების სახელითაც, ნაცხროვის მიმართ სასტიკი და ულმობელი იქნება!

ასე რომ, ჯალათი სააკაშვილის უბიდან გამომძვრალო ქვეწარმავლებო, შორს თქვენი ბინძური და სისხლიანი ხელები ქართული პოლიციისაგან, ანუ ქართული სახელმწიფოსაგან, ანუ საქართველოსა და ქართველი ხალხისაგან!

ჯაბა ხუბუა

კვირგვინოსნები

მამუკა მდინარაძე
ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე

არცერთ აგენტს იმდენი საქმე არ გაუკეთებია **პუტინისთვის** რამდენიც გააკეთა **სააკაშვილმა** და ნაცმოძრაობამ. საქართველო აუცილებლად გახდება ევროპული ოჯახის სრულფასოვანი წევრი და ამაში რუსული საქმის მკეთებელი ფსევდომედასავლეთეები ხელს ვერ შეგვიშლიან!

„რეზონანსი“

გიგლა ბარამიძე
პოლიტკოსი

ხალხის ნაწილი **კერპთაყვანისმცემელი,** ანუ **მიშადიდებელი** გახდა. **ბრმამადიდებლობისკენ** მისწრაფება ძალიან ცუდია. დღეს მიშა ჰყავთ კერპად, ხვალ სილიბისტრო ეყოლებათ.

„ახალი თაობა“

ვიოლა ფონ კრამონი
ევროპარლამენტარი

საჭიროა უფრო კონსტრუქციული ძალების მოძებნა პარლამენტში, მათი მანდატის გამოყენება, მარტო პროტესტი და გარეთ ყვირილი, ჩემი აზრით, არაფრის მომტანი არ არის.

„პირველი არხი“

გიორგი არველაძე
ეკონომიკის ყოფილი მინისტრი

დასავლეთის ელჩები და დიპლომატები თანაბრად კორუმპირებულები არიან და **ბიძინასგან** იღებენ მაყუთს — ძირითადად, ბიტკოინებით.

„იმედინიუსი“

ალექსანდრე ლუკაშენკო
ბელარუსის პრეზიდენტი

ჩვენ ვათბობთ ევროპას, ისინი კი ჩვენ კვლავ გვემუქრებიან, რომ საზღვარს ჩაკეტავენ. **და თუ ჩვენ ბუნებრივ აირს გადავუკეტავთ?** ამიტომაც პოლონეთის ხელმძღვანელობას, ლიეტუველებსა და სხვა უთავო ადამიანებს ვურჩევდი, რომ, სანამ განცხადებით გამოვიდოდნენ, დაფიქრდნენ.

„რეზონანსი“

სამარცხვინოა სააკაშვილი და არა – მასზე გავრცელებული კადრები!

სამარცხვინოა სააკაშვილი და არა — მასზე გავრცელებული კადრები!

სამარცხვინოა სააკაშვილის ქცევა, რომელიც იმ კადრებზეა აღბეჭდილი!

სამარცხვინოა, როცა კადრებში ხედავ, როგორ შეექცევა ხბოს პაშტეტს და ფაფებს პატიმარი სააკაშვილი და თან გიმტკიცებს — ვშიმშილობო!

სამარცხვინოა სააკაშვილისვე გადაღებული კადრები საკუთარ თავზე, სადაც ცდილობს, უკანონოდ შემოპარვა მოტაცებად შეასაღოს ხალხს, რომლის პრეზიდენტიც იყო 9 წელი!

სამარცხვინოა თვითონ ფორმა შემოპარვის, რომელიც მან აირჩია საზღვრის უკანონოდ გადმოსაკვეთად, და არა — კადრები, რომელიც ამას ასახავს!

სამარცხვინოა, როცა ზრდასრული კაცი დორბლებს ხელით იწმენდს და ცხვირს მკლავებით. სამარცხვინოა, როცა ის ჰალსტუხს ღეჭავს შეშინებული!

სამარცხვინო და ამაზრზენი საყურებელია კადრები, რომლებშიც შეშინებული მთავარსარდალი და პრეზიდენტი სააკაშვილი მიწაზე ფორთხავს, ხოლო გმირი ჯარისკაცები რუსეთს ეომებიან ჩვენი მიწა-წყლის დასაცავად!

სამარცხვინოა ქართული მიწის ქვა-ღორღად მოხსენიება იმ პირისგან, რომლის უგუნურმა თუ უნამუსო პოლიტიკამ ის მტერს ჩააბარა!

სამარცხვინოა, წაგებული ომი მოგებულად გამოაცხადო, მერე ხალხი რუსთაველზე აზეიმო და დაჭრილი და დახოცილი ჯარისკაცები მტერს შეატოვო უპატრონოდ!

დიახ, **სამარცხვინოა საქართველოს ისტორიის ეს ფურცელი** არა იმიტომ, რომ კადრებზეა აღბეჭდილი, არამედ იმიტომ, რომ ეს არჩევანი გააკეთა ქართველმა ხალხმა, რომლის ნაწილს დღესაც უჭირს გააზრება, როგორია **სამარცხვინო** — კადრები თუ კადრებზე აღბეჭდილი სააკაშვილი!



სასწრაფოდ ჩაუტარდეს პატიმარ სააკაშვილს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა!

პატიმარი სააკაშვილი რომ არ შიმშილობს, ეს უკვე კონკრეტული ვიდეომტკიცებულებებით, კერძოდ, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ გავრცელებული კადრებით არის დადასტურებული, რომლებშიც ნათლად ჩანს, რომ ნაცბელადი რუსთავის ციხეში ფაფებს შეექცევა, გლდანის ციხის სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანისას კი ათამდე ბადრაგს ეჯაჯგურება, წინააღმდეგობას უწევს და არამხოლოდ სიტყვიერ, არამედ ფიზიკურ შეურაცხყოფასაც აყენებს.

მოკლედ, პატიმარ სააკაშვილს ზედ ეტყობა, რომ არათუ 40 და 45, არამედ 4-5 დღეც არ უშიმშილია, მაგრამ ეს ოფიციალურადაც რომ დადასტურდეს და მთელმა მსოფლიომ ნაცბელადის სამარცხვინო სიმულაციის შესახებ დოკუმენტური მტკიცებულება იხილოს, ერთი მარტივი პროცედურაა საჭირო — პატიმარ სააკაშვილს, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის სკრუპულოზური შემოწმების მიზნით, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა უნდა ჩაუტარდეს!

ბევრ რამესთან ერთად, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზამ ისიც უნდა დაადგინოს, რამდენად შეესაბამება სიმართლეს არაოფიციალური ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სააკაშვილმა ამა წლის 23 სექტემბერს, საქართველოში ჩამოპარვამდე ერთი თვით ადრე, ჰოლანდიაში ბარიატრიული ოპერაცია გაიკეთა, ანუ კუჭი დაიპატარავა?

მოგეხსენებათ, **სააკაშვილის მიერ ჰოლანდიაში კუჭის დაპატარავების თაობაზე კულუარული ინფორმაცია მაშინათვე გავრცელდა, როგორც კი ნაცბელადმა ციხეში შიმშილობა გამოაცხადა, ხოლო შემდეგ, როცა საზოგადოებამ საკუთარი თვალით იხილა ვიდეოები, თუ როგორ ჭამს პატიმარი სააკაშვილი ციხეში ფაფასა და ხბოს ღვიძლის პიურეს, ამ ინფორმაციამ კიდევ უფრო მეტი დამაჯერებლობა შეიძინა.**

ის კი არა, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის წევრმა, ერთ-ერთმა ყველაზე ავტორიტეტიანმა მღვდელმთავარმა, ქუთათელ-გაენათელმა მიტროპოლიტმა **იოანე ბამრძელაშვილმა** რამდენიმე დღის წინათ სააკაშვილის შესახებ ძალზე მკაფიოდ, მტკიცებითი ფორმით განაცხადა:

„ვიცით, რომ შიმშილობას ადგილი არ ჰქონია, გადატანილი ოპერაციის შემდეგ დამზადავ რეჟიმში ჰქონდა ქვეყნებს, ეს არც მარხვაა და არც შიმშილობა, ეს მისი ჯანმრთელობისთვის იყო განკუთვნილი. ცნობილია უკვე საექიმო დასკვნები, კუჭის ოპერაცია გაიკეთა და არ შეუძლია საკვების დიდი რაოდენობით მიღება. ოპერაცია გაიკეთა დასავლეთში, ამიტომ დასავლეთმა იცის ეს და ეთანხმება. რომ ეს არ იყო არც შიმშილი“.

მეუფე იოანე, პოპულიზმით შეპყრობილი ზოგიერთი მღვდელმთავრისაგან განსხვავებით, სიტყვებს ჰაერში ტყუილად არასოდეს ისვრის და რაკი ასე გადაჭრით განაცხადა — სააკაშვილი კი არ შიმშილობს, არამედ კუჭის ოპერაციის შემდგომ მკურნალობას გადისო, ე.ი. ამის თაობაზე სარწმუნო ინფორმაციას ფლობს.

თუმცა, ერთია განცხადება, რომელსაც თუნდაც ავტორიტეტიანი და სანდო მღვდელმთავარი აკეთებს და მეორეა ოფიციალური დოკუმენტი, რომლის დადებაც სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზას შეუძლია.

დიახ, **სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზამ ზუსტად უნდა დაადგინოს, ფაფები, პიურეები და სხვა საკვები დანამატები, რომლებსაც სააკაშვილი რუსთავის ციხეში იღებდა, იმ დიეტის ნაწილი ხომ არ იყო, პაციენტებს ბარიატრიული ოპერაციის, ანუ კუჭის დაპატარავების შემდეგ რომ უნიშნავენ?**

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა იმასაც დაადგენს, ხომ არ აღენიშნება პატიმარ სააკაშვილს მუცლის არეში ნაწიბურები, ხომ არ წარმოადგენენ ისინი ქირურგიული ოპერაციის ნაკვალევს და თუ ასეა, მაშინ როგორია მათი ხანდაზმულობა — ნაწიბურები ერთი თვის წინანდელია, ერთი წლის წინანდელი თუ — უფრო ძველი ან უფრო ახალი?

2021 წლის 1 ოქტომბერს, როცა სააკაშვილი დააპატიმრეს და რუსთავის ციხეში გადაიყვანეს, იქ მას სამედიცინო შემოწმებას აუცილებლად ჩაუტარებდნენ და მათ შორის შიშველი სხეულის ვიზუალურ დათვალიერებასაც მოახდენდნენ, რადგან ეს კანონით არის სავალდებულო. შესაბამისად, **პენიტენციური სამსახურის მიერ შედგენილ სამედიცინო დოკუმენტაციაში აუცილებლად იქნება დაფიქსირებული, აღენიშნებოდა თუ არა სააკაშვილს მუცელზე ნაწიბურები, მაგრამ, ჯერ ერთი, პენიტენციური სამსახური, პატიმრის პერსონალური მონაცემების დაცვის ვალდებულების გამო, ამ ინფორმაციას ვერ გაასაჯაროებს და, მეორეც, სპეციალური ექსპერტიზა სჭირდება იმის დადგენას, ნაწიბურები ქირურგიული ოპერაციის შედეგია თუ სხვა სახის ზემოქმედების გამო გაჩნდა?**

ერთი სიტყვით, სააკაშვილისათვის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება ყველაფერს ნათელს მოჰფენს და არამარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც ყველა მიიღებს დოკუმენტურად, საექსპერტო დასკვნით გამყარებულ უტყუარ პასუხს კითხვაზე —

სააკაშვილი ზებუნებრივი ძალებით აღჭურვილი კიბორგია, რომელსაც 40-დღიანი შიმშილობის შემდეგ ორი სავსე პარკით კიბეზე ჩარბენა და ბადრაგებთან ჭიდაობა შეუძლია თუ, უბრალოდ, ნამუსგარეცხილი, უსირცხვილო თაღლითია, რომელიც პოსტოპერაციულ დიეტას

საპროტესტო შიმშილობად ასაღებს?

ასე და ამრიგად, საქართველოს პროკურატურამ სასამართლოს წინაშე დაუყოვნებლივ უნდა დააყენოს შუამდგომლობა მსჯავრდებული და ბრალდებული სააკაშვილისათვის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების შესახებ!

სხვათაშორის, ეს ერთგვარი ტესტიც იქნება — **თუ სააკაშვილი და მისი უფლებადამცველები სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის გავლაზე უარს იტყვიან, ცხადი გახდება, რომ რაღაცის გამოაშკარავების ეშინიათ!**

თუ სააკაშვილი და მისი უფლებადამცველები განაცხადებენ — სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროს არ ვენდობითო და ამ საბაბით შეეცდებიან, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა თავიდან აირიდონ, **იუსტიციის სამინისტრო და პროკურატურა იმისთვისაც მზად უნდა იყვნენ, რომ პატიმარ სააკაშვილისათვის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩასატარებლად უცხოელი სპეციალისტები მოიწვიონ.**

მოკლედ, სასწრაფოდ ჩაუტარდეს პატიმარ სააკაშვილს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა და ოფიციალურად დადგინდეს, ნაცსექტის ბელადს მორალთან, ზნეობასთან, ღირსებასთან და სინდის-ნამუსთან ერთად კუჭიც ხომ არა აქვს დაპატარავებული?

სავალალოა, მაგრამ ფაქტია, რომ ამ ქვეყნის სტაბილურობა და სამომავლო პერსპექტივა ახლა სწორედ სააკაშვილის კუჭის ზომაზეა დამოკიდებული!

ვაი, კუჭისაგან ჰქვია იმ მდგომარეობას, რომელშიც ახლა საქართველო იმყოფება!

ჯაბა ხუბუა



ირინა ბათიაშვილი
ირაკლი ბათიაშვილის მეუღლე

იცით, რა არის შიმშილობა? — მე გეტყვით: **ირაკლი ბათიაშვილის** შიმშილობის 16 დღე — არანაირი საკვები, არანაირი საკვების დანამატები, არანაირი წვენები, არანაირი გადასხმები, არანაირი ვიტამინები, არანაირი მინერალური წყალი, ბორჯომსაც კი არ სვამდა! როცა უწმინდესი და უნეტარესი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი **ილია მეორე** შევიდა 4 კვადრატულ საკანში, ისეთი დასუსტებული იყო მამაჩემი, რომ ფეხზე ძლივს იდგა.

„აიპრესი“

გიგლა ბაგულაშვილი
სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოფილი მინისტრი

მას შემდეგ, რაც შენ (მიხეილ სააკაშვილი) დაბრუნდი, ბევრმა ჩინიანმა თუ უჩინო ნაციონალმა ნიღაბი ჩამოიხსნა და გულის წადილი გაამხილა.

პინოჩეტსა და ფრანკოს მისტირიან, პოლიტიკურ ოპონენტებს სახლებში მივარდნით, ანგარიშსწორებითა და ძაღლებივით ჩახოცვით ემუქრებიან, შვილებს აბულინგებენ. განა მიკვირს ეს სიტყვები შენი მომხრეებისგან?! ან განა ფარისევლობა მიკვირს?! მადლობა უნდა გადაგიხადო, მიხეილ, ამ ლუსტრაციისათვის. შინ და გარეთ ყველას უნდა დაანახოს, აქვს თუ არა ამ ხელისუფლებას მორალური უპირატესობა თქვენნაირ რევანშისტებზე.

„აიპრესი“

დათო მაღრაძე
პოეტი

ზოგიერთ პოლიტიკურად აღგზნებულ სასულიერო პირს შევახსენებ, ქრისტე ღმერთს იესო ერქვა და არა — მიშა. „მშვიდობიანი რევოლუციისკენ“ მოწოდება „გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკას“ მაგონებს.

„კვირის პალიტრა“

გია ვოლსკი
პარლამენტარი

ნაციონალური მოძრაობის დროს გლდანის ციხე საკონცენტრაციო ბანაკად იყო გადაქცეული, სიტყვიერი შეურაცხყოფა იმ დანაშაულების მემილიონედია, რაც ციხეებში ნაცმოძრაობამ ჩაიდინა.

„პირველი არხი“

ვახტანგ ხარჩილავა

რუსული ბომბი გლდანის ციხეში

გლდანის მე-18 დაწესებულების სამკურნალო სექტორში რუსული ბომბი დევს, რომელიც უკრაინიდან შემოგვიგზავნეს რუსებმა ცომაიას ტრაილერით.

— მაგას რომ რაიმე დაემართოს, გიუმრის სამხედრო ბაზიდან რუსული ტანკები მყისვე აქ გაჩნდებიანო, — გაგვაფრთხილა **ნაცების მარგალიტმა ბუბა კიკაბიძემ.**

ვინ ვინ და **რუსების საყვარელმა „ჩიტო-გვრიტომ“** დანამდვილებით იცის, რომ ბომბი, რომელიც გლდანის ციხეში დევს, რუსული წარმოებისაა.

ეს ამბავი პატივცემულმა ბუბამ მაშინაც მშვენივრად იცოდა, როცა ნაცმოძრაობის საარჩევნო პრეზენტაციისადმი მიძღვნილი მიტინგი რუსულ ენაზე შესრულებული „თბილისოთი“ გახსნა, რითიც ნაცმოძრაობამ ძმობისა და მეგობრობის მესიჯი გაუგზავნა მოსკოვს.

— ფონოგრამა აგვერიაო, — თავს იმართლებდნენ ნაცები.

რაღაც ხშირ-ხშირად გერევათ თქვენ ფონოგრამა, ნაცებო, და არა მგონია, ეს შემთხვევით ხდებოდეს!!!

ფონოგრამა აერია ამასწინათ **ანზორ მელიასაც,** რომელიც ზუგდიდში, ერთ-ერთ მიტინგზე ღიად და დაუფარავად გამოუტყდა რუსებს სიყვარულში, ხოლო ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში, ასევე ღიად და დაუფარავად, ქართველები დაადანაშაულა.

ფონოგრამა ჰქონდა არეული **მიხეილ სააკაშვილსაც,** რომელიც 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ და არჩევნების შემდეგაც მწვავედ აკრიტიკებდა დასავლეთს და ევროპარლამენტარების ნაწილს მექრთამეობასა და აგენტურულ საქმიანობაში სდებდა ბრალს?

ალბათ, ისიც გემახსოვრებათ, ნაცმოძრაობამ ფეხებზე რომ დაიკიდა ევროსაბჭოს პრეზიდენტი შარლ მიშელი და დიდი დავიდარაბით და წვალებით მიღებულ „მიშელის დოკუმენტს“ ხელი არ მოაწერა.

ნაცმოძრაობის გებელსის **ნიკა გვარამიას** გამოხტომებიც გემახსოვრებათ, ბაზრის დედაკაცივით რომ ლანძღავდა ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის, აშშ-ის ელჩს კელი დეგნანს, კარლ ჰარცელს და სხვებს.

სააკაშვილი და ნაცმოძრაობა დიდი ხანია, საიდუმლო სიგნალებს უგზავნიან მოსკოვს: ჩვენ თქვენი ვართ, ჩვენ თქვენი მეგობრები ვართ და მზად ვართ, ეს საქმითაც დავამტკიცოთო!

ამტკიცებენ კიდევაც: რასაც ნაცმოძრაობა აკეთებს, თავიდან ბოლომდე რუსეთის წისქვილზე ასხამს წყალს.

უფრო მეტიც, რაც ნაცმოძრაობას ხელისუფლებაში ყოფნის ცხრა წლის განმავლობაში უკეთებია, ყველაფერი რუსეთის სახეიროდ და სასარგებლოდ კეთდებოდა.

თუ თვალს გავადევნებთ ნაცმოძრაობის ხელისუფლებაში ყოფნის ცხრა წელს, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს რუსეთი ნაცმოძრაობის ხელით უსწორდებოდა ურჩ და გაუტეხელ ქართველ ხალხს.

ნაცმოძრაობა რუსეთის საეგზეკუციო-სადამსჯელო დესანტივით იქცეოდა და ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ დაებეჩავებინა, დაეკნინებინა, დაესუსტებინა ქართველი ხალხი.

დიდი შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ 2008 წლის აგვისტოს ბლიცომით დაგვირგვინდა, რომელიც სხვა არაფერი იყო, თუ არა **რუსეთისა და ნაცმოძრაობის ლიდერშიფის ერთობლივი სპეცოპერაცია,** რომ ე.წ. სეპარატისტული რეგიონები საბოლოოდ ჩამოშორებოდა საქართველოს.

ხშირად სვამენ კითხვას: **ვინ დაიწყო 2008 წლის აგვისტოს ომი, იმაზე კი არავინ ამახვილებს ყურადღებას, რა მოსამზადებელი სამუშაოები ჩაატარა ნაცმოძრაობამ, კერძოდ კი სააკაშვილმა, ამ ომის დაწყებამდე.**

სააკაშვილმა კოდორის ხეობა ზემო აფხაზეთად გამოაცხადა, აღადგინა ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, შიგ შეტენა ახალგორი, რომელიც ჯერ კიდევ გუმბარიძის დროს გამოეყო ამ ოლქს; დაადგინა ახალი საზღვრები, ყოველივე ეს საქართველოს პარლამენტს დაამტკიცებინა, რითიც ორივე სეპარატისტული რეგიონი „კანონიერად“ „აღადგინა“ თავის ადმინისტრაციულ საზღვრებში და ასე იურიდიულად, „ნოტარიალურად“ დამოწმებული და ბეჭედდასმული დოკუმენტებით გაუმაგრა და გაუმყარა საფუძვლები იმ ორ სეპარატისტულ რეგიონს, რომ მომავალში მათი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ცნობა გაადვილებულიყო.

ის, რაზეც ახლა ზერელედ და ზედაპირულად ვისაუბრე, აშკარად შეიცავს საკუთარი სახელმწიფოს ღალატის გამამაგნებელ ფაქტებს, თუმცა, ამ ფაქტებზე სერიოზული კვლევა და გამოძიება ქართული სახელმწიფოს მხრიდან ჯერჯერობით არ ჩატარებულა და არც სააკაშვილისთვის მოუთხოვია პასუხი ვინმეს აგვისტოს ომში ელვისებური დამარცხებისთვის, რასაც ასობით ქართველი ჯარისკაცის, მშვიდობიანი მოქალაქეების დაღუპვა, სამხედრო და სამოქალაქო ინფრასტრუქტურის განადგურება და, რაც მთავარია, საქართველოს ტერიტორიების 20 პროცენტის დაკარგვა მოჰყვა.

სააკაშვილს 9 მილიონის არამიზნობრივად ხარჯვას ედავებიან, მაგრამ არავინ ედავება იმ უზარმაზარი ზიანის და ზარალის შესახებ, რომელიც მან ქართულ სახელმწიფოს მიაყენა და რომელიც, ალბათ, 9 მილიონს ასჯერ აჭარბებს. ღიად, სააკაშვილს არც იმას ეკითხება ვინმე, რაბომ, რა მოტივით გასხვისდა ჩალის ფასად

გაგრძელება მე-7 გვერდზე

თუ თვალს გავადევნებთ ნაცმოძრაობის ხელისუფლებაში ყოფნის ცხრა წელს, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს რუსეთი ნაცმოძრაობის ხელით უსწორდებოდა ურჩ და გაუტეხელ ქართველ ხალხს!

დავით ბაქრაძე
დამოუკიდებელი პარლამენტარი

ხელისუფლებამ **სააკაშვილი** გადაიყვანოს სამოქალაქო კლინიკაში, ოპოზიციამ კი აიღოს ვალდებულება, რომ ამ საავადმყოფოსთან არანაირი ტიპის საპროტესტო აქტივობა არ დაიგეგმება.

„პირველი არხი“

შალვა პაპუაშვილი
პარლამენტარი

სიყალბე — ალბათ, ეს სიტყვა ყველაზე კარგად აღწერს ნაციონალურ მოძრაობას და მის პოლიტიკურ და ინტელექტუალურ ნაღებს.

„საქართველოს რესპუბლიკა“

ომარ ჩრდილელი
ყოფილი პარლამენტარი

მერამდენედ ვრწმუნდები, სწორი გადაწყვეტილება მივიღე თავის დროზე და არ მივეცი ხმა ქალბატონი **ლომჯარიას** არჩევას.

„ალია“

ჯუმბერ ქირვალიძე
პოლიტოლოგი

„ქოცებისა“ და ნაცების შეხმატკბილებული პოლიტიკური ჟღურტული უნდა შევაჩეროთ, თორემ ქვეყანაში შეუქცევადი პროცესები დაიწყება როგორც პოლიტიკური, ისე სოციალური თვალსაზრისით!

„ალია“

ხათუნა ლაგაზიძე
ანალიტიკოსი

სააკაშვილს რამე რომ დაემართოს, ამას რუსეთი საკუთარ გამარჯვებად მიითვლის და ეს იქნება დასავლეთის კიდევ ერთი დიდი მარცხი, ხმა რომ არ ამოიღო, თორემ მერე ნეკროლოგები საკუთარ თავს უწეროს.

„კვირის პალიტრა“

ლევან გოგიჩაიშვილი
ყოფილი პარლამენტარი

მთელი ქვეყანა ნაცმოძრაობის მხარდამჭერი რომ გახდეს, მე არასოდეს დავუჭერ მხარს.

„კვირის პალიტრა“

გოგა ორდენიძის შვილებმა უნდა იცოდნენ, რომ მათი მამა ღირსეული ოფიცერია!

გოგა ორდენიძე და პენიტენციური სისტემის ყველა ოფიცერი, რომელმაც ციხის საავადმყოფოში სააკაშვილის გადაყვანის დროს პროფესიული და ადამიანური ღირსების საუკეთესო მაგალითი აჩვენა, ქართველი საზოგადოებისგანაც და ქართული სახელმწიფოსგანაც მადლობას იმსახურებს!

მიეცით ორდენი ორდენიძეს!

ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულების დირექტორის მოადგილის გოგა ორდენიძის სახელი და გვარი მთელმა საქართველომ მას შემდეგ გაიგო, რაც ნაცსექტამ და მისმა უბინძურესმა პროპაგანდისტულმა მანქანამ იგი ჯალათად, მკვლელად, მწამებლად, ჩიკატილოდ და ჯეკი მფატრავად გამოაცხადა.

ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულების დირექტორის მოადგილეს გოგა ორდენიძეს ორდენი ეკუთვნის იმაში, რომ მოითმინა და აიტანა წარმოუდგენელი შეურაცხყოფა, რომელიც მას და მის თანამშრომლებს პატიმარმა სააკაშვილმა მიაყენა!

მამა ჰყავთ და ორდენიძის შვილების თანაკლასელებსაც უნდა გავაგებინოთ, რომ მათი მეგობრის მამა ჯალათიაო!

სინამდვილეში, ორდენიძის მთელი „დანაშაული“, მისი „ჯალათობა“ და „სისხლისმსმელობა“ იმაში გამოიხატება, რომ მე-18 სამკურნალო დაწესებულებაში შესახლებულ სააკაშვილს, ვითომ უთხრა — **„ჩიტო, ხომ ჩაგიგდეთ ხელში“!**

დიახ, პატიმარმა სააკაშვილმა, თავისი კარიკატურული გებელსის — **ნიკა გვარამიას** პირით საზოგადოებას ამცნო — როცა გლდანის მე-18 დაწესებულებაში შემოყვანეს, ერთ-ერთმა თანამშრომელმა, სავარაუდოდ, ხელმძღვანელმა მუშაკმა, მითხრა — **ჩიტო, ხომ ჩაგიგდეთ ხელშიო!**

ამის შემდეგ ნაცსექტამ, საკუთარი შპიონების, წყაროებისა თუ ღელეების მეშვეობით, ოპერატიულად გაარკვია, რომ **პირი, რომელმაც სააკაშვილს ვიბით არანაირი კანონი არ დარღვეულა, რადგან მას ნასამართლობა ჯერ კიდევ სააკაშვილის ხელისუფლების დროს ჰქონდა მოხსნილი.**

ერთი სიტყვით, **ნაცპროპაგანდამ ორდენიძისაგან ნამდვილი მონსტრი გამოძერწა და მის მიმართ მძლავრი ფსიქოლოგიური ტერორი გააჩაღა, თუმცა, გამოძიებას, რომელსაც ცალკე სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური აწარმოებს და ცალკე — იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექცია, ჯერ არ დაუდგენია და არ დაუმტკიცებია, რომ მე-18 სამკურნალო დაწესებულების დირექტორის მოადგილემ პატიმარ სააკაშვილს მართლა უთხრა — „ჩიტო, ხომ ჩაგიგდეთ ხელში!“**

ჩვენ ხელთ არსებული სარწმუნო ინფორმაციით, ორდენიძე სააკაშვილისადმი ასეთ მიმართვას კატეგორიულად უარყოფს და მას რომ მსგავსი არაფერი უქნია, ამას პენიტენციური სამსახურის ყველა ის თანამშრომელიც ადასტურებს, რომელიც ციხის საავადმყოფოში სააკაშვილის შესახლების პროცესის უშუალო მონაწილეა.

გასულ კვირას სრულიად საქართველომ იხილა სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ გავრცელებული კადრები, რომლებშიც ნათლად ჩანს, რომ მსჯავრდებული სააკაშვილი რეანიმობილიდან არ ჩამოდის და ციხის საავადმყოფოში შესვლაზე უარს აცხადებს. იგი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის წარმომადგენლებსა და მე-18 სამკურნალო დაწესებულების თანამშრომლებს უშვერი სიტყვებით შეურაცხყოფს — **„მკვლელებს“, „პუტინის მონებსა“ და „ივანიშვილის ლეკვებს“** უწოდებს, თუმცა, ისინი ისტერიკაში ჩავარდნილი სააკაშვილის ლანძღვა-გინებას სიმშვიდითა და ზრდილობიანი საუბრით პასუხობენ, კანონისა და სახელმწიფოს პატივისცემით ითმენენ იმას, რის მოთმენასაც რკინის ნერვები სჭირდება და ცდილობენ, მსჯავრდებული ექსპრეზიდენტი დაარწმუნონ, რომ კანონიერ მოთხოვნას დაემორჩილოს და ციხის საავადმყოფოში ნებით შევიდეს.

მას შემდეგ, რაც პატიმარი სააკაშვილი პენიტენციური უწყების წარმომადგენელთა კანონიერ მოთხოვნას არ დაემორჩილა, მოხდა ის, რაც ასევე კადრებში ვიხილეთ — სახელმწიფოს წარმომადგენლებმა კანონით მინიჭებული უფლებამოსილება აღასრულეს, პროპორციული ძალა გამოიყენეს და მსჯავრდებული სამკურნალო დაწესებულებაში მოათავსეს. კადრებში ნათლად ჩანს, რომ სააკაშვილმა სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომლებს, მათ შორის, თეთრხალათიან ექიმს, არამხოლოდ სიტყვიერი, არამედ ფიზიკური შეურაცხყოფაც მიაყენა — ზოგს წიხლი ჩაარტყა, ზოგს ხელით შეეხო და პალატაში სამედიცინო მოწყობილობაც დაამტვრია.

როგორც ჩვენთვის არის ცნობილი, ციხის სამკურნალო დაწესებულების დირექტორის მოადგილე **გოგა ორდენიძე** მთელი იმ პროცესის უშუალო მონაწილე იყო, რომელიც პენიტენციური სამსახურის მიერ გავრცელებულ კადრებში ვიხილეთ, მაგრამ მას სააკაშვილისათვის არათუ ცინიკურად და უხეშად არ მიუმართავს, არამედ საერთოდ ხმა არ ამოუღია, რადგან მსჯავრდებულ ექსპრეზიდენტთან ვერბალური კომუნიკაცია სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელ პირებს ჰქონდათ, ორდენიძე კი, სუბორდინაციიდან გამომდინარე, ყოველგვარი აქტიურობისა და ინიციატივისაგან თავს იკავებდა.

ერთი სიტყვით, **არავინ და არაფერი ადასტურებს იმას, რომ ციხის საავადმყოფოს დირექტორის მოადგილემ გოგა ორდენიძემ მსჯავრდებულ სააკაშვილს უთხრა — „ჩიტო, ხომ ჩაგიგდეთ ხელში!“** სამაგიეროდ, ყველა და ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ ეს თავად სააკაშვილის მიერ შეთხზული მტკნარი სიცრუეა, რომელიც მისივე ამაზრზენი და უკანონო საქციელის — პენიტენციური სამსახურის წარმომადგენლებისათვის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების გადაფარვას ემსახურება.

არ დაგავიწყდეთ, რომ სააკაშვილი ის კაცია, რომელმაც 2008 წლის აგვისტოს ომის დღეებში პირდაპირ ეთერში განაცხადა — **ფოთში ისე ჩამოვედი, რომ ჩემი ვერტმფრენი ღრუბლებს ეფარებოდა, რათა რუსებს არ შეემჩნიათ და არ ჩამოეგდოთო!**

ანდა სააკაშვილის სულ ახლანდელი მიუნჰაუზენობა გაიხსენეთ, ტრაილერის მისაბმელში არაჟნის ყუთებთან ერთად რომ იჯდა და საკუთარი გატაცების ვერსიას თხზავდა — **რომელიღაც ქვეყნის სპეცსამსახურებმა შეშეპყრეს, ტრაილერში ჩამსვეს და გაურკვეველი მიმართულებით მიმაქანებენ, მაგრამ ტელეფონი კარგად დავმალე და ვერ აღმომიჩინესო!**

ახლა თავად განსაჯეთ, ასეთი კაცი ვერ მოიგონებდა, რომ თითქოს ციხის თანამშრომელმა უთხრა — **„ჩიტო, ხომ ჩაგიგდეთ ხელში“?**

კი, სააკაშვილი ასეთი რამეების მომგონებელი და მკადრებელი ნამდვილად არის!

ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულების დირექტორის მოადგილეს **გოგა ორდენიძეს** ორდენი ეკუთვნის იმაში, რომ მოითმინა და აიტანა წარმოუდგენელი შეურაცხყოფა, რომელიც მას და მის თანამშრომლებს პატიმარმა სააკაშვილმა მიაყენა!

გოგა ორდენიძის შვილებმა უნდა იცოდნენ, რომ მათი მამა ღირსეული ოფიცერია, რომელმაც კანონისა და სახელმწიფოს პატივისცემით სააკაშვილის შიზოფრენიული გამოხტომები დაითმინა!

ქართველმა საზოგადოებამ იცის **მეგზის ძარღვაძის, ოლეგ ფაცაციასა, გაგა მკურნალიძის, ვიქტორ ყაჭეიშვილისა** და სხვა ჯალათების სახელები, რომლებიც სააკაშვილის რეჟიმის დროს პატიმრებს წამებით ხდიდნენ სულს, მაგრამ ქართველმა საზოგადოებამ ასევე უნდა იცოდეს სასჯელაღსრულების სისტემის იმ ღირსეული და პატიოსანი თანამშრომლების სახელები, რომლებიც პატიმარ სააკაშვილისაგან წამოსულ ღვარძლისა და სიძულვილის ნიაღვარს ოლიმპიური სიმშვიდით შეხვდნენ და გაჯიქებული ნაცბელადი ციხის საავადმყოფოში ისე შეასახლეს, რომ კანონით ნებადართული პროპორციული ძალისათვის ოდნავადაც არ გადაუმეტებიათ!

დიახ, **გოგა ორდენიძე და პენიტენციური სისტემის ყველა ოფიცერი, რომელმაც ციხის საავადმყოფოში სააკაშვილის გადაყვანის დროს პროფესიული და ადამიანური ღირსების საუკეთესო მაგალითი აჩვენა, ქართველი საზოგადოებისგანაც და ქართული სახელმწიფოსგანაც მადლობას იმსახურებს!**

ამ ღირსეულმა ოფიცრებმა უნდა იცოდნენ, რომ სანამ თავიანთ მოვალეობას ასე კეთილსინდისიერად, სახელმწიფოებრივად და კანონის შესაბამისად აღასრულებენ, ქართველი საზოგადოების პატიოსანი და საღად მოაზროვნე ნაწილი, რომელიც, საბედნიეროდ, ამ ქვეყანაში ჯერ კიდევ გადამწყვეტ უმრავლესობას წარმოადგენს, მათ ყოველთვის ზურგს გაუმაგრებს!

სწორედ ეს არის გარანტია, რომ მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი რეჟიმის ნარჩენები, რა პროპაგანდაც არ უნდა გააჩაღონ და ფსიქოლოგიური ტერორის როგორ ხერხებსაც არ უნდა მიმართონ, ვერაფერს დააკლებენ ვერც საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემის ღირსეულ თანამშრომლებს და ვერც ქართულ სახელმწიფოს, რომელსაც ისინი ღირსეულად ემსახურებიან!

ჯაბა ნუბუა

არ გაინტერესებთ, მაინც რა ქნა ასეთი ორდენიძემ?

პატიმარი სააკაშვილი ე.წ. კარანტინის დაშლაში მოახვედრა და საკუთარ თანამშრომლებს წიხლებითა და ხელკეტებით აცემინა? **რა თქმა უნდა, არა!**

ხელკეტზე პრეზერვატივი წამოაცვა და პატიმარ სააკაშვილს გაუპატიურებით დაემუქრა? **რა თქმა უნდა, არა!**

პატიმარი სააკაშვილი ელექტროშოკერით იმდენ ხანს აწვამა, რომ მოწყობილობა ორჯერ დაჯდა და თავიდან დამუხტეს? **რა თქმა უნდა, არა!**

პატიმარი სააკაშვილი მორგში ჩაიყვანა და სხვა პატიმრის გვამზე დააბა? **რა თქმა უნდა, არა!**

პატიმარ სააკაშვილს ზურგზე სიგარეტებს აჭრობდა? **რა თქმა უნდა, არა!**

პატიმარ სააკაშვილს უკანალში სიგარეტის ღერი შეურჭო, მერე კი აიძულა რომ გამოეღო და მოეწია? **რა თქმა უნდა, არა!**

ბოლოს და ბოლოს, პატიმარ სააკაშვილს უკანალში ცოცხის ტარი გათხარა? **რა თქმა უნდა, არა!**

წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ამგვარი მეთოდები, რომელიც სააკაშვილის რეჟიმის დროს ციხეში დამკვიდრებული პრაქტიკა იყო, 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ წარსულს ჩაბარდა და დღეს პატიმრებს, მათი სტატუსის, სოციალური მდგომარეობისა და ჩადენილი დანაშაულის განურჩევლად, ციხის თანამშრომლები უბატონოდ ხმას არ სცემენ.

მაშ, რა ჩაიდინა გოგა ორდენიძემ ისეთი, რომ ნაცპროპაგანდამ ჯალათად გამოაცხადა და თბილისის ქუჩებში მისი ფოტოებიც კი გამოაკრა წარწერით — „კლავს“?

ის კი არა, ნაცრეჟიმის ერთ-ერთმა ყველაზე ოდიოზურმა და ამორალურმა სახემ, სისხლის სამართლის მძიმე დანაშაულებისათვის ყოფილმა მსჯავრდებულმა და მოქმედმა ბრალდებულმა, კორუმპირებულობის ღაყღაჟა სიმბოლომ **ბიბი უგულავამ** მიტინგზეც კი გამოაცხადა — **ორდენიძის შვილებმა უნდა იცოდნენ, რომ ჯალათი თომ უთხრა — ჩიტო, ხომ ჩაგიგდეთ ხელშიო, მე-18 დაწესებულების დირექტორის მოადგილე გოგა ორდენიძე ყოფილა, რომელსაც ადრე პოლიციაში უმუშავია, 2006 წელს ქრთამის აღების ბრალდებით დაუკავებიათ და გაუსამართლებიათ, თუმცა, ორ წელიწადში — 2008 წელს ამნისტიით გაუთავისუფლებიათ და ნასამართლობაც გაუუქმებიათ.**

ნაცმოძრაობის ტელეკანალიზაციებმა ისიც გამოჩხრიკეს, რომ ორდენიძე სასჯელაღსრულების სისტემაში 2016 წელს, **კახა კახიშვილის** მინისტრობის დროს, დასაქმებულა, თუმცა, პროვოკატორმა მედიაზონდერებმა საზოგადოებას შეგნებულად დაუმალეს ის გარემოება, რომ ორდენიძის პენიტენციურ სამსახურში დასაქმებისა და სამკურნალო დაწესებულების ყველა ის თანამშრომელიც ადასტურებს, რომელიც ციხის საავადმყოფოში სააკაშვილის შესახლების პროცესის უშუალო მონაწილეა.

ვახტანგ ხარჩილავა

რუსული ბომბი გლდანის ციხეში

დასაწყისი მე-5 გვერდზე

ოკუპანტ ქვეყანაზე სტრატეგიული მნიშვნელობის უამრავი ობიექტი.

მოკლედ რომ ვთქვათ, მართალია, სააკაშვილს, თუნდაც ზეპირსიტყვიერად, ბევრ რამეზე ედავებიან, მაგრამ, **როცა, ირიბად თუ პირდაპირ, საქმე ეხება რუსეთთან შემხებლობაში ჩადენილ ამა თუ იმ საეჭვო ქმედებას, გამოძიებაც დუმს და ხელისუფლებაც.**

სააკაშვილის პოლიტიკური საქმიანობა, მისი კარიერა, მისი ქმედებები, მისი, ერთი შეხედვით, ალოგიკური და რებუსული გადაწყვეტილებები, იმდენად მჭიდროდ არის გადახლართული **რუსულ პოლიტიკასთან,** რომ სააკაშვილის რთული და ავანტიურისტული ბიოგრაფიიდან რუსული კონტექსტის ჩამოშორება ამ ადამიანის მიერ ჩადენილი დანაშაულების პანორამულ სურათს სერიოზულად დაამახინჯებს და დააკნინებს.

ერთ საინტერესო ამბავს გაგახსენებთ, რომელიც, შეიძლება, ბევრს არ ახსოვს.

2003 წლის აგვისტოს ბოლო ან სექტემბრის დასაწყისი იყო.

თბილისში ძლავრი საპროტესტო გამოსვლები სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა.

პარლამენტის წინ ხალხმრავალი მიტინგი იყო შეკრებილი.

უცებ „რუსთავი-2“-მა პირდაპირ ეთერში მიხეილ სააკაშვილი ჩართო.

სააკაშვილი მოსკოვიდან, წითელი მოედნიდან, მიესალმა მომიტინგეებს, გაამხნევა, სიმტკიცისკენ, ერთიანობისკენ მოუწოდა და დაჰპირდა, რომ მალე ჩამოვიდოდა და შეუპოვარ ბრძოლას გააგრძელებდა.

ორიოდე თვეში „ვარდების რევოლუცია“ მოხდა და მოსკოვიდან სპეციალურად ამ მომენტისთვის ჩამოფრენილმა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა **იგორ ივანოვმა** გამარჯვებული სააკაშვილის მარჯვენა მაღლა ასწია, მერე კი ბათუმში გაფრინდა და სააკაშვილის მთავარი ოპონენტი ასლან აბაშიძე მოსკოვში თან წაიყოლა.

მოდით და ამის შემდეგ თქვენ თვითონ გააკეთეთ დასკვნა, ვინ მოახდინა ვარდების ბინძური რევოლუცია საქართველოში, დასავლეთმა თუ რუსეთმა და ვინ ახეირა ამ რევოლუციის შედეგად მოსულმა ნაციმოძრაობის ხელისუფლებამ — რუსეთი თუ დასავლეთი?

2003 წლის იმ პირდაპირი ჩართვის შემდეგ, რამდენიც სააკაშვილს დავინახავ, მის ზურგს უკან წითელ მოედანსაც ვხედავ კრემლის კურანტებიანად.

•

— **საააკაშვილი პუტინის მძევალია!** — გაჰყვირიან მომიტინგეები და მის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას ითხოვენ.

ამ ადამიანების უმრავლესობამ, ალბათ, 99 პროცენტმა, არ იცის, რომ

საააკაშვილი პუტინის მძევალი კი არა, პუტინის აგენტია,

რომელიც მის საიდუმლო დავალებას ასრულებს — მისი მიზანია, შექმნას დესტაბილიზაცია ქვეყანაში, გამოიწვიოს არეულობა, სამოქალაქო დაპირისპირება, დაიღვაროს სისხლი, შემდეგ კი, როცა უმართავი პროცესები დაიწყება, სიტუაციის განსამუხტად და მშვიდობის დასამყარებლად **ისევ რუსები შემოვლენ და „დაგვაწყნარებენ“,** როგორც ეს არაერთხელ გაუკეთებიათ.

შემოვლენო, კი ვამბობთ, მაგრამ შემოსასვლელი რა სჭირთ, დიდი ხანია, აქ არიან უკვე და სულ ერთი ნაბიჯის გადმოდგმა სჭირდებათ, რომ ჩვენ გვერდით აღმოჩნდნენ.

დიახ, **რუსული სცენარის მიხედვით ხდება ის, რაც დღეს საქართველოში ხდება, თუმცა, ისეა ეს ყველაფერი შეფუთული და მოწოდებული, თითქოს საპროტესტოდ განწყობილი მოსახლეობის ნაწილი ხელისუფლების და იმავე დროს ოკუპანტი რუსეთის წინააღმდეგ ილაშქრებს, ხოლო ამ საპროტესტო აქციებისა და მიტინგების ორგანიზატორები რუსული ინტერესების განსახორციელებლად კი არ იღვწიან, არამედ დემოკრატიის განსამტკიცებლად და დასავლური ღირებულებების დასამკვიდრებლად.**

როგორც არქიფო უხსინდა ასინეთას, უკუღმაა ეს ყველაფერი, უკუღმაო.

აგინე რუსეთს, უძახე ოკუპანტი, შენს ოპონენტებს რუსეთის მონები უწოდე, თავი დასავლური ორიენტაციის ერთგულ მიმდევრად და რუსეთის შეურიგებელ მტრად გამოაცხადე, მაგრამ საქმით ის აკეთე, რაც რუსეთის ინტერესებში შედის — აი, ის მარტივი და ბანალური სქემა, რითიც სააკაშვილი და მისი გუნდი მოქმედებდა და მოქმედებს დღემდე!

აგინე რუსეთს, უძახე ოკუპანტი, შენს ოპონენტებს რუსეთის მონები უწოდე, თავი დასავლური ორიენტაციის ერთგულ მიმდევრად და რუსეთის შეურიგებელ მტრად გამოაცხადე, მაგრამ საქმით ის აკეთე, რაც რუსეთის ინტერესებში შედის — აი, ის მარტივი და ბანალური სქემა, რითიც სააკაშვილი და მისი გუნდი მოქმედებდა და მოქმედებს დღემდე.

ამ ფარისევლურ, თვალთმაქცურ, დემაგოგიურ სქემაში, ცხადია, ნაცმოძრაობის მხარდამჭერთა უმრავლესობას გარკვევა უჭირს.

მათ სჯერათ ის, რასაც ნაცმოძრაობის ლიდერები ეუბნებიან და გულწრფელად მიჰყვებიან იმ პათეტიკურ, გმირულ-ჰეროიკულ ლოზუნგებს, რომლებსაც ოპოზიციონერი პოლიტიკოსები სთავაზობენ.

რუსეთს ნაკლებად ანაღვლებს, ვინ რას იტყვის მასზე, მისთვის სულ ერთია, გვარამია შეაგინებს თუ გაბუნია, ხოშტარია დააყრის ქოქოლას თუ ნოდარიკო მელაძე, მისთვის მთავარია, რომ ამ ადამიანებმა თუ სხვებმა ხელი შეუწყონ დესტაბილიზაციის, ქაოსის, არეულობის პროვოცირებას და ესკალაციას.

სააკაშვილი, ნაცმოძრაობა, მისი სატელიტი პარტიები, ე.წ. ოპოზიციური ტელევიზიები ზედმიწევნით პროფესიონალურად ასრულებენ **აგენტურულ-დივერსიული ქსელის სპეციფიკურ სამუშაოს** — აგინებენ რუსეთს და, იმავდროულად, მის საქმეს აკეთებენ.

ასეთი სტილით მოქმედებდნენ ნაციონალები ხელისუფლებაში ყოფნის დროსაც და ოპოზიციაში გადასვლის შემდეგაც.

დააბრალე სხვას, რაც შენ თვითონ ხარ! — ამ პრინციპს, როგორც თავდასხმის და, იმავდროულად, თავდაცვის საუკეთესო საშუალებას, ნაციონალები სისტემატურად იყენებენ ბიძინა ივანიშვილისა და „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ.

ბიძინა ივანიშვილს, რომელსაც ერთი ლარის ღირებულების არაფერი დაუთმია რუსეთისთვის, რუსეთოფობას აბრალებენ ისინი, ვინც ლამის ნახევარი საქართველო რუსებს უფეშქაშა.

„ქართულ ოცნებას“, რომელსაც ერთი გოჯითაც არ გადაუხვევია დასავლური ორიენტაციისთვის, რუსული ორბიტისკენ გადაბრას აბრალებენ ისინი, **ვინც 2008 წლის პროვოკაციული ომით რუსეთს დიდი ხნით განუმტკიცა პოზიციები საქართველოში და ქვეყნიდან გაყვანილი რუსული ჯარები უკან შემოაბრუნა.**

აი, ამ გაუგონარი უტიფრობისა და ფარისევლობის ატმოსფეროში უწევს

გაგრძელება მე-9 გვერდზე

სვიმონ მასხარაშვილი
ისტორიკოსი

მოდი, ვკითხოთ ხალხს, უნდა კიდევ ქუჩა, კორონას მეტად გავრცელება და მეტი არეულობა? ის, რაც უნდა ზოგიერთ პოლიტიკანსა და პარტიას, სრულიად არ ნიშნავს, რომ ეს უნდა ქართველ ერს. **ქართველმა ერმა თავისი არჩევანი უკვე თერთმეტჯერ გააკეთა და წინა პოლიტიკურ ძალას უთხრა „არა“.** ნაციონალებმა არსებობა ამ საარჩევნო ფაღარათით გაიხანგრძლივეს და პოლიტიკურ ძალებსაც არ მისცეს განვითარების საშუალება.

ჩემთვის **საააკაშვილი** იმ დღეს დამთავრდა, როდესაც დაკარგა საქართველოს მოქალაქეობა და უკრაინელი ჩინოვნიკი გახდა.

„კვირის პალიტრა“

ელენე ხოშტარია
„დროის“ ლიდერი

ერთადერთი პასუხისმგებელი **მიხეილ საააკაშვილის** და ასევე ჩემს ჯანმრთელობაზე არის „ქართული ოცნება“.

„რეზონანსი“

სალომე სამადაშვილი
ოპოზიციონერი პარლამენტარი

7 ნოემბერი იყო უმძიმესი შეცდომა წინა ხელისუფლების, დანაშაულის ნიშნებიც იკვეთებოდა.

„რეზონანსი“

გურამ დუმბაძე
„ნაციონალური მოძრაობა — გაერთიანებული ოპოზიციის“ წევრი

მე არ მაქვს სურვილი, რომ მთავრობა პანღურით შეიცვალოს. ამიტომ დაფიქრდნენ.

„ახალი თაობა“

გიგი უგულავა
ოპოზიციონერი პოლიტოლოგი

საბჭოთა მნიშვნელობით, **საააკაშვილი** ფსიქიატრიულში გადაიყვანეს, 80-იან წლებში დისიდენტები რომ გადაჰყავდათ, მერე ფსიქოლოგიურად რომ გაეტეხათ.

„ინტერპრესნიუსი“

ხელისუფალის სიგყვა

თუ საქართველო სახელმწიფოა...



არიან მცირერიცხოვანი უცხოელი პოლიტიკოსები, რომლებიც ჯიუტად არ ცვლიან პოზიციას და ნაციონალური მოძრაობის ლობისტობას ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე სწორხაზოვნად განაგრძობენ.

როდესაც უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობის პირი პარლამენტის წევრს უმძიმესი ფორმით ფიზიკურად უსწორდება და ახალგაზრდა კაცის მკვლელებს საკუთარი ძალაუფლების ბოროტად გამოყენების გზით მფარველობს, უნდა მოიხადოს თუ არა მან ამ ქმედებებისთვის სასჯელი (ასეთია ორი ოფიციალური ბრალი, რომლის საფუძველზეც სააკაშვილს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა; ორივე საქმის შესახებ საქართველოში ყველამ ყველაფერი იცის; ამასთან, გირგვლიანის საქმეში სააკაშვილის ბრალეულობა სტრასბურგის სასამართლომაც დაადასტურა)? **ამ კითხვაზე პასუხი მარტივია: თუ საქართველო სახელმწიფოა და სამართლის უზენაესობა მისთვის ღირებულია — კი!**

როდესაც ამ დანაშაულთა გამო მსჯავრდებული პირი საქართველოს საზღვარს უკანონოდ ჰკვეთს, უნდა მოხდეს თუ არა მისი მყისიერი დაპატიმრება? **პასუხი ამ კითხვაზეც მარტივია: თუ საქართველო სახელმწიფოა და სამართლის უზენაესობა მისთვის ღირებულია — კი!**

როდესაც მსჯავრდებული ყოველგვარი საფუძვლის გარეშე შიმშილობას იწყებს და განთავისუფლებას ითხოვს, უნდა დაუკმაყოფილდეს თუ არა მას მოთხოვნა? **პასუხი აქაც მარტივია: თუ საქართველო სახელმწიფოა და სამართლის უზენაესობა მისთვის ღირებულია — არა!**

როდესაც მსჯავრდებული სამოქალაქო კლინიკაში გადაყვანას იმისთვის ითხოვს, რომ ციხიდან გავიდეს და თანამზრახველებს მისი განთავისუფლების შანსი მიეცეთ, უნდა დაჰყვეს თუ არა ხელისუფლება მოთხოვნას? **პასუხი მარტივია: თუ საქართველო სახელმწიფოა — არა!**

როდესაც მსჯავრდებულის თანამზრახველები კატეგორიულად ითხოვენ მისი გადაყვანის ამსახველი კადრების გასაჯაროებას, მიუხედავად იმისა, რომ თავადვე იციან, რომ ეს კადრები არ იქნება სასიამოვნო სანახავი და **როდესაც** კადრების არგასაჯაროებაზე უამრავ სიცრუესა და სპეკულაციას აგებენ, უნდა გაუზიაროს თუ არა სახელმწიფომ საზოგადოებას სრული ინფორმაცია სიმართლის შესახებ? **პასუხი ამ კითხვაზეც მარტივია — თუ საქართველო სახელმწიფოა, რომელიც აცნობიერებს საკუთარ პასუხისმგებლობას იმაზე, რომ საზოგადოება არავის უნდა შეაყვანინოს შეცდომაში — კი!**

ასე რომ, ყველაფერი დღესავით ნათელია,

ირაკლი კობახიძე: სამართალი აღსრულდება ყველა იმ პირის მიმართ, რომელსაც დანაშაული აქვს ჩადენილი!

თუ საქართველო სახელმწიფოა, მიხეილ სააკაშვილმა სრულად უნდა მოიხადოს კუთვნილი სასჯელი და მისი უსაფუძვლო მოთხოვნების გამო ხელისუფლებამ ექიმების, პაციენტების თუ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების უსაფრთხოება არასაჭირო რისკის ქვეშ არ უნდა დააყენოს.

სადაც არ არის სამართლიანობა, იქ არ არის მშვიდობა — საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები ამ მარტივი ჭეშმარიტების საუკეთესო დასტურია. სადაც არ აღსრულდა სამართალი დამნაშავის მიმართ, პირდაპირი საფრთხე შეექმნა მშვიდობას და სტაბილურობას, რაც ქვეყნის შეუფერხებელი განვითარების აუცილებელი პირობაა. „ქართული ოცნება“ ამას აღარასოდეს დაუშვებს! **სამართალი აღსრულდება ყველა იმ პირის მიმართ, რომელსაც დანაშაული აქვს ჩადენილი!**

ერთ-ერთმა ევროპარლამენტარმა, რომელიც ნაციონალური მოძრაობის დიდი ხნის ლობისტია და ამ პოლიტიკურ ძალას იმ პერიოდშიც ლობირებდა, როდესაც სააკაშვილის რეჟიმი ადამიანებს კლავდა, აუპატიურებდა, ბიზნესს აყაჩაღებდა, დამოუკიდებელ მედიასაშუალებებს იტაცებდა და ქვეყნის ტერიტორიების რუსეთს აბარებდა, მიხეილ სააკაშვილს პოლიტპატიმარი უწოდა. **ასეთ ადამიანებს გვინდა დავუსვათ მარტივი კითხვა — ცნობენ თუ არა ისინი საქართველოს სახელმწიფოდ? და თუ ცნობენ — მიაჩნიათ თუ არა, რომ სამართლისა და კანონის უზენაესობა სახელმწიფოს აუცილებელი ატრიბუტია?**

2012 წლიდან საქართველოში მართლმსაჯულებამ და, ზოგადად, სამართალდამცავმა სისტემამ ფუნდამენტური წინსვლა განიცადა. ამას ცხადყოფს როგორც ელემენტარული სტატისტიკა, ისე მაღალი რეპუტაციის მქონე საერთაშორისო ინსტიტუტების შეფასებები, მათ შორის Heritage Foundarion-ის, „მსოფლიოს მართლმსაჯულების პროექტის“, „მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის“, მსოფლიო ბანკის რეიტინგები და სხვ. აღნიშნული რეიტინგები ადასტურებს, რომ **საქართველო მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და ეფექტიანობის თვალსაზრისით, რეგიონში გამოკვეთილი ლიდერია და ათამდე ევროკავშირის წევრ სახელმწიფოსაც კი უსწრებს.** სასამართლო სისტემა, რომელიც სააკაშვილის რეჟიმის რეპრესიული მანქანის ერთ-ერთი უმთავრესი ელემენტი იყო და რომელმაც 2004-12 წლებში უამრავი ადამიანის ღირსება, სიცოცხლე, ჯანმრთელობა და საკუთრება ხელყო, 2012 წლიდან რადიკალურად და თვისებრივად გარდაიქმნა და სამართლის სამსახურში ჩადგა.

ამ ფონზე ქართული მართლმსაჯულების დისკრედიტაციის ყველა მცდელობის უკან იკითხება ერთადერთი მიზანი – ეს არის კრიმინალების მფარველობა და მათთვის სასჯელის არიდება იმ დანაშაულებისთვის, რომლებიც წარსულში აქვთ ჩადენილი ან მომავალში აქვთ ჩასადენი.

ამ მცდელობის მიმართ, რომლის უკანაც იგივე პარტიები, მედიასაშუალებები, არასამთავრობო ორგანიზაციები და უცხოელი ლობისტები დგანან, ბუნებრივია, ჩვენ ლოიალური ვერ ვიქნებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკითხი დგას მარტივად — **ან ეს ადამიანები აღიარებენ, რომ საქართველო არის სახელმწიფო და სახელმწიფოში კანონი უნდა კანონობდეს, ან ჩვენ მოგვიწევს მათ ვუწოდოთ კრიმინალების მფარველები. მათ უნდა აჩვენონ, რომ არიან საქართველოს მეგობრები და არა სააკაშვილისა და მისი კრიმინალი თანაგუნდელების მეგობრები.**

თუ არ აღსრულდება სამართალი დამნაშავეთა მიმართ, განსაკუთრებით იმ კრიმინალების მიმართ, რომლებსაც დღესაც ძალაუფლების დაბრუნების ამბიცია ამოძრავებთ, საქართველო ვერასოდეს გამოვა პოლარიზაციის ჩაკეტილი წრიდან, ამას კი „ქართული ოცნება“ ვერ და არ დაუშვებს!

მომავალში, როდესაც ჩვენი უცხოელი პარტნიორების ნაბიჯებს შევაფასებთ, ჩვენთვის სახელმძღვანელო სწორედ ამ წერილში ასახული მთავარი პრინციპი იქნება — ქართული სახელმწიფო ვერ ითანამშრომლებს იმ ადამიანებთან, რომლებიც კრიმინალების სასარგებლოდ პოლიტიკური მიკერძოების გამო, ამ სახელმწიფოს სახელმწიფოდ არ ცნობენ!

კვირგვინოსნები

ზვიად ზომარაძე
უფლებადამცველი

როგორც კი ხელისუფლება ომს გამოუცხადებს საკუთარ მოსახლეობას და **კოვიდპასპორტებს** შემოიღებს, ყველანი გამოვალთ ქუჩაში და ომს ომით ვუპასუხებთ!

„ალია“

სოსო არგვაძე
ეკონომიკის ექსპერტი

საქონლის ხორცი **52 პროცენტით** გაძვირდა, პური — **35 პროცენტით,** შაქარი — **72 პროცენტით,** ზეთი — **103 პროცენტით,** ბენზინი — **77 პროცენტით...** ანუ ხორცის, შაქრის, ზეთისა და ბენზინის ფასი საშუალო ხელფასზე მეტად გაიზარდა, პურისა და დენის — ნაკლებად. გამოდის, რომ ამჟამად საშუალო ხელფასით ჩვენ შეგვიძლია დაახლოებით **6 პროცენტით** ნაკლები — ხორცის, **17 პროცენტით** ნაკლები — შაქრის, **30 პროცენტით** ნაკლები — ზეთისა და **20 პროცენტით** ნაკლები ბენზინის შეძენა.

„კვირის პალიტრა“

ვლადიმერ ბოჭიშვილი
ანალიტიკოსი

როგორც ვამპირს ეშინია ნაკურთხი წყლის, ისე ეშინიათ ნაციონალებს მომავალი 3 წლის, იმიტომ რომ ქვეყანაში არჩევნები არ იქნება.

„ტვ იმედი“

გიული ალასანია
მხატვარ სააკაშვილის დედა

თავლწინ მიკლავენ ერთადერთ შვილს. დაგვეხმარეთ, გადავარჩინოთ ეს სიცოცხლე! რა არის მისი დანაშაული? ის, რომ უყვარს თავისი ქვეყანა, ის, რომ არის თავისი ქვეყნის პატრიოტი, რამაც ჩამოიყვანა თავის ქვეყანაში.

„ახალი თაობა“

ვალერი ხაჭაპურიძე
ჟურნალისტი

სააკაშვილის მიმართ ფსიქოლოგიური წნეხი ხორციელდება. ეს წამებაა. ტომოგრაფიის აპარატის მიტანა ციხის სავადმყოფოში „შერეკილების“ მეორე სერიაა, ურმით რომ გაფრინდებიან.

„ახალი თაობა“

ვახტანგ ხარჩილავა

რუსული ბომბი გლდანის სიხვში

დასაწყისი მე-5 გვერდზე

დღეს საქართველოს იმ ვერაგი მტრის მოგერიება, რომლის სამსახურში, ნებსით და უნებლიეთ, ათასობით და ათიათასობით ქართველი ჩამდგარა და საკუთარ სამშობლოს დიდი ხალისითა და ენთუზიაზმით უტევს.

როგორ უნდა გავაგებინოთ ჩვენ ამ ათიათასობით ქართველს, რომ მტრის მხარეს იბრძვიან, როცა მათი ტვინების გამორეცხვაზე 24 საათის განმავლობაში სამი ტელევიზია მუშაობს და საკმარისია, მათ წინააღმდეგ ვინმემ ხმის ამოღება გაბედოს, ჩვენი დასავლეთელი მეგობრები მყისვე განგაშს ტეხენ: სიტყვის თავისუფლებას, გამოხატვის თავისუფლებას, დემოკრატიას ებრძვით თქვენო.

დემოკრატიას კი არ ვებრძვით, თავის დაცვას ვცდილობთ, საკუთარი სახელმწიფოს დაცვას ვცდილობთ იდეოლოგიური დესანტის ძირგამომთხრელი საქმიანობისგან, მაგრამ ფოტიგები და კუბილიუსები ამის უფლებას არ გვაძლევენ.

ვინ ხართ თქვენ, ჩვენს მეგობრებად რომ ასაღებთ თავს და ამ დროს ჩვენი მტრის ფარული მოკავშირეებივით რომ იქცევით და ხელებზე დემოკრატიის ბორკილებს გვადებთ, რომ ასე შებოჭილებს და შებორკილებს, თამამად გვიბათქუნონ ბოკერიებმა და ხაზარაძეებმა, გვარამიებმა და მელაძეებმა, ხოშტარიებმა და სანაიებმა?!

●

სუს-მა საპრეზიდენტო ბიბლიოთეკაში გამართული შეხვედრების ჩანაწერები გამოაქვეყნა, სადაც სახელმწიფოს მიმართ მიმართულ შეთქმულებაზეა საუბარი.

მადლობა სუს-ს ამ ჩანაწერისთვის, თუმცა, აქვე უნდა ითქვას: **რატომ მხოლოდ ბიბლიოთეკაში გამართულ შეხვედრებზე აღმოაჩინეთ შეთქმულების ნიშნები, განა ყოველდღე მსგავს შეთქმულებებს არ აანონსებენ ე.წ. ოპოზიციური ტელევიზიები, ე.წ. ოპოზიციონერი პოლიტიკოსები, გაურკვეველი წარმოშობის ე.წ. სამოქალაქო აქტივისტები?**

მეცხრე წელია, საქართველო მუდმივი შეთქმულებებისა და მუდმივი სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის საფრთხის ქვეშ ცხოვრობს.

მართალია, თავს იმით ვინუგეშებთ, რომ ამ ხნის განმავლობაში ვერც ერთხელ ვერ გადაგვატრიალეს და, დიდი ალბათობით, ვერც მომავალში მოახერხებენ ამას, მაგრამ მაინც არა მგონია, დიდად სახარბიელო და სასიხარულო მდგომარეობაში ვიმყოფებოდეთ და თვითკმაყოფილებას უნდა მივეცეთ.

გადატრიალებით ვერ გადაგვატრიალეს, მაგრამ იმ ამბავს რა ვუყოთ, ამ გაუთავებელ ორომტრიალსა და ძიძგილაობაში ქვეყანა რომ ზარალდება და ზიანდება და ეროვნული ენერგია ამ წუპაკი მამაძაღლების მოგერიებაში რომ იხარჯება, იმის ნაცვლად, რომ ეს ენერგია სახელმწიფოს განვითარებას და წინსვლას მოხმარდეს.

მატერიალურ ზიანს რომ თავი დავანებოთ, რით შეიძლება აიზომოს ის ფსიქოლოგიური სტრესი, რასაც ეს არამზადები ქვეყნის მოსახლეობას აყენებენ.

ყველანი ვთანხმდებით, რომ ასე გაგრძელება არ შეიძლება, რომ ეს უბედურება უნდა დავასრულოთ, მაგრამ როგორ და რანაირად უნდა დავასრულოთ, ამის შესახებ საერთო დასკვნამდე ვერ მივსულვართ და, ალბათ, ვერც მივალთ, სანამ არ ვაღიარებთ, რომ **ნაცმოძრაობა პოლიტიკური პარტია კი არა, მტერია, ტერორისტული ორგანიზაციაა, მეხუთე კოლონაა, რომელიც მტრის ინტერესებს ემსახურება და მტერთან მჭიდრო კავშირში მოქმედებს საკუთარი სახელმწიფოს წინააღმდეგ.**

თუ ამას გავაკეთებთ, მაშინ იმ სამოქმედო გეგმის კონტურებიც გამოიკვეთება, რომლითაც შეიძლება მტერს ისეთი პასუხი გასცე, როგორსაც მტერი იმსახურებს.

●

კარგად დაიმახსოვრეთ, ძვირფასო მეგობრებო, გლდანის მე-18 დაწესებულებაში **რუსების მიერ შემოგზავნილი ბომბი** დევს, რომელიც გზაში ვიპოვეთ და სახლში წამოვიღეთ.

„პრედახრანიტელი“ აქვს ამ ბომბს გაფუჭებული და, ემანდ, ფრთხილად ვიყოთ — მოულოდნელად არ აფეთქდეს!

ბიძინა ივანიშვილს, რომელსაც ერთი ლარის ღირებულების არაფერი დაუთმია რუსეთისთვის, რუსეთუმეობას აბრალებენ ისინი, ვინც ლამის ნახევარი საქართველო რუსებს უფეშქაშა!

ბოლოთქმა

— ხელისუფლება სააკაშვილს მიზანმიმართულად კლავს, სააკაშვილი უკვე ორმოცი დღეა, შიმშილობს. სააკაშვილი სიკვდილს ებრძვის! — ასეთ საგანგაშო განცხადებებს აკეთებდნენ სააკაშვილის თანაპარტიელები და ნაცმოძრაობის ჯიბის ტელევიზიები, რადგან, როცა დგება კრიტიკული მომენტი, მოშიმშილეს ვერანაირი კლინიკა ვერ უშველის. სრული სიცრუე და დემაგოგიაა ეს ყველაფერი.

„ნაშიმშილევმა“ და „სულთმობრძავმა“ მიშამ ერთ ბადრაგს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, ხოლო დანარჩენებს ისეთი წინააღმდეგობა გაუწია, ხუთმა თუ ექვსმა კაცმა ძლივს გადმოიყვანეს მანქანიდან. სააკაშვილის მეგობრებს, მის თანამებრძოლებს, მის ახლობლებს, მის მხარდამჭერებს თუ მართლაც რამეში ენაღვლებოდათ მისი სიცოცხლე, მაშინ სააკაშვილის სადღაც გადაყვანაზე კი არ უნდა ჩაბჟირებულიყვნენ, არამედ გამუდმებით უნდა ეთხოვათ, რომ აუცილებელია შიმშილობის შეწყვეტა.

ნუთუ მართლა არავის სჭირდება ცოცხალი ეს უბედურ დღეზე გაჩენილი, მის მიერვე დაგეგმილ ავანტიურაზე რომ წამოეგო და ხაფანგში ამოყო თავი?

ხელისუფლება კლავს სააკაშვილსო, რომ გაჰკივიან ვიღაც-ვიღაცები, ხელისუფლება კი არა, თუ ვინმე კლავს დღეს სააკაშვილს, პირველ რიგში, მისიანები კლავენ, რომ მისი სიკვდილი მერე ხელისუფლებას დააბრალონ და ახალი საპროტესტო ტალღა ააგორონ.

ამ 25 წლის წინათ და განსაკუთრებით სოლიკო ხაბეიშვილის მკვლელობის შემდეგ შევარდნაძის ხელისუფლება ინტენსიურად „დაეძებდა“ ე.წ. **„ადამიან-ბომბს“,** რომელსაც თბილისში სხვადასხვა ტერორისტული აქტები უნდა მოეწყო. დღეს პოლიტიკურად ამძუვნებული **„ადამიანი-ბომბის“ მსგავსი არსება** გლდანის სამკურნალო სექტორში იოკებს ვნებებს. **ფრთხილად, ემანდ, „პრედახრანიტელისაკენ“ ხელი არ წაუცდეს, როგორც თავისი პოლიტიკური კარიერის დასაწყისში ჩაქვის სასტუმროში დაემართა!**

კვირგვინოსნები



გია ხუხაშვილი
ექსპერტი

კადრების გავრცელებით ხელისუფლებამ საბოლოოდ დამარწმუნა, რომ **სააკაშვილი** შიმშილობს.

„ახალი თაობა“

ბექა ბასილაია
მხეილ სააკაშვილის ადვოკატი

როცა **სააკაშვილთან** შეედით, გლდანის ციხის ყველა კორპუსიდან, ორგანიზებულად, საშინელ ობსტრუქციას გვიწყობდნენ — ეს არის მორალური ტერორი **მიხეილ სააკაშვილის** წინააღმდეგ.

„ინტერპრესნიუსი“

იაგო ხვიჩია
„ფაქტის“ დედაქალაქი

ამ შემთხვევაში მთავარი კითხვაა — რა შეიცვლება, მიშა თუ გამოვა? გაიმარჯვებს და იქნება ჩვენი მხედართმთავარი?

„ტვ იმედი“

ნიკა გელია
ნაციონალური მოძრაობის დედაქალაქი

ყოველდღე კიდევ უფრო ხალხმრავალი აქციები გაიმართება და ბევრი სიურპრიზიც გელოდებათ.

„რეზონანსი“

გაგუშა ხაზარაძე
„ნაციონალების“ დედაქალაქი

მე ვსაუბრობ რევოლუციაზე, რომელიც ხდება ადამიანის გულსა და გონებაში.

„კვირის პალიტრა“

თორნიკე ვოლკავიჩი
სულხან მოლა შვილის ძმა

თუ წარსული არ გვახსოვს, მომავალი არ გვექნება, დღეს იყო ნაციონალი, არის სირცხვილი.

„იმედინიუსი“





მიშროპოლიტი ნიკოლოზი წმინდა სინოდის სხდომაზე მალე ოფიციალურად დააყენებს საკითხს სააკაშვილის ცოცხალ წმინდანად შერაცხვის შესახებ!

ეს იყო მახათას მთაზე – მეუფე ნიკოლოზი სააკაშვილს შესცისცინებს!

მიშროპოლიტის თაღლითობა,

ანუ მეუფე ნიკოლოზმა სააკაშვილის მიერ წვენების ყლურწვა და ხბოს ღვიძლის პიურეს თქვლეფა „40-ღღიან მშრალ მარხვად“ გამოაცხადა!

კიდევ ერთხელ გვიწევს, დავწეროთ მიშროპოლიტების, ანუ მიშისტი მიტროპოლიტების შესახებ, რომლებიც პატიმარ სააკაშვილის თავგადაკლული მხარდაჭერით არამხოლოდ ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ავტორიტეტს აზიანებენ, არამედ უკვე ქრისტიანულ სწავლებათა გაყალბებასაც აღარ ერიდებიან.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში საუბარი გვაქვს **ახალქალაქის, კუმურდოსა და კარის მიშროპოლიტ ნიკოლოზ ფაჩუაშვილზე,** რომელმაც პატიმარი სააკაშვილი მეორედ მოინახულა, იქიდან გამოსულმა კი ისეთი რამ თქვა, არამხოლოდ საზოგადოების დიდი ნაწილი, არამედ თვით საქართველოს საპატრიარქოც კი აღაშფოთა:

> *„40 დღე იმარხულა ამ ადამიანმა მშრალი მარხვით, ამის შემდეგ თქვა აღსარება და ეზიარა. ეს არის ძალიან დიდი ღვაწლი, რაც ამ ადამიანმა გასწია, ეს არის მსხვერპლი, რომელიც მან გაიღო ქვეყნის თავისუფლებისთვის, ქვეყნის გაძლიერებისთვის და იმისთვის, რომ ჩვენ ერთმანეთი გვიყვარდეს. თანამედროვე რეალობაში მე ასეთი მაგალითები არ მახსენდება, მხოლოდ ისტორიული მაგალითები შემიძლია დავასახელო — **ასეთი იყო დავით მეფე, მეფსალმუნე, რომელმაც ცოდვა ჩაიდინა და ფსალმუნი დაგვიტოვა, ეს იყო დავით არმაშენებელი, რომელმაც „გალობანი სინანულისანი“ შექმნა და ბოლოს ეს იყო დმეტრე თავდადებული, რომელსაც ძალიან მძიმე ცოდვები ჰქონდა და მოწამეობრივი სისხლით ჩამოირეცხა“.***

გესმით? **მიშროპოლიტი ნიკოლოზი** გვეუბნება, რომ მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი რეჟიმის შემქმნელი, ნულოვან ტოლერანტობაზე დაფუძნებული კატომოძულე სისტემის არქიტექტორი საკაშვილი, რომელმაც საკუთარი ძალაუფლების დემონსტრირება ეკლესიების ნგრევითა და მრევლის რბევით დაიწყო, თანამედროვეობის ბიბლიური მეფე **დავით მეფსალმუნე, დავით აღმაშენებელი და დმეტრე თავდადებული** ყოფილა.

ჰო, **მიშროპოლიტი ნიკოლოზი** საკუთარ თავს უფლებას აძლევს და ქართველ ხალხს უბედავს, რომ **საქართველოს ტერიტორიების დამკარგავი, კოდორის ხეობისა და ახალგორის რაიონის ოკუპანტისათვის ჩამბარებელი, დავითგარეჯის ნაწილის უცხო ქვეყნისათვის გადამცემი სააკაშვილი** ქართული იმპერიის შემქმნელს, საქართველოს ნიკოფსიდან დარუბანდამდე განმავრცობელ დავით აღმაშენებელს შეადაროს!

სააკაშვილი, რომელიც მის მიერ ჩადენილ არცერთ დანაშაულს არ აღიარებს, მისი რეჟიმის მიერ ათასობით ადამიანის გაუბედურების გამო იოტისოდენა სინანულსაც არ ამჟღავნებს და ქართველი ხალხის წინაშე ბოდიშის მოხდასაც არ კადრულობს, **მიშროპოლიტი ფაჩუაშვილის** შეფასებით, იმ დავით აღმაშენებლის რეინკარნაცია ყოფილა, რომელმაც „გალობანი სინანულისანი“ დაწერა და ქართველობას ანდერძად დაუბარა — გულზე ფეხი დამადგითო!

ლაჩრობისა და სიდედლის განსახიერება სააკაშვილი, რომელიც 2008 წლის ომის დროს შიშისაგან აცახცახებული საკუთარ ჰალსტუხს ღეჭავდა და ცხვირით მიწას ხნავდა, მიშროპოლიტი ფაჩუაშვილის აზრით, დემეტრე მეორე თავდადებულის სადარი ყოფილა — იმ მამაცი და პატრიოტი მეფის, რომელიც ყაენს ურდოში საკუთარი ფეხით ეახლა და თავი საჯალათო კუნძზე დადო, რათა საქართველო მონღოლთა მიერ აოხრებისაგან გადაერჩინა!

მოკლედ, **საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმინდანებად შერაცხილ მეფეებთან — დავით აღმაშენებელთან და დემეტრე თავდადებულთან გატოლებით მიშროპოლიტმა ნიკოლოზმა მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი რეჟიმის ბელადი სააკაშვილი სიცოცხლეშივე წმინდანად გამოაცხადა!**

ვერ წარმოვიდგენია და არც მგონდა წარმოვიდგინოთ, თუ რა კომპრომატებით ჰყავს გამოჭერილი ნაცმოძრაობას მიშროპოლიტი ნიკოლოზი და რითია იგი ასე დავალებული სააკაშვილის რეჟიმისაგან, რომ ნაცბელადის წმინდანად გამოცხადებით არამხოლოდ თავს ირცხვენს, არამედ მარხვის არსსა და დეფინიციასაც აყალბებს?

ჯერ ერთი, **მიშროპოლიტმა ფაჩუაშვილმა** ურცხვად იცრუა, როცა განაცხადა, რომ სააკაშვილი 40-დღიან მშრალ მარხვასთან მარხვის არსის დაკნინებაა.

ვწუხვართ, რომ მღვდელმთავრის ბოლოდროინდელმა პირადმა შეხედულებებმა ურთიერთშენდობის გზაზე ნაბიჯების გადადგმის შესაძლებლობა კიდევ უფრო გაართულა.

კიდევ ერთხელ მივმართავთ სასულიერო პირებს, მრევლს და მათ, ვისთვისაც ძვირფასია სამშობლო, კარგად გააცნობიერონ არსებული ვითარება და თავი შეიკავონ უხეში და დამამცირებელი ურთიერთმიმართვებისაგან. პოზიციის დაფიქსირება ყოველთვის შეიძლება, ოღონდ ეს არ უნდა ისახავდეს მიზნად სხვათა შეურაცხყოფას, არამედ — სიმართლის ობიექტურად წარმოჩენას.

საქართველოს საპატრიარქოს 2021 წლის 10 ნოემბრის ოფიციალური განცხადებიდან

როგორც ცნობილია, **ახალქალაქის, კუმურდოსა და კარის მიტროპოლიტმა ნიკოლოზმა (ფაჩუაშვილი)** საქართველოს მესამე პრეზიდენტი, **ბატონი მიხეილ სააკაშვილი,** ციხეში ორჯერ მოინახულა და ორივე შემთხვევაში მისგან გაკეთებულმა კომენტარმა ხალხის დიდ ნაწილში ვნებათაღელვა გამოიწვია.

საეკლესიო სწავლებითაც შერიგება **(როგორც ადამიანებს, ისე ღმერთსა და ადამიანს შორის)** შეუძლებელია ცოდვათა აღიარების, სათანადო სინანულისა და შესაბამისი ეპიტიმიების აღსრულების გარეშე. ხოლო, რადგან უპირობო ან გარკვეული პირობით შერიგებაზე და, განსაკუთრებით, ციხიდან გათავისუფლებაზე საუბარი ძირითადად მესამე პრეზიდენტთან მიმართებაში გაჟღერდა, მიუხედავად მაღალი სამოქალაქო ინტერესისა, ობიექტურობიდან გამომდინარე, **ამის სურვილი მაშინ სხვა პატიმრებთან მიმართებაშიც უნდა გამოთქმულიყო.**

ეს დამოკიდებულება რომ არ იკითხებოდა მიტროპოლიტის განცხადებაში, სწორედ ამან შექმნა საზოგადოებაში უარყოფითი განწყობა.

სამწუხაროდ, ამა წლის 8 ნოემბერს გაკეთებული კომენტარითაც მეუფე ნიკოლოზმა მოქალაქეთა სამართლიანი უკმაყოფილება გამოიწვია, პირველ რიგში, ქრისტიანული სწავლების კონტექსტში მოხმობილი შეუსაბამო შედარებებით;

მან ხაზგასმით აღნიშნა ისიც, რომ ბატონმა მიხეილ სააკაშვილმა 40 დღე მშრალად იმარხულა, რითიც დიდი მსხვერპლი გაიღო ქვეყნის გაძლიერებისათვის და იმისათვის, რომ სიძულვილის ენა დავივიწყოთ. ამ ღვაწლით კი ყველაფერი შეინანა.

პრეზიდენტისა და მისი მომხრეებისაგან კი ყველა ინფორმირებულია, რომ იგი შიმშილობს პროტესტის ნიშნად, უსამართლოდ მიიჩნევს მის დაკავებას და თავს დამნაშავედ არ ცნობს.

საეკლესიო მარხვა არის სინანულის აქტი, რომელიც აღესრულება ცოდვათა მონანიებისა და შენდობის სასოებით... და საერთო არაფერი აქვს უსამართლო მოპყრობის მოტივით განხორციელებულ ისეთ საპროტესტო ფორმასთან, სადაც მოშიმშილე შესაძლო მძიმე შედეგის პასუხისმგებლობას სხვას აკისრებს.

ამიტომაც პოლიტიკური მოტივებით განპირობებული შიმშილობის **(მითუმეტეს, რაციონი არასამარხვოცაა)** გაიგივება 40-დღიან მშრალ მარხვასთან მარხვის არსის დაკნინებაა.

ადრიდან ცას იპყრობს

კვირგვინოსნები

სოსო მანჯავიძე
ანალიტიკოსი

ამდენმა ერთად შეყრილმა იდიოტმა დაღუპა ეს ქვეყანა. არაფერს ვლაპარაკობ იმაზე, რომ კოლექტიური **ბუბაზ სანიკიძის** მოვლენა გვაქვს საქართველოში. **ბუბაზ სანიკიძე** არის უსირცხვილობის სიმბოლო, რომელიც ჯერ იძახდა, რომ **სააკაშვილის** სახით ჯალალედინია საქართველოშიო და დღეს ამბობს, რომ დასავლეთის ვარსკვლავიაო! არის ასეთი კოლექტიური სიმბოლოები — **კვაჭი კვაჭანტირაძე, ჯაყო,** მაგრამ აი, **ბუბაზმა** ყოველგვარი ლიტერატურის გარეშე, საკუთარი თავისგან შექმნა უსირცხვილობის პერსონაჟი, რომელიც საუკუნეებს გაყვება.

„საქართველოს რესპუბლიკა“

გიორგი ცუცქირიძე
ექსპერტი

ქვეყნის ნომერ პირველი ქველმოქმედის და სოციალური ანტრეპრენერის **ბიძინა ივანიშვილისა** და მისი ოჯახის ქველმოქმედებით წითელ ნუსხაში შეტანილი კოლხური ხოხბის ფერმა აშენდება. **კეზერაშვილის** დაფინანსებულმა ტელეკომპანია „ფორმულამ“ ამ პროექტის ირგვლივ არარსებული „პროტესტი“ ხალხის წინააღმდეგობად მონათლა და კიდევ ერთხელ შეეცადა, რომ შენება ნგრევად წარმოეჩინათ.

„იმედინიუსი“

ვახტანგ მაისაია
საზღვრისპირა ანალიტიკოსი

გიყვებით ფაქტებს, რაც რეალურად მოხდა და საკუთარ თავზე გამოვცადე — როდესაც მოშიმშილე ადამიანი სასიკვდილოდ მცემეს, მჭონდა საკმაოდ მძიმე თავის ტრავმა, ვიყავი დაჩეხილი და ა.შ. იმ დროს სამედიცინო დახმარებაზეც კი უარს გვეუბნებოდნენ და ისეთი სიტუაცია იყო, რომ საპატიმროს სამედიცინო პუნქტშიც კი არ გადამიყვანეს, როდესაც პირადად მე უმძიმეს მდგომარეობაში ვიყავი.

„რეზონანსი“

გია გაჩეჩილაძე
მოძღვარი

სისხლიანი რეჟიმის დასრულებიდან 9 წლის შემდეგ ოპოზიციიდან ძალადობენ ხალხზე!

„საქართველოს რესპუბლიკა“

მიტროპოლიტებო, დაუჯერეთ ვაჟა-ფშაველას, რომელიც სწორედ თქვენნაირ სასულიერო პირებს მიმართავს: მღვდლებო-პოლიტიკოსებო, ანაფორები გაიძრეთ, თმები შეიკრიჭეთ და „პინჯაკებში“ გამოეწყვეთო!

აკაშვილმა 40-დღიანი მშრალი მარხვა შეინახა! **სინამდვილეში, სააკაშვილი კი არ მარხულობდა, არამედ, როგორც თვითონ აცხადებდა, პროტესტის ნიშნად შიმშილობდა, თანაც, ეს მშრალი შიმშილობაც არ ყოფილა, რადგან იგი წყალს, ნატურალურ წვენებსა და ლიმონათებს იღებდა.**

გარდა ამისა, პენიტენციური სამსახურის მიერ გავრცელებულ ვიდეოკადრებში ცხადად გამოჩნდა, რომ **„მოშიმშილე“ სააკაშვილი სხვადასხვა სახის ფაფას, მათ შორის, ხბოს ღვიძლის პიურესა და ცხოველური ცხიმების შემცველ საკვებ დანამატებს შეექცეოდა.**

მიტროპოლიტი ნიკოლოზი, რომელიც ამქვეყნიური სიამეებისა და ფუფუნების საგნების, მაგალითად, ძვირადღირებული ავტომობილებისა და სუპერთანამედროვე მობილური ტელეფონების მიმართ თავის მომეტებულ ლტოლვას ვერ მალავს, შესაძლოა, ფიქრობს, რომ დავით აღმაშენებლისა და დემეტრე თავდადებულის სადარ სააკაშვილს ხბოს ღვიძლისა და სხვა ცხოველური ცხიმების თქვლეფა არამხოლოდ შიმშილობად, არამედ მშრალ მარხვადაც უნდა ჩაეთვალოს, მაგრამ ქრისტიანული სწავლება და რელიგიური დოგმატიკა ასეთ „მარხვას“ არ იცნობს.

და კიდევ: **2021 წლის 1 ოქტომბერს დაპატიმრებულმა სააკაშვილმა შიმშილობა იმავე ღამეს გამოაცხადა, მიტროპოლიტი ფაჩუაშვილი კი რუსთავის ციხეში მის სანახავად ბოლოს 2021 წლის 8 ნოემბერს იმყოფებოდა. ელემენტარული არითმეტიკა გვიჩვენებს, რომ 2021 წლის 1 ოქტომბრიდან 2021 წლის 8 ნოემბრამდე არა — 40, არამედ 39 დღეა გასული და, შესაბამისად, მიტროპოლიტის განცხადება — სააკაშვილმა 40 დღე იშიმშილაო, უბრალოდ, ფაქტობრივი ტყუილია!**

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, **მიტროპოლიტი ნიკოლოზი,** რომელმაც **სააკაშვილს ცრუ შიმშილობა** „40-დღიან მშრალ მარხვად“ გაუსაღა, ისეთივე თაღლითია, როგორიც — თავად „მოშიმშილე“ სააკაშვილი, რომელსაც 39 დღის განმავლობაში ნატურალური წვენები, ფაფები და ხბოს ღვიძლის პიურეები არ დაუკლია!

აი, სწორედ ამიტომაც გახდა იძულებული საქართველოს საპატრიარქო, **მიტროპოლიტ ფაჩუაშვილთან** დაკავშირებით საგანგებო განცხადება გაევრცელებინა, რომელშიც ვკითხულობთ:

„საეკლესიო მარხვა არის სინანულის აქტი, რომელიც აღესრულება ცოდვათა მონანიებისა და შენდობის სასოებით და საერთო არაფერი აქვს უსამართლო მოპყრობის მოტივით განხორციელებულ ისეთ საპროტესტო ფორმასთან, სადაც მოშიმშილე შესაძლო მძიმე შედეგის პასუხისმგებლობას სხვას აკისრებს. ამიტომაც, პოლიტიკური მოტივებით განპირობებული შიმშილობის (მითუმეტეს, რაციონი არასამარხვოა) გაიგივება 40-დღიან მშრალ მარხვასთან მარხვის არსის დაკნინებაა. ვწუხვართ, რომ მღვდელმთავრის ბოლოდროინდელმა პირადმა შეხედულებებმა ურთიერთშენდობის გზაზე ნაბიჯების გადადგმის შესაძლებლობა კიდევ უფრო გაართულა“.

ვაჟა სწორედ მიტროპოლიტ ფაჩუაშვილის მსგავს სასულიერო პირებზე წერს – ეს მღვდლები „სულიერი მამები“ არიან „მიილე ჯამაგირის“ პარტიისაო!

როგორც ხედავთ, **საქართველოს საპატრიარქოს ოფიციალური განცხადება იმდენად მკაფიო და არაორაზროვანია, რომ არავითარ კომენტარსა თუ განმარტებას არ საჭიროებს, უბრალოდ, ქართველი საზოგადოების დიდ ნაწილს არავითარი ობიექტური საფუძველი არ გააჩნია, გაიზიაროს იმავე განცხადებაში გამოთქმული ოპტიმიზმი — იმედია, მეუფე ნიკოლოზი ასეთ გადაცდომებს მომავალში აღარ დაუშვებსო!**

მიტროპოლიტი ნიკოლოზი, რომელიც, როგორც ჩანს, ნაცრეჟიმისაგან დიდად კომპრომეტირებულიც არის და დიდად დავალებულიც, დამნაშავე სააკაშვილის ქომაგობას არათუ არ შეწყვეტს, არამედ წმინდა სინოდის სხდომაზე მალე ოფიციალურად დააყენებს საკითხს მისი ცოცხალ წმინდანად შერაცხვის შესახებ!

ჩვენი მხრივ, **მიტროპოლიტ ფაჩუაშვილსა და სხვა მიტროპოლიტებს,** რომლებიც დამნაშავე სააკაშვილის გაღმერთებით არიან დაკავებული, ერთი კეთილი რჩევა შეგვიძლია, მივცეთ — **დაუჯერეთ ვაჟა-ფშაველას, რომელიც თავის წერილში — „მღვდლების ვინაობა“ — სწორედ თქვენნაირ სასულიერო პირებს მიმართავს: მღვდლებო-პოლიტიკოსებო, ანაფორები გაიძრეთ, თმები შეიკრიჭეთ და „პინჯაკებში“ გამოეწყვეთო!**

იმავე წერილში ვაჟა სწორედ მიტროპოლიტი ფაჩუაშვილის მსგავს სასულიერო პირებზე წერს — **ეს მღვდლები „სულიერი მამები“ არიან „მიილე ჯამაგირის“ პარტიისაო!**

ვაჟა-ფშაველა სოფლის პატიოსანი მღვდლის შვილი იყო, მაგრამ ვინ ხართ თქვენ და რომელი პარტიის ჯამაგირს იღებთ, მიტროპოლიტებო?

ქართველმა ხალხმა ამ კითხვაზე პასუხი უკვე იცის, მაგრამ საკუთარ თავებს უპასუხეთ!

ჯაბა ხუბუა

სრულიად შეუფუთავად!

ლომჯარია შიშველია!

„სრულიად შეფუთული“ ლომჯარია გლდანის ციხესთან

სახალხო დამცველად წოდებულმა ნინო ლომჯარიამ განაცხადა — გლდანის ციხის სამკურნალო დაწესებულებაში სააკაშვილის სანახავად სრულიად შეფუთული შევედი, მაგრამ პატიმრები მაინც ჩემს გვარს სკანდირებდნენო!

ე.ი. გლდანის ციხის პატიმრები, რომლებიც მათ სიახლოვეს — მე-18 სამკურნალო დაწესებულებაში **სააკაშვილის** მოთავსებას ხმაურით, ანუ ე.წ. შუმოკით შეხვდნენ, მარტო მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი რეჟიმის ბელადს კი არა, მის სანახავად მისულ **„სრულიად შეფუთულ“** ლომჯარიასაც აგინებდნენ!

მაინც რას გულისხმობს ლომჯარია, როცა ამბობს, რომ სააკაშვილთან სამკურნალო დაწესებულებაში **„სრულიად შეფუთული“** შევიდა? ისე ეცვა, რომ პატიმრებს, წესით, ვერ უნდა ეცნოთ? საგანგებოდ შეინიღბა, რათა მსჯავრდებულებს ვერ გაერჩიათ, ვინ შედიოდა სამკურნალო დაწესებულებაში? თუ ასეა, გამოდის, რომ ლომჯარიას წინდაწინვე სცოდნია, რა რეაქცია ექნებოდათ პატიმრებს მის დანახვაზე! ე.ი. სახალხო დამცველს გაცნობიერებული ჰქონია, რომ მსჯავრდებულები მის მიმართ პროტესტსა და აგრესიას არ დაიშურებდნენ!

წარმოიდგინეთ, სახალხო დამცველი, რომელიც პატიმრებს ემალება!

წარმოიდგინეთ, სახალხო დამცველი, რომელიც ციხის სამკურნალო დაწესებულებაში სრულიად შეფუთული შედის, რათა მსჯავრდებულებმა შორიდან არ იცნონ და გინება არ აუტეხონ!

სამარცხვინოა ასეთი სახალხო დამცველი!

კატასტროფაა ასეთი სახალხო დამცველი!

არადა, პირიქით უნდა იყოს — პატიმრებს სახალხო დამცველის დანახვა უნდა უხაროდეთ! სახალხო დამცველი ყველა პატიმრის იმედი უნდა იყოს! სახალხო დამცველი პატიმრების მოწიწებასა და პატივისცემას უნდა იმსახურებდეს! ასეც არის ყველა ქვეყანაში, სადაც სახალხო დამცველი ნამდვილი სახალხო დამცველია, მაგრამ დღევანდელ საქართველოს სახალხო დამცველის პოსტზე ნაცმოძრაობის აქტივისტი და ხელიდან წასული ლიბერასტი უზის!

შესაბამისად, თუ დღევანდელ საქართველოში ნაციონალური მოძრაობის წევრი, აქტივისტი და მხარდამჭერი არა ხარ, შენთვის სახალხო დამცველი არ არსებობს, რადგან ლომჯარიას თვალში უფლებები არ გაგაჩნია!

თუ დღევანდელ საქართველოში ლგბტ აქტივისტი და ერთნაირსქესიანთა ქორწინების აპოლოგეტი არ ხარ, შენთვის სახალხო დამცველი არ არსებობს, რადგან ლომჯარიას თვალში მეორეხარისხოვან მოქალაქედ აღიქმები, რომელსაც საკუთარი უფლებების დაცვაზე პრეტენზიაც არ უნდა ჰქონდეს!

საერთოდ, ნაცლიბერასტული ფაშიზმი სწორედ იმაში გამოიხატება, რომ ნაცები ადამიანად არ თვლიან არავის, ვინც მათი მხარდამჭერი არ არის და ლიბერასტებს ადამიანების სათვალავში არ ჰყავთ არავინ, ვინც ლიბერასტულ სიბილწეს არ მისდევს, ლომჯარია კი, რადგან ნაციც არის და ლიბერასტიც, ხალხად მხოლოდ ნაცებსა და ლიბერასტებს მიიჩნევს, მხოლოდ იმათი სახალხო დამცველია და მხოლოდ იმათ უფლებებს იცავს!

ამიტომაც არის, რომ **ლომჯარია ციხის საავადმყოფოში სააკაშვილის სანახავად სრულიად შეფუთული შედის, რათა არ იცნონ და ობსტრუქცია არ მოუწყონ პატიმრებმა, რომელთა უფლებებითაც იგი არასოდეს დაინტერესებულა, რადგან მათ არათუ პატიმრებად, არამედ ადამიანებადაც არ თვლის!** თუმცა, სახალხო დამცველის მანტიით შეფუთული ნაცაქტივისტი ლომჯარია გლდანის ციხის პატიმრებმა მაინც იცნეს და საკადრისი „პატივიც“ მიაგეს!

ნათქვამია, მღვდელი ჭილოფშიც იცნობაო, ლომჯარია კი, როგორც ნაცმოძრაობის აქტივისტი და სააკაშვილის პერსონალური ომბუდსმენი, სახალხო დამცველის მანტიაშიც იცნობა! მოკლედ, **„სრულიად შეფუთული“ ლომჯარია, რეალურად, სრულიად შიშველია და ქართველი ხალხის წინაშე დგას, როგორც ცოცხალი მაგალითი, თუ როგორი არ უნდა იყოს სახალხო დამცველი!**

ჰოდა, „სრულიად შეფუთულ“ ლომჯარიას სრულიად შეუფუთავად უნდა ვუთხრათ, რომ, **როგორც სახალხო დამცველი, სრული არარაობა ბრძანდება!**

ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში საქართველოს ბევრი **სირცხვილი** უწვნევია და იმ **სირცხვილთა** შორის ნინო ლომჯარიას სახალხო დამცველობა ერთ-ერთი ყველაზე დიდი **სირცხვილია,** „ქართული ოცნების“ ხელისუფლება კი, რომელმაც უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური ინსტიტუტი — საქართველოს სახალხო დამცველის პოსტი — პირწავარდნილ ნაცაქტივისტსა და ქართველთმოძულე ლიბერასტს ჩააბარა, ამ დიდი სირცხვილის თანამონაწილეა!

ქართველმა ხალხმა რა დააშავა, რომ ოთხი წელია, სახალხო დამცველი არ ჰყავს, თორემ „ქართულ ოცნებაზე“ **ლომჯარია** სწორედ რომ ახია, ახი!

> **„სრულიად შეფუთული“ ლომჯარია, რეალურად, სრულიად შიშველია და ქართველი ხალხის წინაშე დგას, როგორც ცოცხალი მაგალითი, თუ როგორი არ უნდა იყოს სახალხო დამცველი!**

ჯაბა ხუბუა

კვირგვინოსნები

ირაკლი ზარქუა
პარლამენტარი

სააკაშვილს იმდენი ადამიანი ჰყავს გაბოროტებული, რომ შესაძლოა, სახელმწიფოს კერძო კლინიკაში მისი დაცვა გაუჭირდეს. სამწუხაროდ, სახალხო დამცველი **ნინო ლომჯარია** არის ნაციონალური მოძრაობის პარტიული დანამატი. ერთი პატიმარი მაინც გახსენდებათ, რომლის მიმართაც **ნინო ლომჯარიას** ანალოგიური მიდგომები ჰქონდა? მსგავსი რამ არ ყოფილა.

„პირველი არხი“

მამუკა გამყრელიძე
„ევროპული დემოკრატების“ ლიდერი



ხელისუფლება ჯერჯერობით კანონის ჩარჩოებიდან არ გადის. ვნახეთ ყველა კადრი, რომ არაჩვეულებრივი საკანი იყო, საკმაოდ დიდი ზომის, სუფთა, კარგი, ყველანაირი ტექნიკით აღჭურვილი, ყველაფერი იყო. სამარტოო საკანია, არავისთან შეხება არა აქვს. კორიდორიც ისეთია, რომ გადის, შეხება არავისთან არა აქვსო. **ყველა პირობას უქმნიან იმისათვის, რომ ნორმალურ პირობებში იყოს. ამას ხომ ვხედავთ, არა?! რომელ წამებაზეა ლაპარაკი, ვინ აწამებს მიშას?!**

„ახალი თაობა“

გოგა ხაინდრავა
კონფლიქტოლოგი

მეუფე **ნიკოლოზ ფაჩუაშვილს** — სააკაშვილის საქმიანობას დავით აღმაშენებლის და დემეტრე თავდადებულის ღვაწლს რომ გაუტოლებ, ასე მგონია, არც ქართულ ეკლესიას უნდა სცემდე პატივს და არც მის მრევლს.

„პირველი არხი“

ირაკლი გოგავა:

პატიმარ სააკაშვილს ზედმეტი მოწიწებით ექცევიან!

„შიმშილობაც, ისევე როგორც ყველაფერი სააკაშვილის ცხოვრებაში, ტყუილია!“

მას შემდეგ, რაც არჩევნები დასრულდა, ხელისუფლებას ახალი საზრუნავი გაუჩნდა — ნაციონალების ყოველდღიური პროვოკაციების მოგერიება და მსოფლიოსთვის იმის მტკიცება, რომ მესამე პრეზიდენტი ციხეში არაადამიანურ პირობებში არ იმყოფება. რა ხდება რეალურად ამ პროვოკაციების მიღმა, როგორია დასავლეთის დამოკიდებულება სააკაშვილისადმი და რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ იმისათვის, რომ ეს ქაოსი დასრულდეს? ამ და სხვა აქტუალურ თემებზე ყოფილ პარლამენტარს, პოლიტოლოგ ირაკლი გოგავას ვესაუბრებით.

— პირდაპირ გკითხავთ, ამ უფლებას თუ არა ხელისუფლება სააკაშვილს არაადამიანურ პირობებში?

— პირიქით, პატიმარ სააკაშვილს ზედმეტი მოწიწებით ექცევიან! ახლა რომ ამბობენ, ძალით გადაიყვანეს ავტომობილიდან გლდანის საავადმყოფოში, აბა, სხვანაირად როგორ უნდა გადაეყვანათ პატიმარი, რომელიც არ ემორჩილებოდათ?! რამე სხვა რეცეპტი არსებობს?! **შიმშილობაც, ისევე როგორც ყველაფერი სააკაშვილის ცხოვრებაში, ტყუილია!** აღმოჩნდა, რომ დეტოქსიკაციის კურსს გადიოდა და ჯანმრთელობისთვის ძალიან სასარგებლო საბავშვო კვების პროდუქტებს მიირთმევდა.

მას შემდეგ, რაც **სააკაშვილის** ფსიქიკური მდგომარეობა ვნახეთ და მისი პირადი ექიმის, ბატონი ყიფშიძის განცხადება მოვისმინეთ თალასემიის დაავადებასთან დაკავშირებით, რაც უმრავლეს შემთხვევაში გონებრივ ჩამორჩენილობასა და ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანებას იწვევს, კიდევ უფრო გამიმძაფრდა ეჭვი, რომ მსჯავრდებული ექსპრეზიდენტი რეალობას მოწყვეტილია. დიახ, **სააკაშვილმა დაიჯერა, რომ ამ მილიონობით ადამიანი დახვდებოდა და „ვარდების კორიდორს“ გაუკეთებდა.** მას 1995 წლიდან მოყოლებული ვიცნობ. შემიძლია ვთქვა, რომ რაინდული სულისკვეთებითა და ვაჟკაცობის მაღალი ხარისხით არასოდეს გამორჩეოდა.

— რას ამბობენ უკრაინელები თავიანთ მოქალაქეზე? წლების განმავლობაში მუშაობდით უკრაინაში და როგორც ვიცი, იქ ხელისუფლებში არაერთი ნაცნობი გყავთ.

— როდესაც ერთ-ერთ უკრაინელ მაღალჩინოსანს ვკითხე, მართლა გინდათ, სააკაშვილი რომ დაგიბრუნდეთ-მეთქი, ო' ჰენრის მოთხრობა „წითელკანიანთა ბელადი“ გაიხსენა, ანუ არავის სჭირდება შლეგი და არაპროგნოზირებადი ადამიანი, მათ შორის, არც უკრაინას! ის აჟიოტაჟი, რომელიც დღეს საქართველოში სააკაშვილთან დაკავშირებით არის ატეხილი, მხოლოდ ტექნოლოგიის ნაწილია, რაზეც ქართველი ერი უკვე აცრილია. შესაძლოა, ვიღაცას უცხოეთში ჰქონდეს რეაქცია, თუმცა, ისინიც შესანიშნავად იცნობენ სააკაშვილს. მხოლოდ მესამეთანრიგოსანი პოლიტიკოსები თუ ამბობენ რამეს მის დასაცავად, სერიოზული ფიგურები კი სააკაშვილის საკითხით არ ინტერესდებიან.

— გამოდის, სააკაშვილის დაპატიმრებით საერთაშორისო დიპლომატები შეძრული არ არიან, როგორც ამას ოპოზიციური ტელეკომპანიები იუწყებიან?

— **დასავლეთში სააკაშვილს უყურებენ როგორც ჩამოგდებულ მფრინავს, რომელიც, რაც უნდა მაგარი იყოს, თავის ძველ ფუნქციას ვეღარ შეასრულებს!** ერთადერთი განცხადება მოვისმინე სერიოზული ფიგურისგან — ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერ **ნედ პრაისისგან** და მანაც მხოლოდ ის აღნიშნა, ყურადღება მიაქციეთ სააკაშვილის ფსიქიკურ ჯანმრთელობასო! ის შვიდი-რვა ევროპარლამენტარი, რომელიც აქტიურობს, ძირითადად ბალტიისპირეთის ქვეყნების წარმომადგენლები არიან და თავიანთი ინტერესები აქვთ.

— მაინც რა ინტერესები ამოძრავებთ?

— ცდილობენ, სააკაშვილის საშუალებით საქართველოს ხელისუფლება დაასუსტონ! **ევროკავშირის მიზანია, საქართველო მაქსიმალურად იყოს დამოკიდებული ბარე მმართველობაზე, რაც „შარლ მიშელის შეთანხმებაშიც“ აისახა, რომელშიც პირდაპირ ჩაწერეს, რომ ქართველ მოსამართლეთა კანდიდატურების კეთილსინდისიერებას და ცესკოში საარჩევნო დავების ბანსჯას უცხოელი ექსპერტები შეაფასებდნენ!** და კიდევ, ბალტიისპირელ პოლიტიკოსებს შეიძლება ურჩევნიათ, რუსეთთან დაპირისპირების პირველ ხაზზე საქართველო იყოს და ჩრდილოელმა მეზობელმა მათი ქვეყნებიდან ყურადღება გადაიტანოს! **ვფიქრობ, ევროკავშირთან ურთიერთობები გადასახედია!**

— ეს როგორ უნდა გავიგოთ?

— ევროკავშირთან ურთიერთობის გადახედვა არ გულისხმობს კურსის ცვლილებას, ჩვენ ევროპული სახელმწიფო ვართ და ევროპასთან ერთად უნდა განვითარდეთ, მაგრამ აუცილებლად უნდა გადაიხედოს ურთიერთობების ფორმატი. **რა გვესაძმეა ისეთ ხალხთან, რომლისგანაც პატივისცემას ვერ გზრძნობთ?!** საერთოდ, მესამეთანრიგოსანი პოლიტიკოსები უნდა ჩამოშორდნენ საქართველოს საკითხებს და გერმანია ჩავრთოთ, რადგან საქართველოს გერმანელებთან თანამშრომლობის ძალიან კარგი გამოცდილება აქვს.

რაც შეეხება ქვეყნის შიდა პოლიტიკას,

„დასავლეთში სააკაშვილს უყურებენ როგორც ჩამოგდებულ მფრინავს, რომელიც, რაც უნდა მაგარი იყოს, თავის ძველ ფუნქციას ვეღარ შეასრულებს!“

„დააბრუნებინეთ სააკაშვილს ნაძარცვი მილიარდები და ის ქართული სინამდვილიდან შარშანდელი თოვლივით გაქრება მთელ თავის კრიმინალურ ქსელთან ერთად!“

სააკაშვილისთვის და ჩვენთვისაც საუკეთესო გამოსავალია, თუ მოინანიებს ჩადენილ დანაშაულებს, რისკენაც მოუწოდა საპატრიარქომ,

კვირგვინოსნები

ნინო კალანდაძე
საჭმელთა ბიზნესტრის ყოფილი მოადგილე

ვის ებოდიშებით? რუსეთისა და ქურდების ხელისბიჭებს? თუ ვინმეს ჰგონია, სააკაშვილის პატიმრობა ბოლომდეა, შეუმდგარი, საკუთარ ცხოვრებაზე დაბოღმილი რევანშისტების გარდა ვინმეს მართლა გულს ფხანს? თუ იმათ ებოდიშებით, ვინც 9 წელიწადია, ქვეყნის ნაგვის ბუნკერად გადაქცევას იტანს და კიდევ „იმ 9 წელს“ გაიძახის? მაგ ხალხს ბოდიში კი არ უნდა მოუხადოთ, ხმა უნდა დაუწშოთ.

„GTMEDIA“

გია ბარკაიძე
ნაციონალური მოძრაობის წევრი

ჩვენი სულიერი და პოლიტიკური ლიდერია ბუმბერაზი კაცი **მიხეილ სააკაშვილი,** რომელიც **მეუფე ნიკოლოზმა** დავით აღმაშენებელს შეადარა სავსებით საფუძვლიანად.

„პირველი არხი“

თაკო ჩარკვიანი
პარტია „ევროპული საქართველოს“ ლიდერი

გამოსავალს ასეთ რაღაცაში ვხედავ, ერთხელ უნდა გავიჭირვოთ, მთელ რუსთაველზე ლეიბები დავყაროთ და გავწვეთ.

„პირველი არხი“

დავით სააკაშვილი
მიხეილ სააკაშვილის ძმა

ჩემი აზრით, უკრაინისთვის გადაცემას თვითონ მიშა არ დასთანხმდება, მისი გული და სული საქართველოშია.

„ტვ პირველი“

ზურაბ ქადაგიძე
ანალიტიკოსი

ნაცებო, თუკი ფეიკებით, მოდელირებით, ტყუილით და ცრუ მოლოდინებით საწადელს ვერ მიაღწევთ, **ელენე ხოშტარიას** კი არა ნახევარ ოპოზიციას გაწყვეტთ სასურველი დესტაბილიზაციის სურვილით. კარგად გაგიცნოთ ქართველმა საზოგადოებამ, რა ჯიშისაც ხართ.

„იმედინიუსი“

„90-იან წლებში პალერმოს ყოფილმა პროკურორმა ლეოლუკა ორლანდომ, რომელმაც თავის დროზე სიცილიური მაფია მოთოკა, საქართველოში სტუმრობის დროს ასეთი რამ გვითხრა: საკმარისი არ არის მაფიოზი ციხეში გყავდეს, აუცილებელია, მას ფული არ დაუტოვო, რომ ციხიდან შავი საქმეები აღარ აკეთოს!“



დააბრუნებს ნაძარცვ ფულს, რაც საქართველოდან ოფშორებში გაზიდა, გააკეთებს განცხადებას პოლიტიკიდან წასვლის შესახებ, მოიხდის იმ მინიმალურ სასჯელს, რაც მიუსაჯეს და გაივლის სულიერ კათარზისს – რეგულარულად ნაიკითხავს ბიბლიას.

— რამდენად რეალურია ეს იმ ადამიანისგან, რომელსაც დღემდე ბოდიშიც არ მოუხდია არცერთი დაზარალებულისთვის?

— ვფიქრობ, ახალი წლის შემდეგ, სადღაც თებერვლიდან, მას შინაგანი ბრძოლა დაეწყება და გარკვეულ საკითხებზე დაფიქრდება. ბევრი შემთხვევა ყოფილა, როცა რეციდივისტს მოუნანიებია და ბერად აღკვეცილა.

— ხელისუფლებამ რა უნდა გააკეთოს, რომ ქვეყანა დამშვიდდეს და ყოველდღიურად ახალ-ახალი პროვოკაციების მოგერიება არ უწევდეს?!

— **საპატიმროდან დიდძალი ფული გამოსძალა ქართველ ხალხს სხვადასხვა ფორმით, მინიმუმ 10 მილიარდ დოლარზე მეტი მოიპარა ხალხისგან — 850 ათასი საპროცესო ბარიგება, 40 ათასი ბიზნესმენისთვის წართმეული ქონება, ჯარიმები, მსხვილი იმპორტიორების 20-პროცენტიანი ე.წ. ატკატები, გაყინული ხორცის ბიზნესი, მოგებილურების იმპორტის მონოპოლია, ფქვილის ბიზნესი, საწვავი,** საკუთარი მონოპოლიები და კარტელები ყველაზე გაყიდვად საქონელზე, საგარეო ვალი, რომელიც მან გაასამმაგა, ფულის გათეთრება, ბიზნესის ტერორი, სახელმწიფო, ანუ ხალხის ქონების პრივატიზაცია ორმაგი კონტრაქტებით — **„ბორჯომი“, პორტები, ჰესები, უძრავი ქონება, მიწები, რკინიგზა, საბაჟო ტერმინალები, სათამაშო ბიზნესი, იარაღით ვაჭრობა, ნარკოტიკების ტრანზიტი და ბრუნვა, წიაღისეული და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი რამ!** უზარმაზარი ფული წაიღეს და ახლა ამ ფულს ხარჯავენ.

დააკვირდით, ამ კრიმინალურ დაჯგუფებას რამხელა ქსელი აქვს დღეს — ტელევიზიები, საინფორმაციო სააგენტოები, არასამთავრობო ორგანიზაციები, სოციოლოგიური კვლევის ცენტრები, გაზეთები, საინფორმაციო ვებ-გვერდები, უცხოელი ლობისტები სხვადასხვა ქვეყანაში, საკომუნიკაციო ფირმები, პოლიტტექნოლოგები, რამდენიმე პარტია. ამ ქსელის დაფინანსება წელიწადში მინიმუმ 200 მილიონი ლარი ჯდება. გადათვალეთ, 9 წლის მანძილზე 2 მილიარდამდე გამოდის.

90-იან წლებში პალერმოს ყოფილმა პროკურორმა **ლეოლუკა ორლანდომ,** რომელმაც თავის დროზე სიცილიური მაფია მოთოკა, საქართველოში სტუმრობის დროს ასეთი რამ გვითხრა: საკმარისი არ არის, მაფიოზი ციხეში გყავდეს, აუცილებელია, მას ფული არ დაუტოვო, რომ ციხიდან შავი საქმეები აღარ აკეთოს!

— ამით რისი თქმა გსურთ?

– თუ გვინდა, ამ ძალისგან დავისვენოთ და მართლაც დასრულდეს ნაციონალური მოძრაობა, მათი დაფინანსების წყაროები უნდა გადაიკეტოს!

300-500-კაციანი რაზმით რომ ანჯღრევენ ქვეყანას და დესტაბილიზაციას ქმნიან, ეს ყველაფერი იმისთვის ხდება, რომ პატიმარმა სააკაშვილმა ამ ჯგუფს დაფინანსება არ შეუწყვიტოს, ტელევიზორში უყუროს, რომ მის ფულს ითვისებენ. დღეს ნაციონალურ მოძრაობაში ძალიან ბევრი ადამიანი არის სააკაშვილის დაფინანსებაზე დამოკიდებული.

დაბრუნებინეთ სააკაშვილს ნაძარცვი მილიარდები და ის ჭართული სინამდვილიდან შარშანდელი თოვლივით ბაჭრება მთელ თავის კრიმინალურ ქსელთან ერთად! არსებობს კერძო საძიებო ფირმები, რომლებიც ორ-სამ თვეში მიწიდან ამოიღებენ სააკაშვილსა და მის ამფსონებს, თუ სადმე რამე აქვთ გადამალული.

— ვიდრე ხელისუფლება ამ რჩევას გაითვალისწინებდეს, თქვენი პროგნოზი როგორია, შეძლებს ე.წ. კრიმინალური ქსელი დესტაბილიზაციის მოწყობას?

— ჩემი პროგნოზით, **თებერვლიდან ნაციონალური მოძრაობა დაშლას დაიწყებს და უპერსპექტივობის გამო ბევრი ჩამოსცილდება პოლიტიკას,** უფრო ჯანსაღი პოლიტიკური გარემოს მშენებლობა დაიწყება საქართველოში! მთავარია, ხელისუფლების მიერ სწორი პოლიტიკის გატარება. ბევრი რამ არის დამოკიდებული მათ გადაწყვეტილებაზე!

ესაუბრა
ნატო ფოცხიშვილი

ხოშტარიამ სააკაშვილი და მისი შიმშილობა შეგნებულად გააბანძა!

სააკაშვილის საცირკო შიმშილობა მთელმა საქართველომ იხილა: მიშიკომ 40 დღეზე მეტი იმიტომ „იშიმშილა“, რომ ხან თაფლს მიირთმევდა და ხანაც — ხბოს ღვიძლიან პიურეს, „მინერალურ დანამატებად“ რომ მონათლეს ნაცფიურერის გასაპრავებლად მისმა უბადრუკმა სექტის წევრებმა!



„სტრასბურგის სასამართლომ **სააკაშვილს** შიმშილობის შეწყვეტისაკენ მოუწოდა, რითიც დაიმსხვრა ხელისუფლების მიერ შეთხზული მითი, ვითომდა, სააკაშვილი არ შიმშილობს!“ — აი, ეს ახარა მხარდამჭერებს თვალების ეშმაკური ციმციმით სააკაშვილის ჯიბის გებელსინა **ბმარამიმ,** რომელმაც, რა თქმა უნდა, არ აღნიშნა — სტრასბურგის სასამართლომ ფეხებზე დაგვიკიდა და არ დააკმაყოფილა ჩვენი სარჩელი სააკაშვილის კერძო საავადმყოფოში გადაყვანაზეო!

არადა, სტრასბურგის სასამართლომ, ყოველგვარი ხბოსღვიძლიანი პიურეებისა თუ ჩალაღაჯების დეტალიზირების გარეშე, **სააკაშვილს** მარტივად მოუწოდა ვითარების დეესკალაციისა და შიმშილობის შეწყვეტისაკენ.

თუმცა, რად გვინდა სტრასბურგის სასამართლოს დასკვნები, როდესაც ყველაფერი ისედაც ხელისგულზე დევს: **მთელმა საქართველომ იხილა, როგორ კუნტრუშითა და ორი დიდი პარკის ამოილიავებით დატოვა რუსთავის ციხე „40 დღის ნაშიმშილევმა“ სააკაშვილმა!**

მთელმა საქართველომ საკუთარი თვალით ნახა, როგორ „დაიკლო 20 კილო“ ტახივით ჯანიანმა სააკაშვილმა, რომელიც მუცელგაშტიკინებული ეჯგიმებოდა გლდანის საპყრობილეში მის გადამყვან ციხის ზედამხედველებს!

თუკი ვინმეს ჰგონია, რომ 40-დღიანი შიმშილობის შემდეგ ადამიანს შეუძლია ოთხ ჯანლონიან ზედამხედველს ეჭიდაოს და გლდანის საპყრობილეში მისთვის განკუთვნილ საავადმყოფოს საკანში უველაფერი დალეწოს, ან ძალიან შტერია, ანდა — მთლად გამონაცებული!

ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, აგერ არის მოშიმშილე **ელენე ხოშტარია,** რომელმაც ოფიციალური განცხადებით ეს შიმშილობა პარლამენტის შენობაში სწორედ, „მოშიმშილე“ სააკაშვილის კერძო საავადმყოფოში გადაყვანის მოთხოვნით დაიწყო.

ყველამ ნახა, რომ **ელენე ხოშტარია** შიმშილობის მესამე-მეოთხე დღეს ძლივს გადაადგილდებოდა და ძლივს ლაპარაკობდა, ხოლო „40-დღიანი შიმშილობის“ შემდეგ **სააკაშვილი** ისე დახტოდა და გაჰკიოდა, თქვე პუტინის მონებოო, თქვენი მოწონებული!

და ეს იცით, რატომ ხდებოდა?! იმიტომ, რომ **ელენე ხოშტარია,** სააკაშვილისაგან განსხვავებით, მართლა შიმშილობს! მან იმთავითვე ხაზგასმით განაცხადა — არავითარ თაფლსა და მინერალვიტამინებს არ მივიღებო, ანუ ისე არ ვიშიმშილებ, როგორც სააკაშვილიო! გონივრული ეჭვი მაქვს, **ეს უველაფერი ხოშტარიამ შეგნებულად გააკეთა, რადგან მშვენივრად იცოდა, რომ მისი შიმშილობის ფონზე სააკაშვილის შიმშილობა კლოუნადად გამოჩნდებოდა,** ვინაიდან მთელი ქვეყანა დაინახავდა, რას უშვრება რეალური შიმშილობა ადამიანს სულ რამდენიმე დღეში და როგორ თვალში საცემად აუძლურებს.

შეიძლება, ვინმემ თქვას, **ელენე ხოშტარია** ქალია, სააკაშვილთან, ანუ მამაკაცთან შედარებით ფიზიკურად სუსტიაო, მაგრამ, როგორც თავად სააკაშვილი იტყოდა, ნურას უკაცრავად! **ელენე ხოშტარია** ისეთი „მამალი“ ქალია, რომ ათ სააკაშვილისნაირ „კაცს“, ფორას მისცემს! ეს ის ხოშტარიაა, სატვირთო მანქანის ძარაზე რომ ციმციმ აძრომაც შეუძლია და პოლიციის მოძრავი ავტომობილის „კაპოტზე“ შეხტომაც!

მოკლედ, თუკი ვინმემ გააბითურა **„სააკაშვილის შიმშილობა“,** ეს სწორედ **ელენე ხოშტარიაა!** თუკი ვინმემ დააჩმორა და გააბანძა **„სააკაშვილის თავგანწირვა“,** ეს სწორედ **ელენე ხოშტარიაა!**

და კვლავაც გავიმეორებ: ეჭვიც არ მეპარება, რომ **ელენე ხოშტარიამ** ეს შეგნებულად გააკეთა, რადგან იცოდა, როგორ შეადარებდა ხალხი **მოშიმშილე** ელენე ხოშტარიასა და **„მოშიმშილე“** სააკაშვილს!

და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი, რომლითაც მტკიცდება, რომ ელენე ხოშტარიამ შეგნებულად გააბანძა სააკაშვილი: **ხოშტარიამ გაგანია შიმშილობისას რამდენჯერმე განაცხადა, რომ, თუკი სააკაშვილი პრეტენზიას განაცხადებს მომავალ ხელისუფლებაში ყოფნაზე, მე ამ კოალიციას დავტოვებ, რადგან ჩვენი ეს ოპოზიციური კოალიცია იმ პირობით შეიქმნა, რომ ერთი ბელადის ხუშტურებზე არ ვაპირებთ სიარულსო!**

აი, ამიტომაც, ეჭვიც არ მეპარება, რომ ხოშტარიამ მიზანმიმართულად გააბანძა სააკაშვილი!

გიორგი გიგაური

„ვფიქრობ, ევროკავშირთან ურთიერთობები გადასახედია! რა გვესაქმება ისეთ ხალხთან, რომლისგანაც პატივისცემას ვერ ვგრძნობთ?!“

თამთა მესხი
საჯარო მმართველობის დოქტორი

ნაციონალური მოძრაობა მიშიზმით შეპყრობილი ძალაა, რომელიც ახალ მსხვერპლს ეძებს, თან უკვე საკუთარ გუნდში, პარტიის რიგებში.

„იმედინიუსი“

გია აბაშიძე
ანალიტიკოსი

დამნაშავე ნაცრეჟიმის ჯალათები **ხოშტარიას** კი არა, საკუთარი ოჯახების წევრებსაც გაიმეტებენ ხელისუფლებაში მობრუნების სანაცვლოდ.

„იმედინიუსი“

ნანუკა ჟორჟოლიანი
ჟურნალისტი

პატიმრები, რომლებიც **მიხეილ სააკაშვილს** აგინებდნენ, არიან სუსის ბიჭები, ისინი უმცირესობაში არიან, ამიტომაც ფართხალებენ საკნებში ვირთხებივით.

„პირველი არხი“

დავით ზილფიანი
საგარეო ურთიერთობათა ეროვნული ფონდის პრეზიდენტი

ოპოზიციის შემორჩენილი „ლიდერშიფი“ დამძიმებულია წარსული მოღვაწეობისას გამოკვეთილი თვისებებით, როგორებიცაა კაცთსიძულვილი, მკვლელობები, ზიზღი, ბოროტება და დიქტატურა.

„იმედინიუსი“



თორნიკე მოლაშვილი:

სააკაშვილო, რა დაგიშავა ქართველმა ხალხმა? რატომ დაგვხოცე?

„დღეს სააკაშვილს ციხეში „პრახადნოი დვორი“ რომ აქვს, სულხანს ოჯახის წევრების ნახვის საშუალება წელიწადი და სამი თვე არ მისცეს, ბოლოს კი, როცა ნება დართეს, უთხრეს, ორ ბავშვზე მეტის შემოსვლა არ შეიძლება და სამი შვილიდან ორი ამოირჩიეო!“

გასულ კვირას სააკაშვილის გლდანის ციხის საავადმყოფოში გადაყვანას სანაცეთის მოთქმა-გოდება მოჰყვა — პრეზიდენტს კლავენ, არაადამიანურად ეპყრობიანო. დიახ, ამას ის ადამიანები ამბობენ, ვინც სულხან მოლაშვილი აწამა და ისინიც, ვისაც კრინტი არ დაუძრავს სააკაშვილის რეჟიმის დროს კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის უკანონო პოლიტიკურ პატიმრობაზე. როგორც სულხან მოლაშვილის ძმა, თავადაც ნაცრეჟიმის ყოფილი პოლიტპატიმარი

თორნიკე მოლაშვილი

ამბობს, სააკაშვილი დღეს იმის ხუთ პროცენტსაც არ იმკის, რაც დათესა. მისივე თქმით, ჯერ კიდევ არ არის გვიან, ხელისუფლებამ ყველაფერს თავისი სახელი დაარქვას:

— რადგანაც დღეს იმაზე მიდის მსჯელობა, არაადამიანურ პირობებში ამყოფებენ თუ არა **მიხეილ სააკაშვილს,** კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, ეს არის ბუნებით მატყუარა, მხდალი, ბოროტი და დიქტატორი, რომელსაც 15 კლასელი ჰყავს დაპატიმებული. დიახ, ჰორაობის დონეზე არ ვამბობ, უბნელი ბიჭები, რომლებიც ყმაწვილკაცობაში ყურადღებას არ აქცევდნენ, სააკაშვილმა ყველა დაიჭირა! საკუთარ ცოლს „ფეისბუქის“ საშუალებით გააგებინა ახალი ცხოვრების დაწყების შესახებ — აი, ეს კაცია **სააკაშვილი** და ახლაც ყველანაირ პროვოკაციაზე მიდის, რომ სიტუაცია დაიძაბოს.

— სააკაშვილი ამ ქვეყნის პრეზიდენტი იყო და როგორც ამბობენ, მისი გლდანის ციხეში გადაყვანით სახელმწიფო ინსტიტუტს მიაყენეს შეურაცხყოფა!

— პირველ რიგში, **სააკაშვილმა საკუთარ თავს მიაყენა შეურაცხყოფა, როცა არაუნებში დამალულმა გადმოკვეთა ქვეყნის საზღვარი!** იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ თავისი ქვეყნის მოქალაქეობა სხვა ქვეყნის მოქალაქეობაზე გაცვალა.

გულწრფელად გეტყვით, არ იყო სასიამოვნო საყურებელი კადრები, თუ როგორ მიიტანეს ამბელა კაცი ოთახამდე, მაგრამ ნახეთ, თავად როგორ აყენებდა თანამშრომლებს შეურაცხყოფას, 40 დღის ნაშიმშილარი პატიმარი როგორ იქნევდა ხელებს? ვინც დღეს **სააკაშვილის** არაადამიანურ მოპყრობაზე საუბრობს, როგორც ჩანს, არ იცის ამ სიტყვის სწორი განმარტება. არაადამიანური მოპყრობა და წამება ის იყო, რაც **სულხანს** გაუკეთეს ციხეში. წამება სულხანის ციხეში მონახულების შემდეგ **მათიას იორშმაც** კი ვერ დამალა გაოცება — ჩვენ ასეთ დღეში პირუტყვიც კი არ გვყავსო! **ელენე თევდორაძე** ცოცხალია და ჰკითხეთ, როგორ პირობებში იყო **სულხან მოლაშვილი,** როგორ აწვავდნენ სხეულზე სიგარეტებს. დღეს **სააკაშვილს** ციხეში „პრახადნოი დვორი“ რომ აქვს, სულხანს ოჯახის წევრების ნახვის საშუალება წელიწადი და სამი თვე არ მისცეს, ბოლოს კი, როცა ნება დართეს, უთხრეს, ორ ბავშვზე მეტის შემოსვლა არ შეიძლება და სამი შვილიდან ორი ამოირჩიეო!

ელენე ხოშტარია — ოთხი შვილის დედა დღეს თავს რომ სწირავს სააკაშვილისთვის, რატომ არ დაიცვა პოლიტიკური პატიმრის სულხან მოლაშვილის ოჯახის უფლებები? რატომ არ ამოიღო ხმა, როცა მამას შვილებთან შეხვედრის უფლებაც არ მისცეს და სხეულზე სიგარეტებს აწვავდნენ?

ღღეს თუ ვინმეს ინტერესებში შედის პატიმარი სააკაშვილის კარგად ყოფნა და ჯანმრთელობა, ეს არის „ძართული ოცნება“! სხვა საკითხია, ვის სჭირდება და ვინ აწყობს მკვდარი სააკაშვილი.

— ვის აწყობს?

— იყო დრო, როდესაც **მიხეილ სააკაშვილი მერაბიშვილთან, ადეიშვილთან, ბოკერიასთან, თარგამაძესთან** ერთად იჯდა კაბინეტში და გეგმავდა ამა თუ იმ ადამიანის დაჭერას, მოცილებას, მოკვლას, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, დღეს კი ეს ადამიანები ლოცულობენ, სააკაშვილს ციხეში რამე მოუვიდეს, რომ მერე ყველაფერი მთავრობას დაბრალდეს და ამაზე თავიანთი პოლიტიკური კარიერა ააგონ.

პირდაპირ ვამბობ, **ვიდრე საქართველოში ნაციონალური მოძრაობა, როგორც პოლიტიკური პარტია იარსებებს, ეს ქვეყანა ვერ დალაგდება!** სულხანი პირდაპირ ადებდა ხელს **ბიბა ბოკერიას** თავის წამებაში, მაგრამ ვინმემ აგე-

დიმიტრი ხუნდაძე
პარლამენტარი

დღეს რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებასთან მნახველების რიგი დგას, მაშინ რიგი იდგა გარდაცვლილების გამოყვანის დროს. ზუსტი სტატისტიკა მახსოვს: **ყოველ 5 დღეში 3 გვამი გამოდიოდა ციხიდან. მიხეილ სააკაშვილის** ბედია, რომ თავისი რეჟიმის შექმნის პირობებში არ მოხვდა ციხეში და დღეს ფაფაც კი ხელმისაწვდომია მისთვის.

„ტვ იმედი“

ლია მეხაშვრია
ოპერისტი

არ ვამბობ, რომ **სააკაშვილი** ანგელოზი და უდანაშაულოა. მანაც უნდა აგოს პასუხი, მაგრამ იმ პირებთან ერთად, ვინც უშუალოდ მონაწილეობდნენ მისი ბრძანებების შესრულებაში. ქვეყნის სირცხვილია, რომ **სააკაშვილი, ოჭრუაშვილი და ბიბი უგულავა** პოლიტპატიმრებად მოგვევლინნენ. ჩვენი სირცხვილია, რომ მთავრობას მივეცით განუსაზღვრელი უფლებები და კრიმინალებისგან პოლიტპატიმრებს ქმნიან.

„კვირის პალიტრა“

გაგუშა არველაძე
ექსპერტი

ხალხის ძალიან დიდი ნაწილისთვის მიუღებელია ნაცმოძრაობა და რაც ყველაზე მეტად მაშინებს, არის **სამოქალაქო ომი.** ხალხში რევოლუციური განწყობა არ არის, მაგრამ მუხტის გაძლიერება ისე ნელ-ნელა ხდება, რომ საბოლოოდ მოქალაქეებს შორის გაჩნდება აგრესია. რევოლუცია მხოლოდ იმას კი არ ნიშნავს, რომ წყობა შევცვალოთ. ნიშნავს იმას, რომ ხალხში არის დიდი აგრესია, რაც **სამოქალაქო დაპირისპირებაში** შეიძლება გადაიზარდოს და მერე ამას გინდა, რევოლუცია დაარქვი და გინდა — სხვა რამ.

„კვირის პალიტრა“

ნინო ლომჯარია
სახალხო დამცველი

გლდანის ციხეში პატიმრებმა მაგინეს. **სრულიად შეფუთული შევდივარ მე, პირადად, ციხეში.** რამდენიმე წამი დამჭირდა, სანამ შევიდოდი მანქანიდან მე-18 დაწესებულებაში და ამ რამდენიმე წამის განმავლობაში ჩემს გვარსაც სკანდირებდნენ.

„ახალი თაობა“

„ზურაბ ჟვანიას თავში ესროლეს და ისე მოკლეს! არავითარი შემთხვევით გავარდნა არ ყოფილა, გამიზნულად ესროლეს!“



კერძო ტელეკომპანიის ხელმძღვანელია, ხოლო ბოკერიას და უგულავას პოლიტიკურ ზედაპირზე ტივტივის საშუალებას ამომრჩეველი აძლევს?

— ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას. ჯერ კიდევ არ არის გვიან. იმდენი ცოდვა აქვთ მათ ჩადენილი, იმდენი ადამიანი ჰყავთ გამწარებული, საქმის შეთხზვა საჭირო არ არის, უამრავი მტკიცებულება არსებობს, რათა გასამართლდნენ.

გაიხსენეთ, ქალაქის მაშინდელმა პროკურორმა **გალერი ბრიგალაშვილმა** რატომ დააკავა **სულხან მოლაშვილი?** პრემიის სახით გაცემული 37 200 ლარის გამო! პასუხი რომ მოეთხოვათ ამ ვითომ პროკურორისთვის ან თუნდაც ახლა მოსთხოვონ, ასე ხომ ვეღარ ილაპარაკებენ. დაიბარონ **გალერი ბრიგალაშვილი** და ჰკითხონ, ვისი დავალებით დაიჭირა **სულხან მოლაშვილი? ცხადია, საქართველოს ოკუპანტების ინტერესებიდან გამომდინარე.**

ვალერი გრიგალაშვილი

ცხადია, საქართველოს ოკუპანტების ინტერესებიდან გამომდინარე.

ბოლოს როდის და ვინ ამოიღო ხმა **ზურაბ ჟვანიას** მკვლელობაზე? პრემიერი გაზით რომ არ გაგუდულა, ეს ხომ ეჭვგარეშეა?! რატომ არ გამოაქვთ საამკარაოზე და არ ამბობენ სიმართლეს?! თქვან, როგორ ესროლეს და მოკლეს!

— ესროლეს?

— დიახ, ჩემი ინფორმაციით, **ზურაბ ჟვანიას თავში ესროლეს და ისე მოკლეს! არავითარი შემთხვევით გავარდნა არ ყოფილა, გამიზნულად ესროლეს!** მე თუ ვიცი ეს, ე.ი. კიდევ ბევრმა იცის. რატომ არ იღებს არავინ ხმას? რატომ ვერ დაადგინეს, ვინ გაააყალბა დოკუმენტები?! ამერიკის „ფებეერმა“ საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების შემდეგ დადო დასკვნა, გაზი რომც გაპარულიყო, ადამიანის გარდაცვალებას ვერ გამოიწვევდაო, ამ დასკვნის ქართულ თარგმანში კი წერია, გაზის გაჟონვის შედეგად შესაძლებელი იყო ადამიანის გარდაცვალებაო! ვიღაცამ ხომ შეცვალა დასკვნა?! თქვე ოჯახაშენებულებო, იმ თარჯიმნიდან დაიწყეთ გამოძიება და გახვალთ ბოლოში, რატომ არ აკეთებთ ამას?

— თქვენი აზრით, რატომ დუმს ყველა?

— იმიტომ, რომ „დემოკრატიის შუქურა“ **მიხეილ სააკაშვილი** დანაშაულში არ იყოს მხილებული.

— დღეს ხომ სხვა ხელისუფლება და პოლიტიკური რეალობაა?

— ამიტომაც ვამბობ, არც დღეს არის გვიან, ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას!

— არაფერს ეტყოდით პატიმარ სააკაშვილს თქვენი და სულხანის სახელით?

— **სააკაშვილო, რა დაგიშავა ქართველმა ხალხმა? რატომ დაგბღვრიცე?** 8 წლის შემდეგ როომ ჩამოეთრიე საქართველოში, ვინმეს ბოდიში მოუხადე? ერთი სიტყვა თუ წამოგცდა — ამდენი წელი ვმართავდი ქვეყანას და მაპატიეთ, ხალხო, თუ რაიმე შეცდომა დავუშვიო?! **სარკე მაინც არ გაჭმს, ბიჭო, რომ ჩაიხედო? საქართველოს ჩვეულებრივი მტერი ხარ და იმის ხუთ პროცენტსაც არ იმკი, რაც დათესე!**

მიუხედავად იმისა, რომ „ქართულ ოცნებაზე“ ნაწყენი ვარ, მაინც მის გვერდით ვარ და ბოლომდე ვიბრძოლებ, რომ სააკაშვილისა და მისი სექტის მსგავსი ნაძირალები და სისხლისმსმელები ხელისუფლებაში აღარასოდეს დაბრუნდნენ!

ესაუბრა

ნატო ფოცხიშვილი

„დაიბარონ ვალერი გრიგალაშვილი და ჰკითხონ, ვისი დავალებით დაიჭირა სულხან მოლაშვილი? ცხადია, სააკაშვილსა და ოქრუაშვილს დაასახელებს, რომელიც მაშინ გენერალური პროკურორი იყო!“

გეი-პარადის მომხრეებმა სააკაშვილის გასათავისუფლებლად კამპანია წამოიწყეს!

ნაციფიურერის ტელებოსელმა „მთავარმა არხმა“ „პრეზიდენტის სიცოცხლის გადარჩენის მოთხოვნით“ ახალი პიარ-კამპანია წამოიწყო: ნიკუტა გვარამიას „ბუდკაში“ გამოჰყავთ ეგრეთ წოდებული ცნობადი სახეები, რომლებიც სააკაშვილის გათავისუფლებისა და მის კერძო კლინიკაში გადაყვანის მოწოდებებს აკეთებენ!

ლევან ბერძენიშვილი, ლაშა ბუღაძე, ტორესა მოსი

ამ ვიდეოკლიპში არაერთი ნაცსექტანტი „პევიჩკა“ თუ „კლოუნია“, ახლა რომ საკაშვილზე იხოკავენ ღაწვებს, მაგრამ არც სანდრო გირგვლიანის უსასტიკეს მკვლელობაზე დაუძრავთ კრინტი და არც 26 მაისს ცემაში მოკლული და ჯიხურის თავზე შემოდებული მომიტინგეების გამო ჩამოვარდნიათ ცრემლი!

თუმცა, ყველაზე საგულისხმო ის გახლავთ, რომ **სააკაშვილის გულდათუთქულ ქომაგებს შორის არაერთი ღია ლგბტ აქტივისტია!** აი, ამიტომაც ვუწოდე მათ **„სექსუალური უმცირესობების პრობლემების მოგვარებას“.**

გარდა ამისა, თავად ნაცსექტის მხედართმთავრობით სწორედ 5 ივლისს დანიშნული გეი-პარადის წინ, **15-მა ოპოზიციურმა პარტიამ საზეიმოდ მოაწერა ხელი ეგრეთ წოდებულ „ლგბტ სოლიდარობის აქტს“,** რომელშიც პირობა დადეს, რომ საქართველოს ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ხელისგულზე ატარებდნენ სოდომისტებს!

ის კი არა, შარშანდელი საპარლამენტო არჩევნების წინ საკაშვილი და მისი ნაცბანდა რომ სახალხოდ მხარს უჭერს გეი-პარადებს და საერთოდაც, ეს ნაც-ლგბტ ალიანსი ერთი დიდი **„ნაცი-ანალური მოძრაობაა“,** ვგონებ, ყველა ჭკუათამყოფელმა მშვენივრად იცის!

აკი, სწორედ საპარლამენტო არჩევნების წინ იყო, რომ ლგბტელებმა ღიად დაუჭირეს მხარი ნაცოპოზიციას: *„მხარს ვუჭერთ ოპოზიციას და იმედი გვაქვს, რომ კოალიციური მთავრობა იქნება ის გამოსავალი, რომელიც გააუმჯობესებს ქვეყანაში ადამიანების მდგომარეობას ამ ქვეყანაში. ეს ეხება როგორც პრაიდის ჩატარებას, ისე უმცირესობების პრობლემების მოგვარებას“.*

საკაშვილი და მისი ნაცბანდა რომ სახალხოდ მხარს უჭერს გეი-პარადებს და საერთოდაც, ეს ნაც-ლგბტ ალიანსი ერთი დიდი **„ნაცი-ანალური მოძრაობაა“,** ვგონებ, ყველა ჭკუათამყოფელმა მშვენივრად იცის!

აკი, სწორედ საპარლამენტო არჩევნების წინ იყო, რომ ლგბტელებმა ღიად დაუჭირეს მხარი ნაცოპოზიციას: *„მხარს ვუჭერთ ოპოზიციას და იმედი გვაქვს, რომ კოალიციური მთავრობა იქნება ის გამოსავალი, რომელიც გააუმჯობესებს ქვეყანაში ადამიანების მდგომარეობას ამ ქვეყანაში. ეს ეხება როგორც პრაიდის ჩატარებას, ისე უმცირესობების პრობლემების მოგვარებას“.*

გარდა ამისა, თავად ნაცსექტის მხედართმთავრობით სწორედ 5 ივლისს დანიშნული გეი-პარადის წინ, **15-მა ოპოზიციურმა პარტიამ საზეიმოდ მოაწერა ხელი ეგრეთ წოდებულ „ლგბტ სოლიდარობის აქტს“,** რომელშიც პირობა დადეს, რომ საქართველოს ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ხელისგულზე ატარებდნენ სოდომისტებს!

ის კი არა, შარშანდელი საპარლამენტო არჩევნების წინ ნაცთა ლიდერმა **ნიკანორ მელიამ** ღიად დაუჭირა მხარი გეი-პარადებს, როდესაც ტელეკომპანია „კავკასიის“ პირდაპირ ეთერში სახალხოდ თქვა, ვინც საქართველოში არ ცნობს ლგბტ ადამიანების უფლებებს, მათი ხმა არ გვჭირდებაო!

მოკლედ, **სააკაშვილი და გეი-პარადი, სააკაშვილის მომხრეობა და სოდომისტობა — ეს სინონიმებია!** ჰოდა, რატომ უნდა გაგვკვირდეს, რომ ეს გეი-აქტივისტები, რომლებიც 5 ივლისის გეი-პარადის ჩაშლას აპროტესტებდნენ, ახლა სააკაშვილის „ვირის აბანოში“ ყოფნასაც აპროტესტებენ?! ეს ის სექტაა, რომელიც ნაცბანდის მხარდამხარ ებრძვის ათასწლოვან ქართულ ეკლესიას, ქართულ ტრადიციებს, ყველაფერ ქართულსა და ეროვნულს!

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, **მიხეილ სააკაშვილი გეი-მოძრაობის გმირია,** არადა, ამ უბედურს რომ ჰკითხო, „ეროვნული გმირის“ მანტიაზე აქვს პრეტენზია!

გიორგი გიგაური

„სექსუალურ უმცირესობათა ლიგა“ სააკაშვილს ქომაგობს!

ბაბუცა პატარაია, რუსუდან გოცირიძე

გია ცაბარეიშვილი
ყოფილი პარლამენტარი

ბევრი ჩვენგანი ცოცხალი არ იქნებოდა, რომ არა **ბიძინა ივანიშვილი,** რომელიც 2012 წელს ჩაუდგა საერთო-სახალხო მოძრაობას და ყველაფერი დავგვირგვინდა გამარჯვებით.

„ტვ იმედი“

ანა დოლიძე
პარტია „ხალხისთვის“ ლიდერი

საკაშვილი კი არ უნდა გაათავისუფლონ, სწორად უნდა გაასამართლონ.

„კვირის პალიტრა“

ვასო ჭანტურაძე
ანალიტიკოსი

ნაციონალური მოძრაობა ყოველდღიურ აქციებს დიდხანს ვერ გამართავს, მაგრამ შეუძლია, დაძაბულობა თვეები შეინარჩუნოს.

„რეზონანსი“

კვირეიდოსკოპი

1 სააკაშვილი ჩვეულ პოზაშია!

2008 წლის აგვისტოს ომის დროს სააკაშვილი რუსული თვითმფრინავის დანახვაზე საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ბერნარ კუშნერს თავზე გადაახტა, კუჭაშლილი თხასავით გაიქცა და გორში მიწაზე იფორთხა. ათი წლის შემდეგ, 2018 წელს, დაახლოებით იგივე სცენა განმეორდა კიევშიც, როცა უკრაინის უსაფრთხოების სამსახური სააკაშვილს რესტორანში შეუვარდა, თმებით ითრია, მერე საზღვარზე მიიყვანა და პოლონეთში კინწისკვრით გააგდო...

და აი, წინა კვირას ზუსტად იმავე პოზაში, როგორც გორსა და უკრაინაში ფორთხავდა, სააკაშვილი გლდანის მეთვრამეტე სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში შეათრიეს... თუ პირველ ორ შემთხვევაში საქართველოს ნაპრეზიდენტალს ყოველგვარი წინააღმდეგობის უნარი დაკარგული ჰქონდა და ცხვირით მიწას ხნავდა, ამჯერად ცრუ შიმშილობის კვალდაკვალ შესამჩნევად მოღონიერებული და აგრესიული გვეჩვენა. მართალია, როცა საქმე საქმეზე მიდგა, გლდანის ციხის დამცველებმა ნაცფიურერი უნიჭო **თამარ კინწურაშვილისა და ეთო გუზიაშვილის** გაერთიანებული ნეხვის ბიდონივით ასწიეს და საპყრობილეში შეათრიეს, მაგრამ ამ ყველაფერს წინ უძღოდა მთელი ცერემონიალი. კერძოდ, **პენიტენციური სამსახურის თანამშრომლებს, რომლებიც სააკაშვილს სულ „თქვენობით“ და მობოდიშებით ელაპარაკებოდნენ, საქართველოს ნაპრეზიდენტალმა ჯერ წიხლები დასცხო, შემდეგ შეაფურთხა, ხელითაც შეეხო და ძვირადღირებული სამედიცინო აპარატურაც დააზიანა...** ამ ყველაფრის მიუხედავად, ნაკეწავზე გასახეთქი სააკაშვილი არც უცემიათ, არც ქათმების კამერაში შეუგდიათ, არც ისე უწამებიათ, როგორც **სერგო თეთრაძე** აწამეს და არც ებრაული წარმოების „იერიხონი“ შეიარაღებული სერიული მკვლელი რომან შამათავა გამოუძახებიათ კატერითა და ბეტონის ფილებით, რათა წყალქვეშა სასაფლაოზე დათო ცინდელიანისა და პაატა ქარდავას მსგავსად სააკაშვილსაც დაედო ბინა.

ყველაფრიდან ჩანს, რომ სააკაშვილი ვერაფრით ელევა იმ ნაკუწებულ-მფორთხავ პოზას, რომელშიც რუსებმა გორში დაბოვეს!

აშკარაა, რომ ფორთხვის, ფურთხის, თრევისა და ჩამოთრევის პროცესი ნაცფიურერს მოსწონს, ანუ ჩვეულ პოზაშია!

2 ნიკა მაჭუტაძისა და აკუკი მინაშვილის შედარებითი დახასიათებისთვის

მოწაფეობის ჟამს, როცა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ორი ლიტერატურული გმირის შედარებით დახასიათებას გვაწერინებდა, ძირითადად ისეთ პერსონაჟებს შეგვირჩევდა, რომელთაგან ერთი ყოველმხრივ შემკული და პატივსაცემი იყო, ხოლო მეორე — ხელიდან წასული, სულმდაბალი, უკეთური, მოღალატე და წყეული... მაგალითად, „ვეფხისტყაოსნის“ გმირების — ასმათისა და ფატმან-ხათუნის შედარებით დახასიათებას როცა ვწერდით, საგანგებოდ აღვნიშნავდით, რომ ფატმანი ისევე, როგორც ასმათი, დიდი მეგობარი, მაგრამ ამავდროულად ბოზი იყო.

აქედან გამომდინარე, **ნიკა მაჭუტაძისა და აკაკი მინაშვილის** შედარებითი დახასიათება ძალიან რთული დასაწერია, რადგან **ორივე ფატმან-ხათუნის პროფესიის წარმომადგენლები არიან და პოლიტიკური უკანალი ორივეს შარაზე აქვს გადადებული!** ეს იგივეა, **ელისტრატე კილაძე და ვალერი გელბახიანი** შეადარო ერთმანეთს მაშინ, როცა **ბადრი პატარკაციშვილის „გასასუხარებლად“** სააკაშვილის დავალება ორივემ გულის ფიცარზე ამოიტვიფრა.

ნიკა მაჭუტაძემ 2010 წელს ერთ ცნობილ კაცს ჯუმათის მონასტერში სთხოვა წყაღანა — უნდა ვილოცოო! წავიდნენ ლანჩხუთიდან „ინფინიტით“... იმ კაცმა, რომელსაც ნაცსექტაც და ნაცფიურერიც ჭირივით ეჯავრება, გზაში სააკაშვილს სუყველაფერი ამოუტრიალა. მაჭუტაძემ მთელი ეს ლაპარაკი ჩუმად ჩაიწერა და რომელიღაც უჯიშჯილაგო გაზეთში გამოაქვეყნა. ამ კეთილ კაცს წყეულმა მაჭუტაძემ ესეც არ აკმარა, მანქანის საბურავები ქურდულად დაუჭრა და მერე რიხით განაცხადა — ამა და ამ კაცმა პატარძალივით გამიტაცაო!

რაც შეეხება **აკაკი მინაშვილს!** ლეგენდარული აკუც გატაცებულია, ოღონდ სააკაშვილით. თუმცა, თავად აკუ მინაშვილითაც არიან გატაცებული, განსაკუთრებით მისი სიდედრი — **ჟალბატონი ჯულიეტა მორგოშია,** რომელმაც თავისუფლების მოედანზე, კარვების ცნობილი აქციის დროს, სიძის სიყვარულით ოთხი თორმეტკაციანი კარავი სულ „ჰაერში ასწია“ და 48 კაცი კივილ-წივილით დაიფრინა.

სააკაშვილის დაუძინებელ მტრებს შორისაც კი დღემდე ლეგენდად დადის ჯულიეტა მორგოშიას გმირობის ამბავი... როგორც უკვდავი რუსთაველის გმირთაგმირმა ტარიელმა „ჩაჭრა და ჩააკარაბაკა ჩახლართული კარვის კალთა“ და სასიძოს თავი „სვეტს შეუტაკა“, სწორედ ისე დაერია აკაკი მინაშვილის სიდედრი სააკაშვილის წინააღმდეგ აჯაგრულ პროტესტანტებს — ზოგს ფეხში სტაცა ხელი, ზოგს — ფეხებს შუა და კარვების აქციამაც ჩაილურის წყალი დალია! სხვათაშორის, ვიდრე აკუ მინაშვილის სიდედრი ქალბატონი ჯულიეტა მორგოშია კარვებს დაებდღვნებოდა, მანამდე კარვის კაცებს **ბუბაზ სანიკიძემ** უგანა, როცა თავისუფლების მოედნიდან „ეროვნული ფორუმის“ კარვები ყურით მოთრეული მიზეზით აიღო და განაცხადა — რეგიონებში ვიწყებთ ახსნა-განმარტებით მუშაობას, ზვიადმა სწორედ ასე დასცა კომუნისტები ბეჭებზეო!

როგორც ვხედავთ, ერთ ამორალურ წუმპეში ნათრევი და ამოგანგლული ნიკა მაჭუტაძისა და აკუ მინაშვილის ერთმანეთისგან გარჩევა ჭირს, მაგრამ, თუ შედარებით დახასიათებაზე მიდგება საქმე, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მინაშვილი უცოლო მაჭუტაძეს, ბოლოს და ბოლოს, სიდედრით მაინც „უჯოკრავს“!

3 ნაცებს უკვე ქვებს ესვრიან!

წინა კვირას ვაჟა-ფშაველას ძეგლთან ნაცებმა მორიგი სექტანტური თავყრილობა გამართეს და „მოდულის“ შენობისკენ თავქვე დაეშვნენ... **ვიღაც პროვოკატორმა თუ პატრიოტმა, რომელსაც ნაცმაოხრებლების წივილ-კივილმა და ღრიანცელმა, როგორც ჩანს, სიცოცხლე გაუმწარა, საიდანღაც ქვა გამოისროლა, რომელიც მიტინგის ერთ მონაწილეს მოხვდა და თავი გაუტეხა...** საქართველოს უახლესი ისტორიის უკანასკნელ ოცდაათ წელიწადს თუ გადავავლებთ თვალს, ადვილად დავრწმუნდებით, რომ ქვას ჩვენს ქვეყანაში ძირითადად ორი კაცი ისროდა — **ბიბა ბოკერია და ბიორგი ჭანტურია.** ქვიდან მალე ისინი ტყვიის სროლაზე გადავიდნენ, ხოლო მერე სხვებიც აიყოლიეს და ქვეყანაც დაღუპეს.

ქვის სროლა ნაცსექტანტების მისამართით ცუდად მენიშნა, თუმცა, ერთ რამეზე დამაფიქრა — **თუ ვაჟა-ფშაველას ძეგლთან ნაცების 20-კაციან მიტინგს ქვა პროვოკატორმა ესროლა და კაცს თავი გაუტეხა, მაშინ ჩვენი საქმე იმაზე უფრო ცუდად ყოფილა, ვიდრე წარმოგვიდგენია, მაგრამ, თუ ქვეყნის მაოხრებლების მისამართით ქვა და ღორღი ხალხმა გასტყორცნა, მაშინ ნაცებს ისღა დარჩენიათ, გუდა-ნაბადი აიკრან და ამ ქვეყნიდან ისევე გაუჩინარდნენ, როგორც 1021 წლის 12-13 თებერვლის ღამეს ხალიფა ალ-ჰაქიმი გაქრა. მოგეხსენებათ, ფატიმიდების სახალიფოში დიდხანს ეძებეს გაუჩინარებული ხალიფა, მაგრამ ვირისა და მისი სისხლიანი ტანსაცმლის გარდა ვერაფერი იპოვეს.**

გვინდა, გვჯეროდეს, რომ **ქვა და ღორღი,** რომელიც ნაცებს მიაყარეს, იმ საშინელი ღალატის პასუხია, როცა წყეულმა საკაშვილმა 2008 წლის აგვისტოში დაკარგული 150 ქართული სოფელი **„ქვა-ღორღად“** გამოაცხადა...

ბრძენს უთქვამს — თუ ხელმწიფე გამოგეკიდა, ხალხში გაერიე, მაგრამ, თუ ხალხი გამოგეკიდა, წყალსა და მეწყერს მიეცი თავიო!

გული მიგრძნობს, ქართველი ხალხი ნაცსექტანტებს გამოეკიდება... ეს კი იმას ნიშნავს, რომ ნაციონალურ მოძრაობას ან წყალი წაიღებს, ან მეწყერი ჩაიყოლებს!

დიტო ჩუბინიძე

დოცენტ, აი, დოცენტ,

ანუ მიხო გლდანსკი – უიღბლო ჯენტლმენი!

გლდანის ციხის საავადმყოფოში გამწესებულ სააკაშვილს ზუსტად ის კოშმარი აუხდა, რისიც ასე ეშინოდა! დიახ, სააკაშვილი სწორედ იმ გლდანის ციხის საავადმყოფოში შეასახლეს, სადაც მისი რეჟიმის დროს ციხის უფროსის — ცნობილი ჯალათის „ქილერას“ ზონდერების მიერ არაადამიანურად დალეწილ პატიმრებს ასევე არაადამიანურად „მკურნალობდნენ“, ანუ აწამებდნენ!

ალბათ, პირველი, რაც ბევრს გლდანის ციხის საავადმყოფოში შესახლებული შიშველი **სააკაშვილის** ხილვისას გაახსენდა, ლეგენდარული საბჭოთა კომედიის — **„იღბლიანი ჯენტლმენების“** მთავარი გმირი, ევგენი ლეონოვის მიერ უბადლოდ შესრულებული რეციდივისტი და მკვლელი **„დოცენტი“** იყო! **სააკაშვილს** ტანზე მაისურის შემოხევა და არაადამიანური ხმით დაკივლება — **„პასწ პარვუ, მარგალა ვიკოლიუ“** — აკლდა, თორემ გამოხოხებული **„დოცენტი“** იყო!

რა თქმა უნდა, როგორც ამ ფილმშია, **სააკაშვილთან** არავინ მისულა და ნაცში პანღური არ ჩაუზელია — **„ვაშე მესტო ვოზლე პარაშიო!“** — ქართულ ციხეში, მისი რეჟიმისდროინდელისგან განსხვავებით, ასე აღარ ხდება!

თუმცა, **სააკაშვილმა** დროა, უკვე „კლიჩკაზეც“ იფიქროს, რადგან თავადაც ხვდება, რომ ციხეში ყოფნა დიდი ხნით მოუწევს! ჰოდა, სრულიად უსასყიდლოდ ვთავაზობ, ამიერიდან, როგორც „კრიმინალურ ავტორიტეტს“ შეეფერება, **„მიხო გლდანსკი“** შეირქვას!

ერთი ეგ არის, მიხო გლდანსკის **„იღბლიანი ჯენტლმენობისა“** არაფერი ეჭყანება — ის აშკარად **„უიღბლო ჯენტლმენობასთან“** ასოცირდება!

კი, **სააკაშვილი** რევოლუციის მოხდენას აპირებდა და ამის ნაცვლად გლდანის ციხეში ამოყო თავი!

სააკაშვილს სჯეროდა, რომ მას ვერ დააპატიმრებდნენ, რადგან ასი ათასი კაცი გამოვიდოდა ქუჩაში მის დასაცავად, მაგრამ ამის ნაცვლად გლდანის ციხის ბადრაგი იცავს!

ის კი არა, პატიმარ **სააკაშვილს** სიყვარულშიც არ უმართლებს — მისი რჩეული მონა-ლიზა იასკო უფრო ხშირად უკრაინაშია, ნაცვლად იმისა, რომ დეკაბრისტის მეუღლესავით გლდანის ციხის კედლებთან აღამ-ათენებდეს!

აბა, მეტი **უიღბლობა** რაღა გინდა?!

მეუფე ნიკოლოზმა რამდენიც არ უნდა ადაროს სააკაშვილი დავით აღმაშენებელს, ეს მართლაც უკანასკნელი ერთი ჩვეულებრივი მშიშარა ისტერიკიანი ტუსაღია, რომელსაც ისიც კი არ შეუძლია, კაცურად, ღირსეულად აგოს პასუხი მის მიერ ჩადენილი უსასტიკესი დანაშაულებისთვის!

რამდენიც არ უნდა იზმუვლოს ტელეეთერიდან **გუბაზ სანიკიძემ,** სააკაშვილში ერთდროულად ჩე გევარა და ნელსონ მანდელა არის განსხეულებულიო, ეს, რბილად რომ ვთქვათ, ერთობ **უიღბლო** შედარებაა: ჯერ ერთი, ჩე გევარა თანამებრძოლებმა გაყიდეს და მოკლეს, მეორეც, აპარტეიდთან მებრძოლი ნელსონ მანდელა ციხეში ოცი წელი გმირულად იჯდა, სააკაშვილს კი პატიმრობის მეორე დღესვე ისეთი ისტერიკა დაეწყო, მას შემდეგ თმის დავარცხნაც აღარ უცდია!

მოკლედ, ყველა ხედავს, რომ **ქუჩაში აქეთ-იქით მოწანწალე ორასიოდე გასაცოდავებული ნაცაქტივისტის გარდა, სააკაშვილის პატიმრობა ყველას ფეხზე ჰკიდია!** არადა, ნაცები გაიძახოდნენ, გამოვალთ ქუჩაში და უკან აღარ შევალთო! „არჩევნების მიტაცების“ რევოლუციური ლოზუნგიც კი უკვე აღარავის ახსოვს, რადგან ხალხი „მიტაცებული არჩევნების“ უკან დასაბრუნებლად აღარ გამოვიდა ქუჩაში!

მოკლედ, **ბვარამიას** საყვარელი სამოსის — მის მიერვე **„ჩაჯვად“** წოდებული შარვლის სახელობის რევოლუცია ზუსტად ისე დასრულდა, როგორც უნდა დასრულებულიყო — **„ჩაჯვი“** გააკეთა!

გვარამიას **„ჩაჯვი“** შარვლის სახელობის რევოლუცია ქართველი ხალხისთვის მიუღებელია, სააკაშვილმა კი, ჯობს, თავი დაანებოს ამ „აღმაშენებლობაზე“ და „პუტინის პირად მძევლობაზე“ ბოდვებს და ისევ **„მიხო გლდანსკობას“** მიაწვეს!

გიორგი გიგაური

ნაცებმა სააკაშვილი გადამალეს!

ნაცების მთელი პიარ-კამპანია იმაზეა აგებული, თითქოს ხელისუფლებას სააკაშვილის ძალიან ეშინია! თითქოს სააკაშვილი ისე აფრთხობს ხელისუფლებას, რომ მას საკუთარ სასამართლოზე გამოჩენის უფლებაც კი არ მისცეს! არადა, სინამდვილეში, სააკაშვილის სასამართლოზე გამოჩენას თავად ნაცსექტამ დაადო ვეტო!

10 ნოემბერს სააკაშვილის სასამართლო პროცესი, რომელიც 7 ნოემბრის დანაშაულს ეხებოდა, მთავარი ბრალდებულის გარეშე ჩატარდა, რადგან პენიტენციურმა სამსახურმა, სავსებით საფუძვლიანად, უარი თქვა **სააკაშვილის** სასამართლოს შენობაში მიყვანაზე, რადგანაც არსებობდა საფრთხე, რომ ამას არეულობა მოჰყვებოდა! მითუმეტეს, სუს-ის ინფორმაციით, იგეგმებოდა სასამართლოსკენ მიმავალი საბადრაგო მანქანის ნაცების ავტომობილებით ბლოკირება! რა თქმა უნდა, იყო რისკი, რომ **სააკაშვილს** დახურულ მანქანაში მოუწევდა განუსაზღვრელი დროით დარჩენა და ესეც როგორ იმოქმედებდა მის **ფსიქიკურ პრობლემებზე,** ძნელი სავარაუდო არ უნდა ყოფილიყო!

„ფსიქიკური პრობლემები“ შემთხვევით არ მიხსენებია, თუმცა, ამაზე ცოტა ქვემოთ...

მანამდე კი იმას მოგახსენებთ, თავად როგორ დამალა ნაცსექტამ სააკაშვილი: დიახ, როდესაც პენიტენციურმა სამსახურმა გასაგები მიზეზების გამო გადაწყვიტა, არ გადაეყვანა სააკაშვილი სასამართლოზე, ბრალდების მხარემ — პროკურატურამ სააკაშვილის მხარეს და სასამართლოს ოფიციალურად შესთავაზა ორი გამოსავალი: **ან სასამართლო გლდანის ციხეში ჩატარებულიყო, ანდა სააკაშვილი გლდანის ციხის საავადმყოფოდან დისტანციურად ჩართულიყო სასამართლო პროცესში,** თუმცა, ნაცებმა ორივე შემოთავაზებაზე უარი განაცხადეს და ისევ „პირველ ჩვენებას მიაწვნენ“ — ხელისუფლებას სიკვდილივით ეშინია სააკაშვილის სასამართლო პროცესზე გამოჩენა და მას მართლმსაჯულების ფუნდამენტური უფლება წაართვესო!

არადა, ფაქტია, სააკაშვილი ორივე შემთხვევაში მოახერხებდა, სასამართლო პროცესისას გამოჩენილიყო კიდეც ხალხის წინაშე და რაც უნდა, ის ეთქვა!

მაგრამ საქმეც ის არის, რომ **ნაცბანდას თავად არ სურდა სააკაშვილის გამოჩენა ხალხის წინაშე,** რადგან ნაცთა ბელადს სერიოზული ფსიქიკური პრობლემები აქვს!

რამდენიც არ უნდა აბოლონ ნაცებმა ხალხი, მიშა გმირია, მან იცოდა, რაზეც მიდიოდა, როდესაც საციხედ გაწირა თავის, ფაქტი ეს არის: სააკაშვილი აქ საციხედ კი არა, იმისთვის ჩამოიპარა, რომ არჩევნების მეორე დღეს, 3 ოქტომბერს, რუსთაველის გამზირზე, როგორც თვითონ წერდა ფეისბუქზე, ასიათასაკაციან მიტინგზე გამოჩენილიყო და რევოლუცია დაწყებამდე გასკვნჩეს! მას ჯერ იმის იმედი ჰქონდა, რომ ციხეში გამოკეტილის გასათავისუფლებლად მთელი საქართველო ფეხზე დადგებოდა, მაგრამ მოტყუვდა! შემდეგ ეგონა, რომ 30 ოქტომბრის მეორე ტურში გაიმარჯვებდა ოპოზიცია და ეს მისცემდა ახალ ბიძგს ჩაფლავებულ რევოლუციას, მაგრამ აქაც მოტყუვდა: ხელისუფლებამ ოპოზიციას 63:1 მოუგო!

მოკლედ,

სააკაშვილი მიხვდა, რომ ხალხმაც დაიკიდა, დასავლეთმაც და ციხეში, სულ ცოტა, 6 ნელი მოუნევს ყოფნა!

სააკაშვილმა ისიც დაინახა, რომ მიუხედავად მისი განწირული მოწოდებებისა, ხალხო, გამოდით ქუჩაში და გადამარჩინეთო, სულ რამდენიმე ათასი კაცის მეტი ამ სასოწარკვეთილ ხვილს არავინ გამოეხმაურა! არადა, სააკაშვილს სჯეროდა, რომ მის გასათავისუფლებლად ასობით ათასი კაცი გამოვიდოდა ქუჩაში და თეთრ ცხენზე შემჯდარს გამოიყვანდნენ საპატიმროდან!

მოდით, ფაქტებით ვილაპარაკოთ: **ყველამ ნახა, როგორ არაადეკვატურად იქცეოდა სააკაშვილი სასწრაფო დახმარების მანქანაში,** როდესაც ისტერიკაში ჩავარდნილი უკიოდა ზედამხედველებს, თქვე პუტინის მონებოო! და, რაც მთავარია, ამას სააკაშვილი კამერების წინ, ხალხის დასაბოლებლად კი არ აკეთებდა, მას უკვე სრული სერიოზულობით სჯეროდა, რომ „პუტინის პატიმარია“ და ბადრაგიც პირადად პუტინის დავალებით მოქმედებს მის წინააღმდეგ!

ყველამ საკუთარი თვალით იხილა, **რას ჰგავდა სააკაშვილის საკანი რუსთავის ციხეში — ეს იყო ნამდვილი „ბომჟის“ ბუნაგი, იატაკზე დაყრილი ნაგვის გროვითა და ტანსაცმლით!**

ყველამ ნახა თმაგაწეწილი სააკაშვილის ჟესტიკულაცია და მიმიკა, როდესაც ის ბადრაგს დედაკაცივით უკიოდა და შემლილივით ერთსა და იმავე ფრაზებს იმეორებდა.

მოკლედ, **ეს ყველაფერი სააკაშვილის სერიოზულ ფსიქიკურ აშლილობაზე მეტყველებს** — ის პატიმრობას არც ელოდა და ვერც შეეგუა ამ პატიმრობას!

აი, ამიტომაც არ სურს ნაცბანდას **სააკაშვილის** სახალხოდ გამოჩენა! აი, ამიტომაც თქვა უარი ნაცბანდამ **სააკაშვილის** დისტანციურ ჩართვაზე სასამართლო პროცესზე!

ნაცბანდა მიხვდა, რომ, როგორც კი სააკაშვილი სახალხოდ გამოჩნდება და ალაპარაკდება (უფრო სწორად, ისტერიკაში ჩავარდება), **იმწამსვე „გმირი“ ჩვეულებრივ შიზოფრენიკად გადაიქცევა!**

მოკლედ, ახლა ნაცებს ისღა დარჩენიათ, როგორმე კიდევ დიდხანს დამალონ თავიანთი შეშლილი ფიურერი, რომ ხალხმა ვერ გაიგოს, რა დღეშიც არის ეს უბედური, მაგრამ შუბს ხალთაში ვერ დამალავ და ადრე თუ გვიან ყველა ყველაფერს მაინც გაიგებს!

გიორგი გიგაური

ვახტანგ მაისაია:

როგორც ყოფილი პოლიტპატიმარი, აბსოლუტურად კმაყოფილი და ბედნიერი ვარ იმით, რომ საკაშვილი ციხეშია!

ცნობილი ქართველი ანალიტიკოსი, პროფესორი ვახტანგ მაისაია, რომელიც სააკაშვილის რეჟიმმა ციხეში ტანჯა, წყეული კოჰაბიტაციის თემას ეხმიანება და დარწმუნებულია, რომ ეს დამღუპველი იდეა საქართველოსთვის დასავლეთს არ შემოუტენია:

— მე, როგორც სააკაშვილის ავტორიტარული რეჟიმის მსხვერპლი და ყოფილი პოლიტპატიმარი, აბსოლუტურად კმაყოფილი და ბედნიერი ვარ იმით, რომ სააკაშვილი ციხეშია! რაც შეეხება ნაცმოძრაობის დღის წესრიგსა და იმ ბაკქანალიას, რაც ქუჩაში ტრიალებს, „ქართული ოცნება“ იმკის იმას, რაც დათესა! **აი, სწორედ ეს მოიტანა მკვლელებთან და მწამებლებთან კოჰაბიტაციამ და გამუდმებით იმაზე ლაპარაკმა, რომ, თურმე, „ქართული ოცნების“ უმთავრესი ფუნქცია ნაცმოძრაობისთვის პოლიტიკური სახის შენარჩუნება ყოფილა.**

— ბატონო ვახტანგ, ფაქტია, რომ კოჰაბიტაცია ამ ხელისუფლებას იმ დასავლეთმა მოახვია თავს, რომელმაც სააკაშვილი „დემოკრატიის შუქურად“ შერაცხა, უკლებლივ ყველა გაყალბებული არჩევნები დაუკანონა, 2008 წლის აგვისტოს ავანტიურა და 7 ნოემბრისა თუ 26 მაისის ხოცვა-ულეტა აპატია...

— არ მგონია, რომ კოჰაბიტაცია დასავლეთის დაკვეთა ყოფილიყო! რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო ვრწმუნდები, რომ ეს იდეა „ქართული ოცნების“ წიაღში დაიბადა და ყველაფერი დასავლეთს გადააბრალეს. **„ქართული ოცნების“ შინაბანი სურვილი არ იყო სააკაშვილის კვაზიფაშისტური რეჟიმის გასამართლება და ბოლომდე გაშიშვლება, თორემ, მერწმუნეთ, დედამიწაზე არ იარსებებდა ძალა, რომელიც ხელისუფლებას კოჰაბიტაციის დამღუპველ იდეას თავს მოახვევდა და იმ უბინძურეს 12 ათას ფაილს ბაანადბურებინებდა, რომელიც, ფაქტობრივად, ნაცსექტის მიერ ჩადენილ დანაშაულთა უტყუარი მტკიცებულება იყო.** სწორედ ამ მასალების საფუძველზე უნდა გამოცხადებულიყო ნაცმოძრაობა კვაზიფაშისტურ პარტიად და მომხდარიყო მისი აკრძალვა, რაც ცოცხალი თავით არ გაკეთდა.

„ქართულმა ოცნებამ“ არაფერი გააკეთა არც იმის დასამტკიცებლად და საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების მისაპყრობად, რომ სააკაშვილს საქართველოში შექმნილი ჰქონდა **საკონცენტრაციო ბანაკები,** სადაც ხალხს აწამებდნენ და სასიკვდილოდ იმეტებდნენ. ამ ბანაკებში ადამიანების პოლიტიკური პროტესტის ფორმას — შიმშილობას არავითარი ალერი არ ჰქონდა! ეს რომ გაკეთებულიყო, ეს რომ მთელ მსოფლიოს კარგად გაეგო, ყველაფერი იქნებოდა მორჩენილი და სააკაშვილის გარშემო ამდენი აყიოტაჟი ატეხილი არ იქნებოდა. **პრობლემა იყო ერთ კაცში — სააკაშვილში, თორემ იმავე სააკაშვილის მიერ შექმნილი რეჟიმი ახალმა ხელისუფლებამ საკუთარ თავზე მშვენივრად მოირგო.**

რომ არა დასავლეთი, 2012 წლის 2 ოქტომბერს არჩევნებში დამარცხებული მიხეილ სააკაშვილი საქართველოში სახელმწიფო გადატრიალებას მოაწყობდა და ხალხის პროტესტს სისხლის გუბეებში ჩაახრჩობდა. სწორედ დასავლეთმა არ მისცა სააკაშვილს ამის საშუალება და აიძულა, არჩევნების შედეგები ეცნო. ასე რომ,

დასავლეთს ნურავინ ნურაფერს აბრალებს, მასინჯი კოჰაბიტაცია, რომელმაც საქართველო დაღუპა, „ქართული ოცნების“ იდეა იყო!

ცნობილ ჯალათს **ვალერი ზუმბაძეს** რომ თავდაცვის მინისტრის მოადგილედ ნიშნავდნენ, ესეც დასავლეთის ბრალი იყო? ზუმბაძე არის მთავარი ფიგურანტი, როგორც „ფოტოგრაფების საქმეში“, ისე კილურაძის, სიმონ კილაძის, „ენვერისა“ და ჩემს საქმეში... განგაში რომ არ ამეტეხა, ზუმბაძე ამ თანამდებობაზე იქნებოდა.

ლევან მურუსიძე და მისი ჯალათი მოსამართლეებიც მე და თქვენ დავნიშნეთ? მთელი ძალოვანი უწყებები ნაცჯალათებითა და პოლიტპატიმრების მწამებლებით რომ არის გამოტენილი, ესეც დასავლეთის ბრალია?

უშიშროების საბჭოს მდივანმა **მინდია ჯანელიძემ** საფრანგეთში მყოფ თავდაცვის მინისტრს **ირაკლი ალასანიას** დაურეკა და ჩაშალა პროექტი, რომლის ძალითაც საქართველოში უნდა შემოეტანათ ულტრათანამედროვე ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემები, რომელიც საფრანგეთს ერთერთი საუკეთესო აქვს. რატომ მოხდა ასე, ვინმე ამას კითხულობს? ასე რომ, დასავლეთს მე არაფერში ვადანაშაულებ და ყველაფრის მიზეზი ჩვენს თავში ვეძებოთ!

2009 წლის შემდეგ დასავლეთს სააკაშვილი და მისი სექტა პოლიტიკურ ძეთროვნად ჰყავდა გამოცხადებული და არცერთი გავლენიანი პირი მიშას არ ხმდებოდა... ვიმეორებ: სააკაშვილი პოლიტიკური ველიდან სწორედ დასავლეთმა და ქართველმა ხალხმა გაათრია, მაგრამ „ქართულმა ოცნებამ“ შემოათრია!

— რა ხდება საერთაშორისო ასპარეზზე, რუსეთი ბალტიისპირეთისა და პოლონეთის მიერთებასაც გეგმავს?

— აშკარაა, რომ პუტინი და ლუკაშენკო შეთანხმებულად მოქმედებენ და პოლონეთი და ლიტვა რუსეთის ახალი ჰიბრიდული ომის მორიგი მსხვერპლია. სქემა ასეთია — ახლო აღმოსავლეთიდან ემიგრანტები ჩაჰყავთ მინსკში და მერე მათ აიძულებენ, გადალახონ ბელარუსი-პოლონეთისა და ბელარუსი-ლიტვის საზღვარი. პოლონეთში უკვე სამხედრო მდგომარეობაა გამოცხადებული და ვარშავა მოკავშირეებისგან სამხედრო დახმარებას ითხოვს. პოლონეთმა 20 ათასი სამხედრო უკვე მზადყოფნაში მოიყვანა, რათა პასუხი გასცეს იმ აგრესიულ ემიგრანტებს, რომლებიც პუტინისა და ლუკაშენკოს მძევლებს წარმოადგენენ. მოგეხსენებათ, ემიგრანტებმა რამდენიმე ადგილას პოლონეთ-ბელარუსის საზღვარი უკვე გაარღვიეს. **აი, ეს ძალიან სამიში და ახალი თამაშია აღმოსავლეთ ევროპაში და ქაცმა არ იცის, რა მოხდება.** ჩემი ინფორმაციით, ევროკავშირი და ამერიკა ემზადებიან „თურკიშ ეირლაინსა“ და „აეროფლოტს“, რომლებსაც სირიელი ემიგრანტები მინსკში მიზანმიმართულად ჩაჰყავს, კონკრეტული, უმძიმესი სანქციები დაუწესონ. არ გამოვრიცხავ, იგივე სქემა პუტინმა ჩვენ წინააღმდეგაც აამოქმედოს და, მაგალითად, ავღანელი დევნილები საქართველოს შემოუსიოს!

— ამის საფრთხე რეალურია?

— საფრთხე რეალურია, რადგან ძალიან საეჭვოდ შეხვდნენ ერთმანეთს ე.წ. სამხრეთ ოსეთის უშიშროების საბჭოს მდივანი, რუსეთის „გრუ“-ს ოფიცერი, ვინმე **ოლეგ მაძსიმოვი** და თალიბების პრემიერ-მინისტრი **ბარადარი.** ამდენად,

არ გამოვრიცხავ, რომ ის სპეცოპერაცია, რომელსაც რუსეთისა და ბელარუსის სპეცსამსახურები ავღანელი და სირიელი დევნილების გამოყენებით პოლონეთისა და ლიტვის მიმართულებით ახორციელებენ, ხვალ და ზეგ საქართველოს საზღვრებთან დაიბეგბოს!

— ჩვენი სპეცსამსახურები ამ საფრთხესა და გამოწვევებს აცნობიერებენ?

— ჩვენ მზად არაფრისთვის ვართ და ასეთი საფრთხეების პრევენციისთვის არ ვმუშაობთ. ჩვენ დაკავებული ვართ ერთმანეთის ლანძღვა-გინებით, სპეცსამსახურების დისკრედიტაციით, სუს-ის შენობების ბლოკირებით და ათასი სიგიჟით. აი, ეს ხალხი ვართ, სხვა არავინ!

ესაუბრა
დიტო ჩუბინიძე

„ლევან მურუსიძე და მისი ჯალათი მოსამართლეებიც მე და თქვენ დავნიშნეთ? მთელი ძალოვანი უწყებები ნაცჯალათებითა და პოლიტპატიმრების მწამებლებით რომ არის გამოტენილი, ესეც დასავლეთის ბრალია?“

„ცნობილ ჯალათს ვალერი ზუმბაძეს რომ თავდაცვის მინისტრის მოადგილედ ნიშნავდნენ, ესეც დასავლეთის ბრალი იყო? ზუმბაძე არის მთავარი ფიგურანტი, როგორც „ფოტოგრაფების საქმეში“, ისე კილურაძის, სიმონ კილაძის, „ენვერისა“ და ჩემს საქმეში... განგაში რომ არ ამეტეხა, ზუმბაძე ამ თანამდებობაზე იქნებოდა!“

კვირგვინოსნები

ლადო კახიძე
პარლამენტარი

ჩაკეტვები აღარ იქნება. გონიერი ადამიანები გადაურჩებიან ამ დაავადებას, ნაკლებად გონიერი და ანტივაქსერები განიცდიან ვირუსის ყველა ზემოქმედებას.

„FOR.GE“

ბიძინა ბარათაშვილი
გენერალური დირექტორი „ფეხბურთის სასახლის“

გავეშებული კაცი მიყვიროდა, შუბლი უნდა გაგიხვრიტოო და ეს რეაქცია იყო იმაზე, რომ მე ვეუბნებოდი, გამორთვა გინდათ სიგნალის? არ არის აუცილებელი ხალხის იატაკზე დაყრა ან აპარატურის დალეწვა. თქვით და ერთი ღილაკია, დააჭერ და გამორთავ, მაგრამ მათ მხოლოდ გამორთვა არ უნდოდათ. გამორთვაზე არ იყო საუბარი. **„იმედი“ უნდა გამორთულიყო ისე, რომ შემდეგ უკეთეს შემთხვევაში ველარასდროს ჩართულიყო, უარეს შემთხვევაში — რაღაც საკმაო პერიოდის გასვლის შემდეგ.**

„ტვ იმედი“



ივორ კვესელავა
პოლიტოლოგი

ყველაზე კარგი გამოსავალი ამ სიტუაციიდან არის ის, რომ **სააკაშვილი** გადასცენ უკრაინას. დიპლომატიური გზებით უნდა მოხდეს მისი ექსტრადირება და ქვეყანაში პოლიტიკური მღელვარებაც ჩაცხრება. რამდენადაც ვხედავ, უკრაინის მხრიდან დაიწყო უკვე სერიოზული მოძრაობები.

„რეზონანსი“

ოპოზიციის საპროტესტო აქციებსა და სააკაშვილის პატიმრობის შესახებ მსახიობები დავით ხურცილავა (ჯაჯანა) და პალიკო ნოზაძე გვესაუბრებიან.

დავით ხურცილავა (ჯაჯანა):

ფეოდალიზმის ხანა რომ იყოს, სააკაშვილს თავიც უნდა მოჰკვეთო და სარზეც უნდა გასვა!



„უბედურებაა არა ის, რომ სააკაშვილი ფაფებს ჭამს, არამედ ის, რომ დედიმისისას მიირთმევს!“

დავით ხურცილავა: — **სააკაშვილი** აუცილებლად უნდა იჯდეს ციხეში, 6 წელი მისთვის კიდევ ცოტაა, ფეოდალიზმის ხანა რომ იყოს, თავიც უნდა მოჰკვეთო და სარზეც უნდა გასვა. ნურავინ შემეკამათება, **არ უნდა შერჩეს ქუჩებსა და ციხეებში ხალხის ხოცვა, მაღაზიების სახურავებზე გვამების შეყრა, პატიმრების ცემა სიკვდილამდე.** სააკაშვილი და მისი მიმდევრები არიან ნეობოლშევიკები, ორჯონიკიძეები, ფილიპე მახარაძეები და მიხა ცხაკაიები!

— როგორ ფიქრობთ, საქართველოში დესტაბილიზაციის გამომწვევი პროცესები საიდან იმართება?

— კრემლიდან! გადახედეთ რუსულ არხებს, როგორ იცავენ სააკაშვილს, გული ეწვებათ მის პატიმრობაზე. **ნაცმოძრაობას უნდა, კრემლს სააკაშვილის გათავისუფლება ისევე უპატაკოს, როგორც 100 წლის წინათ სერგო ორჯონიკიძემ უპატაკა საქართველოს გასაბჭოება!** ეყოს „ქართულ ოცნებას“, რაც ნაციონალური მოძრაობა ხელისგულზე ატარა, არ გვინდა გადაჭარბებული დემოკრატია!

— სააკაშვილის მიერ ფაფების ჭამაზე რას იტყვით?

— პირდაპირ დაწერეთ — **უბედურებაა არა ის, რომ სააკაშვილი ფაფებს ჭამს, არამედ ის, რომ დედიმისისას მიირთმევს!**

— სააკაშვილის გასამხნევებლად ელენე ხოშტარიაც შიმშილობს!

— დაიწყოს მაგანაც ფაფების ჭამა! **ხოშტარია** ის ქალია, ვინც მაშინ წავიდა მოსკოვში „კაგებეს“ სკოლაში სასწავლებლად, როცა საქართველო რუსეთის მარწუხებისაგან თავისუფლდებოდა! მაგან ვის უნდა აჩვენოს სამშობლოს სიყვარულის მაგალითი? **„ქართულმა ოცნებამ“ ყველას თავისი სახელი უნდა დაარქვას, სამართლიანობამ იზეიმოს, ეყოთ ლოიალურობა!** წარმოიდგინეთ, სააკაშვილის ხელისუფლება რას უზამდა „მთავარი არხის“, „ტვ პირველის“ ან მათ მსგავს ტელევიზიებს! გაიხსენეთ, „იმედი“ როგორ დაარბიეს, როგორ გადაკარგეს 7 ნოემბერს სასტიკად ნაცემი **კობა დავითაშვილი,** რა დამართეს **გია მაისაშვილს, ბუტა რობაქიძეს, სანდრო გირგვლიანს!** ამ საშინელებების ჩამდენი კაცი ციხეში არ უნდა იჯდეს? სააკაშვილის პატიმრობა გვარამიას რომ არ უნდა, იმიტომ არ უნდა იჯდეს ციხეში?

— პატრიარქს სთხოვეს დახმარება!

— თურმე, გვარამია პატრიარქის მრევლია და პირადად უნდა მისი ნახვა, არადა, ორი კვირის წინათ მასაც აგინებდა და მის მოსაყდრესაც.

— ოპოზიციის პერმანენტული აქციებით ქვეყანაში ქაოსია მოსალოდნელი?

— 20 წელია, რაც გასარეცხი ბოცასავით აჯანჯღარებენ ქვეყანას, პოლიციელებს აფურთხებენ, ხალხს შეურაცხყოფას აყენებენ. ამათ ყველას საკუთარი ადგილი უნდა მივუჩინოთ, როგორც ბაბუაჩემი ამბობდა, **ჭიპზეც რომ გასკდნენ, ნაციონალები სათავეში ვერ დაბრუნდებიან, თუ არა, მიიღებენ სამოქალაქო ომს!**

— როგორ ფიქრობთ, სააკაშვილს უკრაინაში დააბრუნებენ? მოგეხსენებათ, პრეზიდენტ ზელენსკის გიული ალასანიამ სთხოვა შვილის სამკურნალოდ გადაყვანა!

— **ზელენსკიმ სერიალებს მიხედოს და კინო გადაიღოს, სააკაშვილი კი იჯდება საქართველოს ციხეში!**

— ნაციონალების მხრიდან წალენჯიხის აყვავების გეგმებს განხორციელება უწერია?

— არც **ხაზარაძეა** წალენჯიხაში გადამსახლებელი, არც — **ჭყონია!** ხაზარაძეს აქამდე ტყუილები არ უთქვამს, თუ რა? აეყვავებინა წალენჯიხა, ვინ უშლიდა? **ჭყონიაც და ხაზარაძეც მშიშარა კურდღლები არიან, სააკაშვილის მონები!** მაგათი დრო დამთავრდა და შეეგუონ ამას!

პალიკო ნოზაძე:

თუ ნაცებს უნდათ, ბელადი ცოცხალი ჰყავდეთ, სჯობს, ციხეში იყოს, გარეთ მაგას არ აცოცხლებენ, იმდენი ჰყავს გამწარებული!

პალიკო ნოზაძე: — **სააკაშვილის** სექტას ისევ ქვეყნის არევა უნდა! კი მაგრამ, მაშინ რატომ არ სტკიოდათ გული, როდესაც მოზარდ მაყურებელთა თეატრიდან გაშვებული 60 მსახიობი შიმშილობდა?! პური სანატრელი გაუხადეს! — იმის მერე, რაც **სააკაშვილმა** ქართველ ხალხს დამართა, მაგის ჭამაზე უნდა ვიდარდოთ? რატომღაც არ აღელვებდათ ქუჩებში ბიჭების დახოცვა, ომში ჩვენი ჯარისკაცების გაწყვეტა და მე უნდა ვიდარდო სააკაშვილის შიმშილი? 75 წლის კაცი ვარ, რა აღარ გამოვიარე, მაგრამ ამ სექტის მსგავსი არაფერი მინახავს! რაში გვჭირდება ეს ოპოზიცია და მაგათი უკუღმართი ხალხი, ყველას თავისი ადგილი მიუჩინონ და თუ ამას ხელისუფლება არ გააკეთებს, ამას გააკეთებს ხალხი!

— რუსთავის ციხესთან გამართულ აქციაზე ნაცრეჟიმის ყოფილმა პოლიტპატიმრებმა ყველას შეახსენეს სააკაშვილის მიერ ჩადენილი დანაშაულები!

— **სააკაშვილის საშინელებებზე თვალს ვერასოდეს დავხუჭავთ, ყველაფერი გვახსოვს!** მამა ვარ, ბაბუა და დიდი ბაბუა, ყველაფერს ვაკეთებ იმისათვის, რომ ჩემმა შთამომავლობამ ქუჩაში თავაწეულმა იაროს, ესენი რატომ არ ფიქრობენ თავიანთ შთამომავლობაზე? მაგათ ტელევიზიებს ტელევიზია არ ჰქვია და იქ მომუშავე ჟურნალისტებს — ჟურნალისტები, სექტის წევრები არიან, ბოროტებას ემსახურებიან. **სააკაშვილი ციხეში ისე უნდა იჯდეს, რომ იქიდან ვერ მართავდეს პროცესებს!** ადამიანური აღარაფერი აქვს მაგ კაცს, ქვეშაფსიაა.

— ამბობენ, რომ სააკაშვილი უკანონო პატიმარია!

— როცა ამას ამბობენ, შეხედონ გირგვლიანის მამას, პოლიტპატიმრებს და მათი ოჯახის წევრებს! გაიხსენეთ მამა-შვილი ვაზაგაშვილები, მოკლული ჟვანია — ეს ყველაფერი ნაცებმა ჩაიდინეს, ბიუჯეტიდან ხალხის ფული გაფლანგეს, ესენი ციხეში არ უნდა ისხდნენ? დაგვასვენონ და დაასვენონ საქართველოს გადამრჩენი **ბიძინა ივანიშვილი,** რომელმაც ქვეყანაზეც იზრუნა და მაგათი ბორკილებიდანაც გაგვათავისუფლა. **დაღუპა სააკაშვილმა საქართველო, ვინც მაგას მიჰყვება, ავადმყოფია! თუ ნაცებს უნდათ, ბელადი ცოცხალი ჰყავდეთ, სჯობს, ციხეში იყოს, გარეთ მაგას არ აცოცხლებენ, იმდენი ჰყავს გამწარებული!**

ირაკლი ღარიბაშვილის იმედი მაქვს, არ დაუშვებს დესტაბილიზაციას, აღარ გვინდა სამოქალაქო ომი, გადავშენდებით!

ესაუბრა
ქეთევან ხამიცაშვილი

კვირგვინოსნები

რამაზ საყვარელიძე
ექსპერტი

არ მესმის, რატომ არის ამჟამად **სააკაშვილის** მრავალპროფილურ კლინიკაში გადაყვანის მოთხოვნა ასეთი აქტუალური, რადგან ჩვენ ჯერ არ გვინახავს, რომ მას რაიმე დახმარება დასჭირვებოდა სამედიცინო დაწესებულებაში და ეს ვერ მოხერხებულიყო, ამას ამბობს ხელისუფლებაც. სწორედ ამიტომ დარწმუნებული ვარ, რომ ხელისუფლება ამ ინიციტივას არ დათანხმდება.

„რეზონანსი“

ზაალ ანჯაფარიძე
ანალიტიკოსი



ერთგვარ ტრადიციად იქცა, რომ ოპოზიცია ყოველთვის ცდილობს, საერთაშორისო ორგანიზაციების, მისიების, საელჩოების განცხადებები, დასკვნები თუ დოკუმენტები, რომლებიც მათთვის სასარგებლო ან მისაღები არაა, გადათარგმნოს იმ ენაზე, რომელიც მათ აწყობთ და ისეთი ინტერპრეტაცია მისცენ, რომელიც მათ გამარჯვებულ მხარედ წარმოაჩენს.

„რეზონანსი“

ლევან ჯავახიშვილი
„იმედის“ საინფორმაციო გამოშვების წამყვანი

გადავრთავთ „მთავარზე“ და ბოლო სიტყვებით იგინებიან. არანაირი ჟურნალისტური ეთიკა არაა დაცული, არანაირი ზრდილობა არაა დაცული. ვის უნდა ჰქონდეს პრეტენზია სიტყვის თავისუფლებაზე და ვინ ამბობს, რომ გამოხატვის თავისუფლება დაცული არ არის?! ამას ამბობენ უნამუსო ადამიანები, რომლებიც ცდილობენ, რომ **შექმნან საკუთარი სანდრო გირგვლიანი,** პარალელი გაავლონ და საკუთარი დანაშაული გადაფარონ. **შექმნან საკუთარი 7 ნოემბერი,** რომ რამენაირად იქნებ ხელისუფლებას იგივე გაამეორებინონ.

„საქართველოს რესპუბლიკა“

რომან გოცირიძე
ნაციონალური მოძრაობის წევრი

ხელისუფლება მიიღებს ისეთ პროტესტს, რომელიც 9 წლის განმავლობაში არ უნახავს. **ივანიშვილი** არსად არ წავა, რადგან არსად არა აქვს წასასვლელი. წავა რუსეთში? იქ კრიმინალები გაუსწორდებიან, წავა ევროპაში? იქ სხვა პრობლემები ექნება.

„ახალი თაობა“

ბესო მიქავა:

„სააკაშვილმა რა დღეშიც ცოტნე გამსახურდია ჩააგდო, ყველაფერი უკან შემოუტრიალდა!“

მოცი დღე საიდან და როგორ იმარხულა?

— სააკაშვილმა რა დღეშიც **ცოტნე გამსახურდია** ჩააგდო, ყველაფერი უკან შემოუტრიალდა! კარგად მახსოვს, ქალბატონმა **მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ** პარლამენტის წინაც კი დაიჩოქა და სააკაშვილს სთხოვა, რომ მისთვის შვილი არ მოეკლა. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, ცოტნე გამსახურდია ციხეში შიმშილობდა, რათა არა თავისი, არამედ სხვა პატიმრების უფლებები დაეცვა. სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ ციხეში არსებული საშინელი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ერთ-ერთი პირველი გამავრცელებელი სწორედ **ცოტნე გამსახურდია** იყო. 67 დღის ნაშიმშილები ადამიანი აწამეს, აწვალეს, რა არ გაუკეთეს და ციხეში აქვს. მარხვა სინანულისა და ლოცვის გარეშე არის დიეტა!

— მერედა სააკაშვილი მონანიე კაცს ჰგავს?

— რომელ სინანულზეა ლაპარაკი, როცა სააკაშვილი ციხიდან ისევ რევოლუციის, ისევ ქვეყნის გადატრიალებისა და არეულობისკენ მოუწოდებს?! კაცი გაიძახის — ეს ხელისუფლება დაამხეთო და, როგორ გგონიათ, მარხვას იცავს? პირველი რევოლუციონერი იყო იეროსგორ გამოქვეყნდა ვინმე „ვაჩეს დედის“ ინტერვიუ, რომელსაც, თურმე, ხილვა ჰქონდა და გვარწმუნებდა — სააკაშვილის სახით დავით აღმაშენებელი მოდის ხელისუფლებაშიო!

— მეუფე ნიკოლოზმა სააკაშვილი შეადარა კიდეც დავით აღმაშენებელსა და დემეტრე თავდადებულს!

— ეს ძველი სიმღერაა და ახალი არაფერი ხდება. სხვათაშორის, მეუფე ნიკოლოზმა რომ თქვა — **სააკაშვილმა მოინანიოს!** გაოგნებული დავრჩი. რა მოინანია სააკაშვილმა?! ამით მეუფეს რისი თქმა სურდა? არც სისხლისა და არც საეკლესიო სამართალში მონანიება არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანი სასჯელისგან თავისუფლდება. როცა ადამიანი დანაშაულს ეკლესიურად ინანიებს, მას ენდა დაედოს შესაფერისი სასჯელი — ეპიტიმია. მაინტერესებს, მეუფე ნიკოლოზმა სააკაშვილს ეპიტიმია დააკისრა?

— იცით თუ არა, რომ კონსტანტინე გამსახურდიამ ეს ხელისუფლება უკანასკნელი სიტყვებით გამოთათხა და სოციალურ ქსელებში „დაპოსტა“ — რას უშვრებით ჩემს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს? ცოტა ხანში მან ეს „პოსტი“ გააჭრო და წაშალა...

— კონსტანტინე გამსახურდიასგან ეს არ მიკვირს, რადგან დავითგარეჯის საქმეზე დაკავებული **ნატალია ილიჩოვა** და **ივერი მელაშვილი** კბილებით დაიცვა და განაცხადა, რომ, როგორც მას სმენია, სადავო ტერიტორია სწორედ აზერბაიჯანს ეკუთვნის. მოგეხსენებათ, **ზვიად გამსახურდიამ** ეროვნული მოძრაობა დავითგარეჯიდან დაიწყო, ხოლო **კონსტანტინე გამსახურდიამ** დავითგარეჯი აზერბაიჯანს მიაკუთვნა! „დათა თუთაშხიას“ ცნობილი პერსონაჟი გუდუნა, რომელიც მამას ესვრის და კლავს, ყველამ ვიცით! კონსტანტინე გამსახურდიას, რომელმაც ცხონებულ ზვიად გამსახურდიას ტყვია ბევრჯერ ესროლა, სწორედ „გუდუნა“ შევარქვი! კონსტანტინე გამსახურდიავ, რა ქენი ეს, რამდენჯერ უნდა ესროლო ზვიად გამსახურდიას ტყვია?!

— რა ეშველება ჩვენს ეკლესიას, გამოსავალს რაში ხედავთ?

— ჩვენს ეკლესიაში მოკალათებულია, სულ მცირე, ოთხი მაღალი სასულიერო იერარქი, რომლებიც გაქანებული მიშისტები არიან და ღმერთზე უფრო საააკაშვილი უყვართ! **ჩემი ფრინდლიდებაა, სასწრაფოდ ჩატარდეს რუის-ურბნისის საეკლესიო კრება და ნაკირალები ბანიკვეთონ!** მაგრამ საქართველოს უბედურებაა, რომ ამ ეტაპზე ქვეყანაში ვერ ვხედავ ძალას, რომელიც ახალი რუის-ურბნისის საეკლესიო კრების მოწვევას და ეკლესიის სწორი გზით წაყვანას შეძლებს! დავაზუსტებ, ის ოთხი მღვდელმთავარი, რომელიც წმინდა სინოდშია მოკალათებული, საქართველოს სამოციქულო ეკლესიისთვის იმაზე უფრო დიდი ნაღმია, ვიდრე ქურდბაცაცა **პეტრე ცაავა.**

— დაასახელეთ ეს ოთხი მეუფე!

— ოთხივე მღვდელმთავარს, როგორც საქართველოს ეკლესიის მტერს, ხელს მალე დავადებ და მათ ფიტულებსაც დავწვავ!

ესაუბრა

დიტო ჩუბინიძე

ოთხივე მღვდელმთავარს, როგორც საქართველოს ეკლესიის მტერს, ხელს მალე დავადებ და მათ ფიტულებსაც დავწვავ!

*„იბერიულ-კავკასიური მოძრაობის“ თავმჯდომარე **ბესო მიქავა** უკანასკნელ ხანს სააკაშვილისა და მეუფე ნიკოლოზ ფაჩუაშვილის გარშემო ატეხილ აჟიოტაჟს ეხმიანება და მიიჩნევს, რომ საქართველოს ექსპრეზიდენტი ციხეში ღორივით ცხოვრობს:*

— აქამდე ვიცოდით, როგორ ჭამდა სააკაშვილი, მაგრამ რამდენიმე დღის წინათ, როცა მისი საკანი გვიჩვენეს, ვნახეთ, როგორ გარემოში უყვარს ცხოვრება სააკაშვილს, რომელმაც გაწკრიალებული საკანი საღორეს დაამსგავსა. მეცნიერებაში კარგად ნაცნობია ის სქემები, როცა ჭამის სტილის, მანერების, ცხოვრების წესის, სიბინძურისა თუ სისუფთავისკენ მიდრეკილების მიხედვით ადვილად ადგენენ ადამიანის ფსიქოტიპს. ფსიქოლოგი და, მითუმეტეს, ფსიქიატრი არ გახლავართ, მაგრამ ერთი რამ ფაქტია — **სააკაშვილი, რომელიც ციხეში ღორივით ცხოვრობს და თავისი საკანი ვერ დაულაგებია, ცხადია, ვერც ქვეყანას დაალაგებს!** მან ერთხელ უკვე დაამსგავსა საქართველო საღორეს და, იმედია, ამის შანსი კიდევ აღარ მიეცემა!

— ბატონო ბესო, სააკაშვილი რომ ხბოს ღვიძლის ფაფებით იკვებებოდა, ეს დამტკიცებულია... თქვენ გჯეროდათ, რომ სააკაშვილი მართლა შიმშილობდა?

— არცერთი წუთით ეს არ დამიჯერებია! ამის არც სტრასბურგს სჯერა და ამიტომაა, ნაცებს რომ შემოუთვალა — თქვენი ბელადი მაიმუნობას მორჩესო! საერთოდ, სააკაშვილმა ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა ნიღაბი მოირგო. თავიდან ის იყო მოქკავშირელი, მერე დემოკრატი გახდა, მერე — ნაცი, მერე — უკრაინელი, ახლა — „მოშიმშილე პოლიტპატიმარი“ და ა.შ. ერთხანს სააკაშვილი ზვიად გამსახურდიასაც ედრებოდა, აღარაფერს ვამბობ იმის შესახებ, რომ დემეტრე თავდადებულსა და დავით აღმაშენებელს ის უკვე ოფიციალურად შეადარა მეუფე ნიკოლოზ ფაჩუაშვილმა! ერთი სიტყვით, სააკაშვილმა ბევრის და ბევრი ნიღაბი მოირგო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მას საკუთარი სახე არ გააჩნია.

არსებობს ადამიანთა ორი ტიპი, ერთნი აზროვნებენ ზემოდან ქვემოთ, ხოლო მეორენი პირიქით — ქვემოდან — ზემოთ! სააკაშვილი აზროვნებს სწორედ ქვემოდან ზემოთ... ანუ ის არ აზროვნებს ტვინით, არამედ აზროვნებს სხეულის პირველი სართულით — ქვედა ნაწილით! რაც შეეხება მეუფე ნიკოლოზ ფაჩუაშვილს, რომელიც თავისი საქციელისა და განცხადებების გამო საპატრიარქომ უკვე მწვავედ გააკრიტიკა და მარხვის არსის დამახინჯებაში დასდო ბრალი, **საქვეყნოდ ვაცხადებ, რომ ახალქალაქის, კუმურდოსა და კარის ეპარქიის მიტროპოლიტს მოსახლეობა შეცდომაში შეჰყავს, როცა აცხადებს, რომ სააკაშვილმა ორმოცი დღე იმარხულა და ამის შემდეგ ეზიარა.**

— კი მაგრამ, რაც სააკაშვილი დაიჭირეს, იმის შემდეგ ორმოცდღიანი მარხვა არ ყოფილა და ნაცფიურერმა ორმოცდღიანი მარხვა ვიცით — ერთი ორმოცდღიანია, ხოლო მეორე — ორმოცდარვადღიანი. ერთი შობის მარხვაა, მეორე — აღდგომის. არც სექტემბერში, არც ოქტომბერსა და არც ნოემბერში შობისა და აღდგომის მარხვა არ არის, მაშ, რისთვის მარხულობდა სააკაშვილი, როგორც ამის შესახებ მეუფე ნიკოლოზმა მოგვახსენა? რა ხდება, მეუფე ნიკოლოზმა დიდი სჯულისკანონი შეცვალა და „მიშას მარხვა“ დააწესა?! როცა მარხვა არ არის, ქრისტიანს მარხვის უფლება არა აქვს! მსგეფსის დროს მარხვა ცოდვად ითვლება. საერთოდ, რაბინდ მძიმე მარხვაც იყოს, კვირას მარხულობა არ შეიძლება, რადგან კვირა უფლის აღდგომის დღეა. სექტას, რომელიც შაბათ-კვირასაც მარხულობს, მეშაბათეების სექტას ეძახიან.

— კი მაგრამ, ამ ყველაფრის შესახებ მეუფე ნიკოლოზმა არ იცის?

— ცხადია, მეუფე **ნიკოლოზ ფაჩუაშვილმა** ამის შესახებ ძალიან კარგად იცის!



— მერედა, ასე რატომ ლაპარაკობს? დავიჯეროთ, სააკაშვილს მეუფე ნიკოლოზზეც აქვს კომპრომატები?

— აქ ორი ვარიანტია — ნაცსექტას შესაძლოა, მეუფე ნიკოლოზ ფაჩუაშვილზე კომპრომატები მართლაც აქვს ანდა მეუფესა და ნაციონალებს შორის დიდი სულიერი ერთობა ბუნებრივად არსებობს და ერთმანეთს პოლიტიკურადაც თანაუგრძნობენ. მეუფე ნიკოლოზი და სააკაშვილი, რომლებსაც ხალხი შეცდომაში შეჰყავთ, ძალიან მაგონებენ ეშმაკს, რომელმაც ადამი და ევა მოატყუა და აცდუნა. ძალიან კარგად მახსოვს, 2003 წელს მამა **თეოდორე გიგნაძის** ჟურნალ „ქაროზში“ რო-

მამუკა ხაზარაძევ, ფრთხილად, თავში ინდაურის კვერცხი არ მოგხვდეს!

„საქართველოს ჰელსინკის კავშირის“ წევრი და პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლი ზაზა გაბედავა, რომელიც 29 წელია, სამშობლოში ვერ ბრუნდება, ცოტა ხნის წინათ სოციალურ ქსელში მამუკა ხაზარაძეს გაეპასუხა და წალენჯიხაში გადასახლების მსურველ მულტიმილიონერს ის დრო გაუხსენა, როცა კომკავშირელებთან ერთად მერაბ კოსტავას გადაჭრილი სკამის ფეხით დასდევდა:

ზაზა გაბედავა:



— ცნობილი ამბავია, რომ ბანკირების, ჩარჩ-ვაჭრებისა და მევახშეების აშენებული ქვეყანა ჯერ არავის უნახავს! აქედან გამომდინარე, ვერც წალენჯიხას და ვერც საქართველოს ააშენებს კაცი, რომელიც მერაბ კოსტავას მიტინგებს არბევდა და საქართველოს ეროვნულ გმირზე საცემრად იწევდა. სწორედ ეს მივწერე და შევახსენე მამუკა ხაზარაძეს ფეისბუქის მეშვეობით, რაზეც მიპასუხა — კრემლს მოკითხვა გადაეცით! **მინდა, მამუკა ხაზარაძეს ვუთხრა, რომ ის კაცი ვარ, რომელიც 1992 წელს ზუგდიდის უშიშროების სამმართველოს თავს დაესხა და მამუკა ხაზარაძის პატრონის ედუარდ შევარდნაძის ლეკვები, რომლებიც ზვიად გამსახურდიას მკვლელობაში, სავარაუდოდ, მონაწილეობდნენ, ორ მებრბართან — „კინგ-კონგთან“ და „ჰუსეინასთან“ ერთად განაიარაღა.** „კინგ-კონგი“, ანუ იგივე გია მესხია დღესაც ცოცხალია და ღმერთმა კარგად ამყოფოს, ხოლო „ჰუსეინა“ — ზუგდიდის კოლორიტი, სამწუხაროდ, გარდაიცვალა!

სხვათაშორის, ზუგდიდის უშიშროების სამმართველოს უფროსი მაშინ **თემურ გაბუნია** იყო. ამ კაცმა, რომელიც, ჩემი ინფორმაციით, დღესაც ცოცხალია, ზვიადის მკვლელობის შესახებ არათუ ძალიან ბევრი იცის, არამედ პირადად მონაწილეობდა პრეზიდენტის დევნასა და ზვიადისტების წამებაში. ამიტომ მოვუწოდებ ხელისუფლებას: **თუ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის გახსნა გინდათ, მოკმებნეთ და აუცილებლად დაჰკითხეთ ნაძირალა თემურ გაბუნია!**

— ბატონო ზაზა, ამ თავდასხმას მაშინ მსხვერპლი მოჰყვა?

— არავითარი მსხვერპლი არ ყოფილა და არავინ დაშავებულა... უბრალოდ, იმ უჯიშოებს, რომლებიც ჩვენს ბიჭებზე ნადირობდნენ, იარაღი ავყარეთ და წამოვედით. სხვათაშორის, წამოვიღეთ უშიშროების კარტოთეკა, აგენტების სია, რომელიც პირადად ჩავუტანე გროზნოში ბატონ ზვიად გამსახურდიას და, იცით, რა აღმოჩნდა? **ის აგენტები სამებრძოლოდან და ზუგდიდიდან, რომლებიც უკვე მაშინ 10-15 წლის გარდაცვლილი იყვნენ, მოქმედ აგენტებად ჰყავდათ გაფორმებული და ხელფასებიც ჰქონდათ დანიშნული.** ცხადია, ამ ფულს უშიშროების ცოცხალი თანამშრომლები იდებდნენ ჯიბეში. ბატონმა ზვიადმა ამის გამო ბევრი იცინა... რაც შეეხება ხაზარაძეს, ამ არაბული ბიზნესმენის ქონება მიტაცა...

— საინტერესოა, პოლემიკის დროს, როცა თქვენ მას მერაბ კოსტავასთან დაკავშირებული ინციდენტი და სხვა სამარცხვინო ფაქტები გაუხსენეთ, მამუკა ხაზარაძემ რა გიპასუხათ? საერთოდ, საიდან და როგორ დაიწყო თქვენი პოლემიკა?

— ყველაფერი იმით დაიწყო, რომ სოციალურ ქსელში ე.წ პოსტი დავდე და სამეგრელოს მოსახლეობას მივმართე — **ძმებო, მეგრელებო, კოლხებო, ეს ორი თაღლითი — ხაზარაძე და თემურ ჭყონია-აკოფოვი მანდ არ შემოუშვათ-მეთქი!** პარალელურად ხაზარაძეს გავუხსენე მერაბ კოსტავას რომ არბევდა... ამაზე ამ მართლაცდა ხაზარამა მომწერა — „ძალიან მეცოდებით... კრემლს მოკითხვა!“ ხოლო მერე გამომიგზავნა **ბადაწყვეტილება, რომლითაც მამუკა ხაზარაძესა და „ასავალ-დასავალს“ შორის გამართული დავის დროს სასამართლომ გამოიტანა.** ამით აშკარად მიმანიშნა — რასაც მაბრალებენ, სასამართლომ ყველაფერში გამამართლა, მერაბ კოსტავასთან არანაირი შეხება არ მქონიაო! ჯერ ერთი, მე რა ვუთხარი იმ სასამართლოს, რომელიც მამუკა ხაზარაძეს საერთოდ ვინმესთან გაამართლებს! მეორე — შემოუბრუნდა თუ არა ამ ხელისუფლებას მამუკა ხაზარაძე? მთელმა ქვეყანამ იცის, მერაბ კოსტავას მიტინგი რომ კომკავშირელმა მამუკა ხაზარაძემ დაარბია და მიუხედავად ამისა, სასამართლომ მაინც თქვენ გაგამტყუნათ! ეს არის სამარცხვინო და იმის დამადასტურებელი ფაქტი, რომ საქართველოს სასამართლო მართლა არ ჰყავს. მთელმა საქართველომ ისიც იცის, რომ **ბახტანგ კიკაბიძე, გიგა გოკერია, გიორგი ბარამიძე და თემურ ჭყონია-აკოფოვი მანდ არ შემოუშვათ-მეთქი!** პარალელურად ხაზარაძეს გავუხსენე მერაბ კოსტავას რომ არბევდა... ამაზე ამ მართლაცდა ხაზარამა მომწერა — „ძალიან მეცოდებით... კრემლს მოკითხვა!“ ხოლო მერე გამომიგზავნა **ბადაწყვეტილება, რომლითაც მამუკა ხაზარაძესა და „ასავალ-დასავალს“ შორის გამართული დავის დროს სასამართლომ გამოიტანა.** ამით აშკარად მიმანიშნა — რასაც მაბრალებენ, სასამართლომ ყველაფერში გამამართლა, მერაბ კოსტავასთან არანაირი შეხება არ მქონიაო! ჯერ ერთი, მე რა ვუთხარი იმ სასამართლოს, რომელიც მამუკა ხაზარაძეს საერთოდ ვინმესთან გაამართლებს! მეორე — შემოუბრუნდა თუ არა ამ ხელისუფლებას მამუკა ხაზარაძე? მთელმა ქვეყანამ იცის, მერაბ კოსტავას მიტინგი რომ კომკავშირელმა მამუკა ხაზარაძემ დაარბია და მიუხედავად ამისა, სასამართლომ მაინც თქვენ გაგამტყუნათ! ეს არის სამარცხვინო და იმის დამადასტურებელი ფაქტი, რომ საქართველოს სასამართლო მართლა არ ჰყავს. მთელმა საქართველომ ისიც იცის, რომ **ბახტანგ კიკაბიძე, გიგა გოკერია, გიორგი ბარამიძე, დევი ჭანტურაძე, გოგი ხოშტარია, რუსუდანი და საკაკუნი** გარშემო შემოკრებილი ეს ნაძირალები ზვიად გამსახურდიას ტყვიებს უშენდნენ, მაგრამ კაციშვილს ამის გამო პასუხი არ უგია, ხოლო მე საქართველოს პირველ პრეზიდენტს ვიცავდი, მის დავალებებს პირნათლად ვასრულებდი და დღემდე საქართველოში არ მიშვებენ! ჭურდები, ჭურდებიო! — რომ გაიძახიან, ნაცსექტის სიის პირველი ნომერი **ბუბა კიკაბიძე** მოსკოვში სწორედ ჭურდებთან იყო შეკრული. კერძოდ, კიკაბიძე მოსკოვში ცნობილი კრიმინალური ავტორიტეტისა და „კანონიერი ჭურდის“ „დედ ჰასანის“ რესტორნის დირექტორად მუშაობდა! რესტორანს ერქვა „ნე გარუი!“ — „არ დაიდარდო!“ **სააკაშვილი ვითომ „კანონიერ ჭურდებს“ დასდევდა და ამ დროს „ჭურდების“ ძმაკაცი და მათი რესტორნის დირექტორი ბუბა კიკაბიძე მეხოტბედ ჰყავს დანიშნული...** აი, ეს ორმაგი სტანდარტი ღუპავს ქვეყანას!

— მამუკა ხაზარაძეს რას ეტყვით?

— სოციალურ ქსელშიც დავწერე და კიდევ ერთხელ ვიმეორებ — **მეგრელებო, კოლხებო, წალენჯიხამ შეგვარდნაძის ბანდების შემოსევის დროს დიდი უბედურება ნახა და ეს აფერისტები და მძარცველები — მერაბ კოსტავაზე ხელის ამწევი მამუკა ხაზარაძე და ე.წ. თურქუღლი კრედიტის შემთქვლეფი თემურ აკოფოვ-ჭყონია წალენჯიხაში არ შემოუშვათ!** არაფერს ესენი თქვენთვის არ გააკეთებენ და ჭკუით იყავით! მამუკა ხაზარაძეს კი ვპირდები, რომ, თუ სამეგრელოს თავს არ დაანებებს და წალენჯიხელების „დაბოლებას“ არ შეწყვეტს, კვერცხების კორიანტელს მოვუწყობ! მამუკა, ფრთხილად, თავში ინდაურის კვერცხი არ მოგხვდეს!

ესაუბრა
დიტო ჩუბინიძე

„ბუბა კიკაბიძე მოსკოვში ცნობილი კრიმინალური ავტორიტეტისა და „კანონიერი ქურდის“ „დედ ჰასანის“ რესტორნის დირექტორად მუშაობდა!“

მირიან მირიანაშვილი
პოლიტპატიმარი ორგანიზაცია „ერის“ თავმჯდომარე

გარემოცვა **სააკაშვილს** არასწორ, დამახინჯებულ ინფორმაციას აწვდიდა და ილუზიებში აგდებდა. ამ ხალხმა ჩამოიტყუა ყოფილი პრეზიდენტი. ეს ძალიან მაგონებს **ბამსახურდიას** ჩამოტყუებას. **სააკაშვილსაც** და **ბამსახურდიასაც** გარემოცვა აბრუებდა. არწმუნებდა, რომ მთელი საქართველო ფეხზე დადგება და შიშველი ხელებით დაიცავს. არადა, რეალობა მაშინაც სხვა იყო და ახლაც სხვაა. **სააკაშვილი** მიჩნეულია რუსეთიდან მართულ პოლიტიკოსად.

„ახალი თაობა“

მაია ნიკოლეიშვილი
ექსპერტი

სააკაშვილი ბევრის ხელში ინსტრუმენტია იმისა, რომ შეიქმნას წამებულის ფიგურა და მათი პოლიტიკური ინტერესები დაკმაყოფილდეს. რაც უნდა იყოს *(ამწუთში მე ვლაპარაკობ, როგორც ექიმი)*, რა ქვენა გრძნობებიც უნდა ჰქონდეთ, ვის და როგორადაც უნდა უნდოდეს **სააკაშვილის** გამოყენება ან სამუდამო პატიმრობა, როდესაც ადამიანზე მისი ახლობელი იტყვის, რომ ის ადეკვატური არ არის, მისი უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება.

აუცილებლად უნდა ჩატარდეს გადაუდებელი ექსპერტიზა. **ადამიანი ხბოს ღვიძლს იღებს და ამბობს, რომ წამალია.** ესეც სიგნალია. თუ ადამიანი მართლა ავად არის, ის არ შეიძლება, ჩვეულებრივი სასამართლოთი გავასამართლოთ.

„ახალი თაობა“

დიმიტრი უზნაძე
ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ძალიან კარგად თქვა **დიმიტრი უზნაძემ,** თუ რატომ ვართ ჩვენ მათხოვრები? იმიტომ, რომ არ გვაქვს, თუ იმიტომ, რომ არ ვართ შემძლე. მან ხაზი გაუსვა, რომ ჩვენი უსუსური მდგომარეობა განპირობებულია არა მატერიალურის არქონით, არამედ სულიერისა და პიროვნულის არქონით.

„თბილისელები“

სოსო შაბერაშვილი
„ეროვნული ალიანსის“ თავმჯდომარე

ბუბა კიკაბიძე კიევშია ჩასული უკრაინის ხელისუფლებასთან მოსალაპარაკებლად. კრიზისის განმუხტვის ერთადერთი საშუალება **სააკაშვილის** უკრაინაში ექსტრადირებაა.

„ახალი თაობა“

„თუ სასამართლო უსამართლოა და სააკაშვილი გარეთ უნდა იყოს, მაშინ დანარჩენმა 9 500-მა პატიმარმა რა დააშავა?“

ედიშერ გვენეტაძე:

ვიგინდარა სააკაშვილმა შიმშილობის აქტიც კი გააუპატიურა!

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ედიშერ გვენეტაძის განცხადებით, სააკაშვილისა და მისი სექტის ოცნება — საქართველო „მახნოს ქვეყნად“ გადაიქცეს, ჩაფლავებულია, ხოლო მსოფლიოში უპრეცედენტო „ფაფებით შიმშილობა“ სამარცხვინოზე სამარცხვინო აქტს წარმოადგენს:

— სააკაშვილი იმ ბნელი ძალების სახეა, რომლებმაც ეს მართლაცდა ვიგინდარა ფსიქოლოგიურად კარგად შეისწავლეს, პოლიტიკაში შემოათრიეს და საპრეზიდენტო ტახტზე დააგდეს. რაც მოხდა, ჩვენი ქვეყნის სირცხვილია, რადგან საბოლოოდ დამტკიცდა, რომ ცხრა წლის განმავლობაში საქართველოს მართავდა საერთაშორისო მასშტაბის აფერისტი და პოლიტიკური შარლატანი, რომელმაც შიმშილობის აქტიც კი გააუპატიურა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ შიმშილობის 40 დღის შემდეგ დგება ლეტალური შედეგი, სააკაშვილმა კი მოუფიქრებელი რამ მოიფიქრა და მსოფლიოში პირველმა დაამკვიდრა „ფაფებით შიმშილობა“! ნაცებს უნდოდათ, მიშა ჩვენი დროის **ნელსონ მანდელად** გამოეცხადებინათ, მაგრამ სინამდვილეში ხელში შერჩათ **„ნელსონ ფაფელა“!**

— ბატონო ედიშერ, დარწმუნებული იყავით, რომ სააკაშვილი არ შიმშილობდა და სიმულანტობდა?

— ამაში აბსოლუტურად ვიყავი დარწმუნებული! ვინ მისცა სააკაშვილს იმის ვაჟკაცობა, ის გაიმეოროს, რაც 1979 წელს ირლანდიელმა პატრიოტებმა ჩაიდინეს?! მოგეხსენებათ, მათ შიმშილობა გამოაცხადეს და ერთმანეთის მიყოლებით შეეწირნენ სამშობლოს. როგორც ცნობილია, მაშინ მარგარეტ ტეტჩერი გაჯიუტდა და მოშიმშილეებთან არავითარ კომპრომისზე არ წავიდა, რასაც საბოლოოდ ის შედეგი მოჰყვა, რომ ირლანდიელი პატრიოტები ვაჟკაცურად შეაკვდნენ თავიანთ წმინდა საქმეს. სააკაშვილია ამის გამკეთებელი?! როგორც მეუბნებიან, კაცმა 9 მილიარდი დოლარი მოჰპარა ქართველ ხალხს, კიდევ უფრო მეტი კეზერაშვილს აქვს მოპარული მისივე ნებართვით და ესენი შიმშილობით მოიკლავენ თავს?!

— თქვენ ირლანდიელი პატრიოტები გაიხსენეთ, მაგრამ ზოგიერთები ბედავენ და სააკაშვილის „შიმშილობას“ მერაბ კოსტავას შიმშილობას ადარებენ!

— ყველას მოვუწოდებ: პოლიტიკური ნაგვის — სააკაშვილის შედარებას მერაბ კოსტავასთან და ზვიად გამსახურდიასთან ყველამ თავი დაანებოს! სექტანტები, რომლებიც ქუჩა-ქუჩა დაძრწიან და სამოქალაქო ომის პროვოცირებას ცდილობენ, ფინანსდებიან სააკაშვილისა და კეზერაშვილის მიერ, რომლებმაც საქართველო გაძარცვეს. საქვეყნოდ ცნობილია ის ამბავი, რომ დიდძალი ფული, რომელიც მიბარებული ჰქონდა **ხატია დეკანოიძეს** ნაციქტივისტების დასაფინანსებლად და ადამიანების მოსასყიდად, ერთ მშვენიერ დღეს მისი სახლიდან გაქრა. თუ მოარულ ხმებს დავუჯერებთ, ეს ფული მისმა ვაჟმა გაფლანგა. იმდენად დიდ ფულებში ურევენ ხელს, ხატია დეკანოიძე ამ ინციდენტის გამო ნაცმოძრაობიდან არავის მოუკვეთავს. ერთი სიტყვით, დაფინანსება თავზე საყრელად აქვთ, მაგრამ ქუჩაში ხალხს მაინც ვერ კრებენ. კარგად მახსოვს, ცხნონებული ბებიაჩემის დასაფლავებიდან მესამე დღეს, შეტირილზე, უფრო მეტი ხალხი იყო მოსული, ვიდრე ვირის აბანოში გამომწყვდეული სააკაშვილის სატირლად მისი სექტანტები იკრიბებიან!

— მაინც რას ემსახურება ნაცმოძრაობის აქციები, რომლებსაც ერთდროულად რამდენიმე ადგილზე მართავენ?

— ამათ გეგმაში ჰქონდათ, 23 ნოემბრისთვის ეს ყველაფერი დაემთავრებინათ და დღევანდელი ხელისუფლებისთვის „ვარდების რევოლუცია-2“ მოეწყოთ, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოდის — მიტინგები მილევად რეჟიმშია გადასული და სულ მალე მურმან დუმბაძისა და ზურაბ-გირჩი ჯაფარიძის გარდა იქ აღარავინ დარჩება! ისე, იმ გასაცოდავებულ მიტინგებზე მდგომ ახალგაზრდებს მინდა, მივმართო — ახალგაზრდებო, **ჰკითხეთ ერთი ბუბაზ სანიკიძეს, რამდენი პარტია აქვს გამოცვლილი, თუ ახსოვს?** ამას იმიტომ გეუბნებით, რომ ეროვნული მოძრაობის აზვირთებიდან საქართველოში არ დარჩენილა პარტია, გუბაზ სანიკიძე რომ არ გაწევრიანებულიყო!

— რატომ აღარ პატრონობენ სააკაშვილს ევროპელი გადიები? და ხომ არ მფარველობენ მას რუსი ნადიები?

— ძალიან საინტერესო შეკითხვაა. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ სააკაშვილმა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნა **ბრიგოლ ვაშაძე,** რომელიც კოსმოსური კვლევის რუსულ საagენტოში მუშაობდა. ეს ისეთი დაწესებულებაა, სადაც, თუ „კაგებეს“ წევრი არ ხარ, ვერ იმუშავებ! გარდა ამისა, ვაშაძე იყო რუსეთის მოქალაქე, რომელსაც მთელი ნაცმოძრაობა ეჯაჯგურებოდა და რუსული პასპორტი ხელიდან ძლივს გააგდებინეს. **რუბრო ფიქრობთ, კრემლის დასტურის ბარეშე ასეთი კაცი საქართველოს საბარეო საქმეთა მინისტრად დაინიშნებოდა?**

სააკაშვილმა მთელი საქართველოს ენერგოსისტემა რუსეთს სწორედ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ მიჰყიდა. რუსეთს ეკუთვნის „ბორჯომი“, რუსეთს ეკუთვნის საქართველოს წყალი... რაც შეეხებათ ევროპელ და ამერიკელ გადიებს, ანუ სააკაშვილის ლობისტებს, ესენი არიან ჩვეულებრივი მექრთამეები, რომლებიც დიდძალი ფულის სანაცვლოდ კაციჭამია ბოკასასაც კი დაუდგებიან ადვოკატებად. **სამარცხვინოა, რომ ლობიზმი, რომელიც თავისი არსით ნებადართული მექრთამეობაა, თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკაში ცხოვრების წესად არის ქცეული.**

მიხეილ სააკაშვილი თავის ევროპელ და ამერიკელ გადიებს, ანუ ლობისტებს დიდძალ ფულს აძლევდა. ამიტომ ისინი ვალდებული არიან, მას უგულშემატკივრონ.

მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი გადია გახლავთ ევროპარლამენტარი **ანა ფოტიგა,** რომელიც სააკაშვილის მოსანახულებლად ციხეში არ შეუშვეს და ძალიანაც კარგი ქნეს. ასეთ არამკითხეებს საქართველო ზუსტად ისე უნდა მოექცეს, როგორც თურქეთის პრეზიდენტი მოექცა თურქეთის საშინაო საქმეებში ჩარევის მოსურნე ელჩებს! კი ბატონო, ჩამოვიდნენ, კარგი პური ვაჭამოთ, ყურძენი და ჩურჩხელები გავატანოთ ევროპაში საჩუქრად, მაგრამ ჩვენს საშინაო საქმეებში ცხვირის ჩაყოფა ერთხელ და სამუდამოდ უნდა შეწყდეს!

— ნაცსექტანტები ამბობენ, რომ, სანამ საქართველოში სამართლიანი სასამართლო არ იქნება, მანამდე სააკაშვილი გარეთ უნდა გამოუშვან!

— ერთი მითხარით, ვინ უნდა დაარტყას საბოლოო ბეჭედი იმას, საქართველოში სასამართლო სამართლიანია თუ არა? **თუ სასამართლო უსამართლოა და სააკაშვილი გარეთ უნდა იყოს, მაშინ დანარჩენმა 9 500-მა პატიმარმა რა დააშავა?**

ესაუბრა

დიტო ჩუბინიძე

მეხუთე კოლონა

სოროსის ფონდი ნაცბანდას

საქართველოში ხელისუფლების დამხობაზე ყველა ჯურის ძაღლი და ღორი რომ ოცნებობს, დიდი საიდუმლო არ არის, მაგრამ ერთია, როდესაც ამაზე პოლიტიკოსები ოცნებობენ და მეორეა, როდესაც ასეთ შლეგ განცდებში ეგრეთ წოდებული არასამთავრობო სექტორიც არის გარეული!

ქეთი ხუციშვილი

თუკი აქამდე ეს **ვაი-არასამთავრობოები** შეძლებისდაგვარად ცდილობდნენ, შეენიღბათ თავიანთი **რევოლუციური ჭინთვები,** ახლა, როდესაც ეს რევოლუცია აშკარად ჩაფლავების ბოლო სტადიაში გადავიდა, ისინიც სასწარკვეთილები აკივლდნენ!

მაგალითად, **სოროსის ფონდის** („ღია საზოგადოება საქართველოს“) აღმასრულებელი დირექტორი **ქეთი ხუციშვილი** გლდანის ციხის საავადმყოფოში სააკაშვილის გადაყვანის ვიდეომასალის გამოქვეყნებას ასე გამოეხმაურა: **ეს იყო შემზარავი სანახავი, როგორ არაადამიანურად ეპყრობოდნენ ქვეყნის მესამე პრეზიდენტს!** „საქართველოს მთავარი სოროსელი“ გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ამ კადრების გამოქვეყნებით ხელისუფლებამ შესაძლოა, სამოქალაქო დაპირისპირების პროვოცირების გეგმა გამოამზეურა!

თუმცა, ვის აქვს სამოქალაქო დაპირისპირებისა და მორიგი **„ფერადი რევოლუციის“** გეგმა და ოცნება, ეს სწორედ ამ **ქეთი ხუციშვილის** ხელქვეითმა და სოროსის ფონდის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა პირმა გადმოაპირქვავა! დიახ, **სოროსის ფონდის** პროგრამების კოორდინატორი **ბიორგი ჩიტიძე** ნიკა მელიასა და ოპოზიციის სხვა ლიდერებს მოუწოდებს, „სიმტკიცე გამოიჩინონ“ და მოკლევადიანი ულტიმატუმები არ წამოაყენონ:

„ნიკა მელიას და ყველა პასუხისმგებელ პირს: არავითარი ულტიმატუმი და „ზეგ დილით დავამთავრებთ“. მორიგეულები არიან და რეანიმაციის საშუალება არ უნდა მიეცეთ.

ერთმა კაცმა ჩამოუშალა სისტემა და ამ მიზანმიმართულმა პროტესტმა. ასლან აბაშიძეც გადაგვატარა კალაშნიკოვი ჰაერში და ზუსტად მანდ დასრულდა. ბოლომდე უნდა დაიღალონ და ჩამოიქცნენ. სიმტკიცე და დისციპლინა, სხვა ყველაფერი ბელეტრისტიკაა“.

ეს ჩიტუნია **ჩიტიძე** ვიღაც ჩვეულებრივი სამოქალაქო აქტივისტი რომ იყოს, კიდევ გაიგებდა კაცი, საწყალს ტვინში

კვირგვინოსნები

ზაქარეიშვილი
ანალიტიკოსი

ვერ ვხედავ ვერანაირ საფუძველს, დასავლეთმა პოლიტიკურ ფიგურებს რაიმე სანქცია დაუწესოს. ისინი მხოლოდ მოითხოვენ, რომ მალე გასამართლდეს **სააკაშვილი,** გაიმართოს სასამართლო და მოხდეს მისი ექსტრადირება უკრაინაში. ამას, დაახლოებით, ერთი თვე დასჭირდება.

„რეზონანსი“

რაქვიაშვილი
ოპოზიციური პარლამენტარი

არ მგონია, რომ **ფაფებისრევოლუცია,** რაც ახლა ორგანიზდება, განსაკუთრებით წარმატებული იქნება.

„ინტერპრესნიუსი“

გიგა ბუკია
კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთი დიდებული

მიტინგები რომ ჩაივლის, „ქართული ოცნება“ თვითონ გადაწყვეტს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების გამართვას. ეს შეიძლება იყოს 2022 წლის შემოდგომაზე ან 2023 წლის გაზაფხულზე.

„ახალი თაობა“

გრიგოლ ონიანი
საერთაშორისო საზოგადოება „სტალინელის“ თავმჯდომარე

ქართველი ხალხის სულით ბოროტების მკაფიო გამოხატულებაა საზოგადოების მცირე ნაწილის დამოკიდებულება **ბიძინა ივანიშვილისადმი,** მითუმეტეს, ქუთაისელებისგან, სადაც ბიძინა ივანიშვილმა ევროპაში ერთ-ერთი თითით საჩვენებელი საერთაშორისო უნივერსიტეტი ააშენა.

„საქართველოს რესპუბლიკა“

არ დაუშვათ 0,5-პროცენტიანი აბსურდი!

„ასავალ-დასავალს“ დახმარების თხოვნით მომართა საქართველოს საჯარო სკოლების სპეციალურ მასწავლებელთა ერთმა ჯგუფმა, რომელიც თავს დაჩაგრულად მიიჩნევს და განათლების სამინისტროს მხრიდან გულგრილობასა და უყურადღებობას უჩივის.

საქმე ის არის, რომ საქართველოს საჯარო სკოლების სპეციალურ მასწავლებლებს წლეულს პირველად ჩაუტარდათ გამოცდა, რომლის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაშიც უფროსი მასწავლებლის სტატუსი მიენიჭებოდათ და ხელფასი 420 ლარიდან 800 ლარამდე გაეზრდებოდათ, თუმცა, ორმოცამდე სპეციალურ მასწავლებელს ამისათვის, სულ რაღაც, 0,5 ქულა დააკლდა.

სპეციალური მასწავლებლები, რომლებსაც განსაკუთრებით რთული და საპასუხისმგებლო მისია აკისრიათ, რადგან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების აღზრდა-განათლება აქვთ მინდობილი, აცხადებენ, რომ 0,5 ქულა, რომელიც უფროსი მასწავლებლის სტატუსის მისაღებად დააკლდათ, არანაირად არ შეიძლება, მათი კვალიფიკაციისა და ცოდნის დაბალი დონის მაჩვენებლად ჩაითვალოს.

სწორედ ამიტომ ორმოცამდე სპეცმასწავლებელი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს სთხოვს, გულისხმიერება გამოიჩინოს, მთელი რიგი ობიექტური გარემოებები გაითვალისწინოს და, **სულ რაღაც, 0,5 ქულის დაკლების გამო** ისინი უფროსი მასწავლებლის სტატუსის გარეშე არ დატოვოს.

სპეციალურმა მასწავლებლებმა მინისტრ **მიხეილ ჩხენკელს** აღნიშნული თხოვნით უკვე ორჯერ მიმართეს, მაგრამ **განათლების სამინისტროში შეტანილ არცერთ წერილზე პასუხი არ ღირსებიათ.** მათ საკითხით დაინტერესება პრემიერ-მინისტრსაც სთხოვეს და შესაბამისი წერილი მთავრობის ადმინისტრაციის კანცელარიაში ჩააბარეს, თუმცა, პასუხი არც იქიდან ჩანს. სპეცმასწავლებლები დარწმუნებული არიან, რომ მათმა წერილმა პირადად **ირაკლი ღარიბაშვილამდე** ვერ მიაღწია, თორემ მთავრობის მეთაური უყურადღებოდ არ დატოვებდა.

არადა, მართლაც დიდი აბსურდი და უსამართლობა იქნება, რომ სპეციალური მასწავლებლები, რომლებიც **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების** აღზრდა-განათლებისათვის, მათი სოციალური ადაპტაციისა და სრულფასოვან მოქალაქეებად ჩამოყალიბებისათვის ტიტანურ შრომას ეწევიან, სულ რაღაც, 0,5-ქულიანი დანაკლისის გამო ხელფასის გაზრდას ვერ ეღირსონ.

მივმართავთ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრ მიხეილ ჩხენკელს — არ დაუშვათ **0,5-პროცენტიანი აბსურდი,** გამოიჩინეთ გულისხმიერება, გაითვალისწინეთ ყველა ობიექტური მოცემულობა, მათ შორის, პანდემიით გამოწვეული არაორდინარული მდგომარეობა, რომელიც განსაკუთრებით პედაგოგების საქმიანობას ართულებს და საჯარო სკოლების ორმოცამდე სპეცმასწავლებელი გამოცდაზე დაშვებული მექანიკური შეცდომის გამო უფროსი მასწავლებლის სტატუსის გარეშე არ დატოვოთ!

ასევე **მივმართავთ საქართველოს პრემიერ-მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს,** პირად კონტროლზე აიყვანოს ეს საქმე და ხელი შეუწყოს **0,5-პროცენტიანი აბსურდის** აღმოფხვრას, რაც საქართველოს საჯარო სკოლის სპეცმასწავლებლებისათვის მნიშვნელოვანია არამხოლოდ იმიტომ, რომ შეუსაბამოდ მცირე ანაზღაურება გაეზარდოთ, არამედ უფრო მეტად იმიტომ, რომ თავი ღირსებაშელახულად და უსამართლობის მსხვერპლად არ იგრძნონ!

ღარიბაშვილი ვართ, ირაკლი ღარიბაშვილი ამ საქმეს უყურადღებოდ არ დატოვებს! იმედი გვაქვს, განათლების სამინისტრო სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს!

საქართველოს საჯარო სკოლის სპეციალური მასწავლებლები, რომლებიც ძალზედ რთულ და საპასუხისმგებლო მისიას ენთუზიაზმითა და თავდადებით ასრულებენ, **0,5-პროცენტიან აბსურდში** ცხოვრებას არ იმსახურებენ!

ჯაბა ხუბუა

ბატონო განათლების მინისტრო, დაუსვით წერტილი ამ უსამართლობას!

ბატონო პრემიერო, პირად კონტროლზე აიყვანეთ ეს საქმე!

რევოლუციისკენ მოუწოდებს!

სოროსის ფონდი ანტისახელმწიფოებრივი და დივერსიული საქმიანობისთვის საქართველოდან უნდა გაპანღურდეს!

გიორგი გიგაური

დასცხა და აურიაო, მაგრამ ამ შემთხვევაში საქმე, არც მეტი, არც ნაკლები, თვით **სოროსის ფონდის** ერთ-ერთი ხელმძღვანელის რევოლუციურ ყიჟინასთან გვაქვს! თანაც, ნახეთ, როგორი ჰონორით მიმართავს თვით ნაცბელადს **ნიკა მელიას** და ,,სხვა პასუხისმგებელ პირებს“ — აი, ბიჭებო, მიიღეთ დავალებაო!

როდესაც სოროსის ფონდის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ღიად მოუწოდებს ნაცბანდას, მიაწექით და ჩამოაქციეთ ეს ხელისუფლებაო, აქ სხვა აზრი არც არსებობს: ეს რევოლუციისა და ხელისუფლების დამხობისაკენ ღია მოწოდებაა!

ნამდვილად ვერ გეტყვით, ეს ჩიტიძისეული წამოკივლება **სოროსის ფონდის** სათავო შტაბიდან და მთლად, ამათი ფიურერის — **ჯორჯ სოროსის** ბაგეთაგან მოდის თუ არა, მაგრამ თავად ის ფაქტი, რომ **სოროსის ფონდის საქართველოში მოქმედი დივერსიული ქვედანაყოფიდან** ასეთი რამე ჟღერდება, უკვე მრავლისმეტყველი რამ გახლავთ!

გიორგი ჩიტიძე

როგორც ამ ჩიტუნიას მოწოდებიდან ჩანს, ის ჯერ კიდევ 2004 წლის 6 მაისის **„აჭარულ რევოლუციაში“** მონაწილეობდა! ალბათ, ამ არსებას 2003 წლის 23 ნოემბრის **„ვარდების რევოლუციაშიც“** აქვს თავისი წილი ქაჭი მირთმეული! ფაქტია, **სოროსის ფონდის** ერთ-ერთი დღევანდელი პასუხისმგებელი პირი თავისი პირით ამბობს, რომ სააკაშვილის ნაცბანდის გულდამწვარი გულშემატკივარი და მთლად მორიგი **„ფერადი რევოლუციის“** აშუღია!

ამდენად, ამ ყველაფრის გათვალისწინებით, საქართველოს ხელისუფლებამ ოფიციალური განცხადება უნდა გააკეთოს, როგორ ჩაერთო უცხოეთიდან დაფინანსებული სოროსის ფონდი ნაცბანდის რევოლუციურ-დივერსიულ საქმიანობაში!

ის, რაც ამ **ჩიტიძემ** გააკეთა, აშკარად სცდება არასამთავრობო სექტორის ეგრეთ წოდებულ უფლებადამცველ-სამოქალაქო საქმიანობას! ამით **ჩიტიძემ** საბოლოოდ ჩამოხსნა ნიღაბი მშობლიურ სოროსის ფონდს!

არადა, **ჯერ კიდევ როდის წერდა „ასავალ-დასავალი“, მიზანმიმართული ანტიქართული, ანტიმართლმადიდებლური და ანტისახელმწიფოებრივი დივერსიული საქმიანობისათვის სოროსის ფონდი საქართველოდან გასაპანღურებელიაო?!**

ჯერ კიდევ როდის ვწერდით, **მივბაძოთ ევროკავშირისა და ნატოს წევრ უნგრეთს,** რომლის ხელისუფლებამაც, ოფიციალური საპარლამენტო გადაწყვეტილებით, კანონმდებლობით, სოროსის ფონდი კანონგარეშედ გამოაცხადა და სულ ჭიტლაყით გააგდო?!

ჰოდა, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს.

ვაჟა გაბუნია
პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი

რუსეთი დღეს შემდეგ საკითხზე მუშაობს: საქართველოში სარევოლუციო ტალღა ააგორონ და ხელისუფლებაში **ბახარია** მოიყვანონ. ეს ყველაფერი, სინამდვილეში, **ბახარიასთვის** კეთდება. ვინმეს ჰგონია, რომ **სააკაშვილი** აქ თავისი ნებით შემოვიდოდა? არა, ბატონებო! იგი, იძულებული გახდა, რუსეთს დამორჩილებოდა და აქ დაბრუნებულიყო, რადგან იგი პირდაპირ მოსკოვიდან იმართება! რუსებმა, შესაძლოა, „ქართულ ოცნებაზე“ ზეწოლა მოახდინონ და **სააკაშვილი** ციხიდან გამოაშვებინონ. რუსებს მიშას სიკვდილი არაფერში აწყობთ, შეიძლება, კიდევ გამოადგეთ რამეში.

„საერთო გაზეთი“

ნანა კაკაბაძე
არასამთავრობო ორგანიზაცია „უფლება პატიმრებისთვის — დემიანეს უფლებებისთვის“ თავმჯდომარე

საქართველოშიც ის უნდა მოხდეს, რაც პოლონეთში მოხდა — **ხალხმა ზონდერტელევიზიებს ბოიკოტი უნდა გამოუცხადოს!** დიახ, საქართველოში პოლიტიკა კრიმინალთა თავშესაფარი გახდა. **ციხეში არ ზის იმდენი კრიმინალი, რამდენიც პოლიტიკაშია.** ეს ნორმალურია? ასეთი ქვეყანა როგორ უნდა განვითარდეს?

„საერთო გაზეთი“

ალი ბაბაევი
საქართველოს აზერბაიჯანელთა კონგრესის თავმჯდომარე

ნაცმოძრაობა უნდა აიკრძალოს, სხვანაირად ეს ქვეყანა ვერ დამშვიდდება. 2012 წელს თვითონ ნაციონალებს ტომრებით მოჰქონდათ „ქართული ოცნების“ შტაბში ჩანაწერები; ახლა ეს კადრები თითქოსდა განადგურებულია, მაგრამ მომივიდა ინფორმაციები, რომ ნაციონალებს აქვთ გადანახული ის კასეტები და საჭიროების შემთხვევაში, აპირებენ, თავიანთ თანამებრძოლებს, ძველ ნაციონალებს ცხვირწინ აუფრიალონ.

„საერთო გაზეთი“

ავთანდილ სალუქვაძე
ეკსპერტი საზღვარი და პოლიტიკურ საკითხებში

რყევები მიდის **სააკაშვილის** სცენარით. ეს პერიოდი არის გადასატანი. თუ „ქართული ოცნება“ დანაპირების შესრულებას ვერ შეძლებს და გეზიდან გადაუხვევს, თავად გამარგინალდება და 2024 წლისთვის უმძიმეს შედეგებს მოიმკის. „ახალი თაობა“

გაზეთი გამოდის COVID-19-ის ბიოტექნიკურ-დივერსიული პანდემიის ხანაში

ვიხსენებთ ბესიკ ხელაშვილს

რატომ არ განკურნა ქრისტემ არავინ საკუთარ სოფელში?

იესო ქრისტემ კლასიკური დარიგება მისცა ყველა მკურნალს: **დაავადებები მარხვითა და ლოცვით იკურნება.** რადგან ადამიანური ბედნიერების ფესვი სურვილია, სხვების სამკურნალოდ ექიმბაშმა ეს პრობლემა უნდა გადაჭრას. მარხვა, ანუ მდოვრე და მასშტაბური გათავისუფლება, სექსუალურ ცხოვრებაზე უარის თქმა, განმარტოება და საზოგადოებრივი კავშირისგან გამოთიშვა ქმნიდა იმ ფონს, რომელიც ლოცვას ეფექტიანს ხდიდა. და მაშინ სიყვარულის ულუფა, როგორც მაცოცხლებელი წყალი, რომლითაც მცენარის ფესვებს რწყავენ, ავადმყოფის სულს გამოაცოცხლებდა და ის ჯანსაღებოდა. **გამოჯანმრთელების ხარისხი დამოკიდებული იყო იმაზე, რამდენად ძლიერად მიესწრაფოდა ავადმყოფი სიყვარულს და რწმენას.** რწმენა მისწრაფებული სურვილია. ის სიყვარულზე მაქსიმალურ კონცენტრაციას იძლეოდა და სასწაულები ხდებოდა. **რატომ არ განკურნა ქრისტემ არავინ საკუთარ სოფელში? იმიტომ, რომ მათ, ვინც მას იცნობდა, უნდობლობის, ეჭვის, ქედმაღლობის ემოციები უჩნდებოდათ.** იქმნებოდა მიუღებლობის კოლექტიური ველი, რომელიც ნებისმიერს უკეტავდა ადამიანურისაგან განდგომის და სიყვარულისკენ მისწრაფების შესაძლებლობას.

არსებობს ცხოვრებისადმი დამოკიდებულების სამი ტიპი: 1) როდესაც ადამიანი ამბობს, რომ ბედნიერია და არაფერი სჭირდება; 2) როდესაც ის ბედნიერია და აქვს მიზნები, რომელთა მიღწევას ცდილობს; 3) როდესაც ადამიანი ერთადერთი მიზნით ცხოვრობს და სხვას ყველაფერს ივიწყებს.

ჩვეულებრივ, ადამიანი პერიოდულად მუშაობს ამ რეჟიმთაგან ერთ-ერთში. როდესაც მასში ბევრი ენერგიაა, შეუძლია, სამივე რეჟიმი გააერთიანოს, ანუ სიცოცხლის ყოველ წამს ბედნიერი იყოს. ამავე დროს, მიზანი დაისახოს, მისკენ იაროს და თავად ამ პროცესით დატკბეს და ამასთან, პერიოდულად მთელი თავისი ენერგია რომელიმე მიზნისკენ მისწრაფებას დაახარჯოს. ვცადოთ, აბსტრაქტულად განვსაჯოთ, **რა არის მიზანი? მიზანი ის არის, რაც სურვილების ენერგიას წარმოშობს.** როგორც კი მას მივაღწევთ, ახალ მიზნებს ჩამოვაყალიბებთ ან თვითგანადგურების პროგრამა ჩაირთვება.

●

მაინც, რა არის ბედნიერება? მიზანი თუ მისკენ მიმავალი გზა?

სინამდვილეში არც — ერთი, არც — მეორე. **ბედნიერება ენერგიის გაცემაშია, როდესაც არსებობს მიზანი და მისკენ სვლა. მნერგიის გამოსხივება სიყვარულის გარეშე გერ მოხდება,** მაშასადამე, **რაც მეტ ენერგიას გამოვყოფთ, მით მეტი სიყვარული გვექნება სულში.** მე მხოლოდ მიზნებით ვცხოვრობდი — ამ დროს სტრატეგიული აზროვნება ვითარდებოდა. მაგრამ ასე დიდხანს გაგრძელება არ შეიძლებოდა და მშენებლობაზე შავ მუშად შრომამ, ხშირმა სასიკვდილო რისკმა ჩემი სიცოცხლე იხსნა. მეორე დადებითი მომენტი — მე ისეთივე გავხდი, როგორც ყველა, თუნდაც, გარეგნულად. მივხვდი, რომ ეს აუცილებელია. ცივილიზაციის განვითარების პირობა ინფორმაციის გაცვლა და მისი წარმომადგენლების თანაბარზომიერი განვითარებაა. ქცევის, აზროვნების, ენის გასაშუალება ის აუცილებლობაა, რომლის გარეშეც ვერ გადავრჩებით. **საერთო მნიშვნელის გარეშე განვითარება შეიძლება შეჩერდეს.**

აი, რატომ არის სახიფათო და მორალით მუდამ იკრძალება ნებისმიერი არასტანდარტული საქციელი, ისევე, როგორც აზროვნება. არადა, **ბანმოთარება და ბარლვემა არასტანდარტული აზროვნებისა და საქციელის გარეშე შეუძლებელია. მორალი, რომელიც ადამიანებს აიძულებს, ერთნაირები იყვნენ, სიყვარულიდან კი არა, შიშიდან გამოდის,** ამიტომ ზრდილი ადამიანი ხშირად დაეჭვებული, დაშინებულია. აზრი, რომ გასაშუალება ცუდია, ისევე არასწორია, როგორც აზრი, რომ ეს კარგია. ხშირად ის, უბრალოდ, აუცილებელია, ზოგჯერ კი — ძალიან ხელის შემშლელი. ჩვენ მივეჩვიეთ მხოლოდ კარგის ან ცუდის ცნებებიდან გამოსვლას. როდესაც სამყაროს შეცნობას სერიოზულად შეუდგები, ადრე თუ გვიან მარტივ დასკვნამდე მიხვალ: ობიექტის ზუსტი დახასიათებისთვის ერთმნიშვნელოვანი განმარტება შეუძლებელია. **ნებისმიერი ობიექტის თუ პროცესის დახასიათებაში ორი ურთიერთსაპირისპირო თვალსაზრისი არსებობს.** აღმოსავლური ფილოსოფია თვლის, რომ ავადმყოფობისას ადამიანის დახმარება არ შეიძლება. მან საკუთარი კარმა უნდა გამოისყიდოს. დასავლური მიიჩნევს, რომ ყოველი ადამიანის მკურნალობა საჭიროა. განვაზოგადოთ: **თითოეული ადამიანის მკურნალობა საჭიროა, მაგრამ საქმის ცოდნით, ანუ სულიდან დაწყებული.**

შემდეგი პოზიცია: **უნდა გავცეთ თუ არა მოწყალება?** კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ინდოეთში მოწყალებას არ იძლევიან. ეს შენი ბედია და ის უნდა მიიღო. ჩვენთან ყველას განიკითხავენ. ამასწინათ ერთმა ქალმა ასეთი შემთხვევა მიამბო: ის მანქანაში ჯდებოდა, როდესაც აცრემლებული გოგონა მიადგა და პური სთხოვა. **„ვაშლი მივაწოდე, მანქანაში ჩავისვი და ჩემთან წავიყვანე,** — მიამბობდა ქალი, — **ბინაში არ შემიშვია, თუმცა, ძალიან უნდოდა. გამოვუტანე პური, კატლეტი, პომიდორი და წამოვედი. უცებ დამაინტერესა, რას მოიმოქმედებდა და უკან მივბრუნდი. ვაშლი და საჭმლიანი პარკი მიწაზე ეყარა, გოგონა კი კუთხეში მიმალულიყო და მითვალთვალებდა. ალბათ, ფულის გამოტყუება ან ბინაში შეღწევა უნდოდა“.**

ანალოგიურ სიტუაციაში ზოგი მოწყალებას არ მისცემს და არ დაეხმარება; ზოგი იტყვის, რომ ქრისტე გვასწავლიდა, როდესაც ითხოვენ, დავეხმაროთ. ადამიანს ამგვარად სურს თავისი კაცთმოყვარეობის შენარჩუნება. რა ავირჩიოთ — გაბოროტება და გულგრილობა თუ სხვათა განებივრება და გარყვნა? დასკვნა იგივეა: **თუ ადამიანი დახმარებისთვის მოგვმართავს, ყოველთვის უნდა დავეხმაროთ, მაგრამ ეს დახმარება პროფესიული უნდა იყოს.** მოცემულ შემთხვევაში ქალი სწორად მოიქცა, როცა ბავშვს საჭმელი მისცა და არა — ფული. უბრალოდ, პროფესიული დახმარებისთვის მეტი ძალ-ღონეა საჭირო, ამიტომ ხშირად ფულით თავის დახსნა ან გულგრილად გვერდით ჩავლა უფრო გვეადვილება.

მახსოვს, ერთი პაციენტი თავისი ძმრის ამბავს მიყვებოდა:

— ძალიან კეთილი ადამიანია. ადრე ბევრი ფული გვქონდა და ნაცნობები მისგან დიდ თანხებს სესხულობდნენ, თანაც ასეთი სურათი წარმოიდგინეთ. მოდის ადამიანი და ევედრება, 50 ათასი დოლარი მასესხეო. ჩემი ქმარი ეუბნება: **„ფულს მოგცემ, მაგრამ ამის შემდეგ შემიძულებ“.** ის იფიცება, რომ ასეთი რამ არ შეიძლება მოხდეს. გადის ხანი, ნაცნობი ვალს არ აბრუნებს და მართლაც მტერი ხდება. იცით, ფული არცერთს არ ჩაუსესხებია. როგორ უნდა მოვიქცეთ ასეთ შემთხვევებში? უარი რომ ვუთხრათ — სული გაგვიუხეშდება. რომ მივცეთ — ბოლო კაპიკსაც წაგვართმევენ.

— პირველი წესი, — ვუთხარი მე, — დაივიწყეთ ის ფული, რომელიც თქვენმა ქმარმა გააესესხა.

ქალმა ხელი აიქნია:

— ამ მხრივ ყველაფერი ნორმალურადაა.

— მაშინ თანავუგრძნობ მათ, ვინც ისესხა. ჩემი ნაცნობის მამამ ერთხელ მეგობარს ათასი დოლარი ასესხა. შვილი აფრთხილებდა, მაგ ფულს უკან ვეღარ მიიღებო. მაგრამ კაცმა არ დაიშალა. გავიდა ერთი წელი — მეგობარი უხეშობდა, თავს იძვრენდა და ვალს არ აბრუნებდა. ვაჟიშვილმა მამას ურჩია, დავიწყებინა ეს თანხა, ვითომ არც ჰქონია. მამამაც ყველაფერი მოიხსნა. გარკვეული ხნის შემდეგ

სერგეი ლაზარევი კარის

კვირგვინოსნები

მაკა ძაგანია
მსახიობი

ერთმა ღიმილმა ქუჩაში და სიტყვებმა **„როგორ მიყვარხარ“,** შეიძლება ერთი კვირა ისე გატაროს, ფეხი არ დაგადგმევინოს მიწაზე. ძალიან მაგარი რამაა, როდესაც გრძნობ, როგორ **გულწრფელად უყვარხარ** ვიღაცას და გავიწყდება, რამდენად მძიმე პროფესიაა და რამდენად უსახსრო.

„სარკე“

ბესო ქალანდაძე
მომღერალი, ტელეწამყვანი

ადამიანების არ მწამს, ცხოველს უფრო ენდობი, ვიდრე ადამიანს, რადგან ბევრად ადეკვატურები არიან. **დღეს ბევრი ქალი უფრო წარმატებულია, ვიდრე — კაცი. ისეთი შეთანხმებაც გვრჩება, კაცს აღარ აქვს საშოძრაო არეალი.** „თბილისელები“

ნოდარიკო ხუციშვილი
მომღერალი

ცოტა სიგიჟეში გადაიზარდა ეს ვითომ თავისუფლების აღქმა. უტაქტობაც კი მგონია, თითოეული შენი ნაბიჯის შესახებ ყველას აგებინებდე. „თბილისელები“

სალომე გოგიაშვილი
ყოფილი ტელეწამყვანი

დავრეკე 112-ში, დავრეგისტრირდი, ვაცნობე, რომ მაქვს კორონა, მაგრამ, როგორც თქვენთან არ დაურეკავს **ოჯახის ექიმს,** ისე ჩვენთან არ დაურეკავს. ამიტომ ნუ გექნებათ **ოჯახის ექიმის** იმედი. „სარკე“

აჩი ფურცელაძე
მომღერალი

მივედი ყველა ტელეკომპანიაში მზა პროექტებით, მაგრამ რად გინდა, არსად მოინახა ჩემთვის ადგილი. შევხვდი რედაქტორებს, პროდიუსერებს, მაგრამ ურჩევნიათ, გადმოქართულებული უნიჭობა შეაჩეჩონ მაყურებელს, ვიდრე ჩემი საუკეთესო პროექტები. არც მიკვირს, ჩვენი ტელეარხების უმეტესობა ხომ მხოლოდ ჭორებზე, სკანდალებზე, სენსაციებზე, კომპრომატებზე არის ჩასაფრებული თავიანთი უნიჭო, უზრდელი, მეტყველების არმცოდნე ჟურნალისტებით. „სარკე“

დიაგნოსტიკა

რატომ შეიძლება გალოთდეს საყვარელ ქალზე დამოკიდებული მამაკაცი?

რატომ არ შეიძლება გასაღების სასადილო მაგიდაზე დადება?

მოვალეს შვილი მოუკვდა, უბედურება უბედურებას მიჰყვა. მაგრამ **არც მეტისმეტად ადვილად ფულის გასესხება შეიძლება.** გახსოვდეთ გამოთქმა: **არ აცდუნო.**

— აბა, როგორ უნდა მოვიქცე? — მეკითხება ქალი.

მხრებს ვიჩეჩ.

— დახმარება საჭიროა, ოღონდ — პროფესიულად. თუნდაც ის საუკეთესო მეგობარი იყოს, თუ 50 ათას დოლარს სესხულობს, თავისი ბინა თქვენი ქმრის სახელზე გააფორმოს, რათა გაუთვალისწინებელი გარემოებები არ წარმოიშვას. თუ ეს ბიზნესს კი არა, რთულ ცხოვრებისეულ სიტუაციას უკავშირდება, შეიძლება გარანტიის გარეშე გასესხება, მაგრამ მხოლოდ იმ თანხის, რომელიც მზად ხართ, დაკარგოთ, ანუ მეგობარს აჩუქოთ. **ყველაფერს აჯობებს, ვალად მოთხოვნილი თანხის შეათედი აჩუქოთ.** წარმოიდგინეთ მსესხებლის ფსიქოლოგიური მდგომარეობა. თანხა დიდია, ადვილად მიიღო, დაბრუნება კი უმძიმს. ხომ გახსოვთ: **„სესხულობ სხვისას და ცოტა ხნით, აბრუნებ საკუთარს და სამუდამოდ“.** ვინმეს ვალი რომ არ დაუბრუნოთ, საკუთარ თავს მორალური გამართლება უნდა მოუძებნოთ, ნებისმიერ წვრილმანს ჩაებღაუჭოთ და მანამდე გაბუქოთ, სანამ გამსესხებელი ბოროტება, **„დავმხაროთ თუ არ დავმხაროთ“, „გვიყვარდეს თუ არ გვიყვარდეს“.** დროა, აზროვნების ორპოლუსიანი მოდელი განხორციელდეს.

ზოგჯერ როგორ ხდება? მამაკაცი ამბობს თავის ცოლზე: **„მიყვარდა, მისთვის ყველაფერს ვაკეთებდი, მან კი მიღალატა. მავანს არ უყვარს, ამცირებს, ცოლი კი აბრეშუმივით ჰყავს. ასე რომ, აწი მეც აღარ მეყვარება“.** მერე კი ამ კაცს თორმკლები ეთიშება, ფილტვის ან სწორი ნაწლავის კიბო უჩნდება. და ვერ ხვდება, რომ **სიყვარულზე უარის თქმა არასოდეს შეიძლება,** რომ **სამყაროში არ არსებობს სიყვარულზე უარის თქმის მიზეზი.** მაგრამ მისთვის სიყვარული და თაყვანისცემა ერთი და იგივეა. და რაც მეტად უყვარს, მით მეტად ეთაყვანება. ამით ის რყვნის ქალს, რისთვისაც ეს უკანასკნელი უნებლიეთ უხდის სამაგიეროს, უფრო სწორად, ისე იქცევა, რომ საკუთარი სულის რღვევა შეაჩეროს.

ქალის წინაშე მუხლის მოყრა? მასზე სრულ დამოკიდებულებას. დამოკიდებულება და მოლოდინი მჭიდრო ურთიერთკავშირშია. როდესაც ველოდებით და დამოკიდებული ვართ, სულში შიში და გაკიცხვა ჩნდება. ღალატის შიში სულს ჭიასავით ღრღნის. იბადება ეჭვიანობა, წყენიაობა, გულგატეხილობა, სიძულვილი, ანუ ქალზე ემოციური დამოკიდებულება, ეს კი მონობაა. ასეთი ადამიანი შეიძლება გალოთდეს.

სიყვარულისგან განსხვავებით, ალკოჰოლი ჯერ ადამიანურისგან მოგვწყვეტს, სიხარულს და ფრენის გრძნობას მოგვგანიჭებს, მერე კი ასეთივე ძალით ჩაგვწნეხს ყოველივე ადამიანურში. ამ ტკივილის გასაძლებად სიყვარული უნდა შევიგრძნოთ, ენერგია უნდა გავცეთ, დადებით ემოციებზე განვეწყოთ, ვიმეს დავეხმაროთ, თანავუგრძნოთ, საკუთარი თავი დავივიწყოთ. მაგრამ, **თუ უსიამოვნო ემოციის გაქრობას ისევ ალკოჰოლის დახმარებით ვცდილობთ, ადამიანურის დაძლევა არ მოხერხდება, კარი იკეტება, გამოსავალი არ არის. ჩნდება ალკოჰოლური დამოკიდებულება.**

აზრები ნელ-ნელა დამიწყნარდა. გონებამ დაისვენა. შეიძლება შემდეგი პაციენტის მოწვევა.

მოულოდნელად ტელეფონი აწკრიალდა. პაციენტი ქალი ამერიკიდან რეკავს და რამდენიმე სასიცოცხლო მნიშვნელობის შეკითხვას მისვამს. მის ხმაში რაღაც მოუხელთებელს ვგრძნობ, რაც არ მომწონს.

— ყველაფერი წესრიგში გაქვთ?

— დიახ, მშვენივრად ვარ.

უცნაურია. **ხმაში ხომ ადამიანის წარსულისა და მომავლის შესახებ მთელი ინფორმაცია ინახება.** არ შემიძლია, ლოგიკურად ავხსნა, რამ შემაშფოთა. მისი ველის დიაგნოსტიკას ვატარებ. კატასტროფული სურათია. არადა, აქამდე ყველაფერი ნორმალურად იყო.

— რა შეგემთხვათ? — ვეკითხები.

— განსაკუთრებული არაფერი, — მშვიდად მეუბნება ის. **შინ შვიდი დღე მომიწევდა მუშაობა. მაგრამ ქმარმა გადამათქმევინა და აღარ წავსულვარ.**

მოდელირებას ვცდილობ და გაოცებას ვერ ვფარავ.

— მგონი, მიზეზი ვიპოვეთ, — ვეუბნები, — ორი სამსახური ერთად სიცოცხლის და სურვილების შვიდმაგად სასიკვდილო რღვევაა. ბოლო ხანებში ხშირად მიწევს მძიმე დაავადებების დიაგნოსტირება ბავშვებში, რომელთა დედები სამუშაოში არიან ჩაფლული. მაგრამ აქ უბრალოდ მძიმე შრომა კი არა, აშკარა გადატვირთვაა. ახლა გიამბობთ, რა შემემთხვა სულ ცოტა ხნის წინათ.

მაღაზიაში პროდუქტები შევიძინე. სახლს რომ მივუახლოვდი, მანქანა სადარბაზოსთან გავაჩერე. სადარბაზოს კარი უნდა გამეღო, ლიფტით ავსულიყავი და ბინაში შევსულიყავი. ძალიან ბევრი შეკვრა დამიგროვდა. რეალურად ეს ყველაფერი ორ გზობად უნდა გადამეტანა, მაგრამ ვჭკვიანობდი. ყველაფერი ერთად ავკრიფე და სადარბაზოს კართან მივედი. გაჭირვებით გავაღე და ლიფტამდე მივაღწიე. ღილაკს თავი მივაჭირე, გამოვიძახე და ჩემს სართულზე ავედი. ბინის კართან ჩანთები ძირს დავაწყვე, კარი გავაღე, ახლა უკვე მშვიდად, თანდათან შემოვზიდე პროდუქტები და კარი დავკეტე. ჩვენი სადარბაზო ჭუჭყიანი და დანაგვიანებულია. ის ნარკომანების და წვრილი ნარკომოვაჭრეების ბუდედ არის ქცეული. ათი წუთის შემდეგ ზარის ხმა გაისმა. კარი გავაღე და მოღიმარი მეზობელი დავინახე. „კარში გასაღებების აცმა ჩაგრჩენიათ, — მითხრა მან, — ნარკომანებმა არ მოიპაროონ.“ მადლობა გადავუხადე, გასაღები გამოვაძრე და სიტუაციის გაანალიზება დავიწყე.

გასაღები კეთილდღეობის სიმბოლოა. ამიტომ ამბობენ, რომ არ შეიძლება მისი სასადილო მაგიდაზე დადება. როდესაც ვჭამთ, ყველაფერი, რაც მაგიდაზე სიმბოლოების სახით დევს, ჩვენში შემოდის. ამიტომ **მაგიდაზე მარილი, მდოგვი, ყვავილები უნდა დავდოთ და არა შაქარი და კამფეტები** (გასაღებზე რომ არაფერი ვთქვათ). **გასაღების დაკარგვა შესაძლო უსიამოვნებებს მოასწავებს.** მოცემული სიტუაცია შეიძლება განვიხილოთ, როგორც გამჭვირვალე მინიშნება მოსალოდნელ უფრო დიდ უსიამოვნებებზე. რისთვის? გაუმართლებელი დატვირთვისთვის. მიზეზი — სიხარბე. სიხარბის მიზეზი — მომავლის შიში, ანუ მომავალზე დამოკიდებულება. **როდესაც ადამიანს ქვეცნობიერად ეშინია მომავლის, ის ხარბად ებღაუჭება აწმყოს და ყველაფერს ხარბად აკეთებს** — ხარბად ჭამს, ხარბად სვამს. **მუდმივად სიჩქარე დროის მიმართ სიხარბეა.** დროის ეკონომიის მიზნით ის აშკარად ზედმეტ დატვირთვაზე მიდის.

საჭიროა მომავლის შიშის მოხსნა, პატარა ყლუპებით, სვენებ-სვენებით სმა, მშვიდად და ღირსეულად ჭამა, სხვების დახმარება, საჩუქრებისთვის ფულის არდანანება. მხოლოდ მაშინ ამუშავდება ლოკვა. პირველად ცოტა ხნის წინათ შევნიშნე, რა მნიშვნელოვანია წვრილმანები. თუ მათ ყურადღებით დავაკვირდებით, შევამჩნევთ, რამდენად ცოტას გავცემთ. **ჩვენ, ძირითადად, ალებაზე ვართ განწყობილი, ამას კი ვამპირიზმამდე მივყავართ. მერე გვიკვირს, რატომ არ გვიყვარს ერთმანეთი.**

— მგონი, მიგიხვდით, — მითხრა ქალმა, — მართალია, მეორე სამსახურზე უარი ვთქვი, მაგრამ ოჯახის უზრუნველყოფის შინაგანი სურვილი უწინდებურად დამრჩა. და საკუთარი თავისადმი არასწორმა დამოკიდებულებამ ჩემი ფაქიზი სტრუქტურების რღვევა დაიწყო... შეგიძლიათ, კიდევ ერთხელ დაათვალიეროთ ჩემი ველი?

ვათვალიერებ და ისევ გაოცებას მოვდივარ. ბრწყინვალე ველია. თითქოს მკურნალთა მთელმა არმიამ იმუშავა. **ჩვენი სულიერი მდგომარეობა მანქანას ჰგავს. არსებობს ზღვრული სიჩქარე და ზღვრული დატვირთვა.** თუ სიჩქარის გაზრდას ძრავის ბოლომდე გამოწურვით ვეცდებით, მხოლოდ მანქანას გავაფუჭებთ და ვერაფერს მივაღწევთ. უნდა შევცვალოთ საკუთარი სულიერი მდგომარეობა, ცოტა სხვანაირები გავხდეთ და ეს სხვა, უფრო მძლავრ მანქანაში გადაჯდომის ტოლფასი იქნება. როგორც უნდა შურდეს „ზაპოროჟეცს“ „მერსედესის“, მასზე მეტ სიჩქარეს მაინც ვერ განავითარებს.

სულერთია, საკუთარ თავზე ვიძალადებთ, სხვებზე თუ ტექნიკაზე — ეს სიკეთეს არ მოიტანს. უბრალოდ, ადამიანი ასეა მოწყობილი: ის უნდა განვითარდეს. და **სამუშაომ კი არ უნდა მოგვკლას, უნდა გაგვავითაროს.** მაშასადამე, ზედმეტი დატვირთვა მუდმივი არ უნდა იყოს და **ნებისმიერ საქმიანობაში სიამოვნება უნდა ვიპოვოთ. თუ სიამოვნება არ არის, სამუშაო შეიძლება ზედმეტ დატვირთვად იქცეს და ჯანმრთელობა დაგვიზიანოს.**

გაგრძელება იქნება

კვირგვინოსნები

ლელა კლიბაძე-შველიძე
მსახიობი

ფარაჯანოვისგან დამრჩა ძველებური **სარკე.** როცა მჩუქნიდა, მითხრა, ეს კეთილი **სარკეა,** წარმატებას მოგიტანს, გთხოვ, არასდროს შეიცვალო, შეინარჩუნე ის სუფთა სული, რაც ძალიან გაშშვენებსო. **სარკე** სულ რამდენჯერმე გადმოვიღე, შემდეგ კი ჩემს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენები მოხდა. მჯერა, როცა ამ **სარკეს** შევეხები, მისი სული ჩემ გვერდით არის.

„სარკე“

ბაბი ქირქითაძე
მომღერალი

ყველაზე ბედნიერი ვარ, როცა ვმღერი, როცა მისმენენ, როცა გულწრფელი ვარ და ტაშს მიკრავენ და სწორედ ეს არის ჩემი სილამაზის საიდუმლო.

„თბილისელები“

ნატო გელაშვილი
კომპოზიტორი

არ გახლავართ იმ ბუნების, მთავრობის წარმომადგენლები შევაწუხო და კონცერტების დაფინანსება მოვითხოვო. **ვწერ და ვმღერი ჩემი ხალხის სიყვარულით და საპასუხო სიყვარულსაც უხვად ვიმკი.** კულტურის სამინისტროში და სხვაგანაც იციან, რომ არსებობს **ნატო გელაშვილი** და, საჭირო თუ ვიქნები, გამიხსენებენ.

„სარკე“

ნუკრი კაპანაძე
მომღერალი

რომ არ ვიმღერო, სასუნთქი გზა გადამეკეტება და ვიცით, რომ ამ დროს ადამიანი კვდება. ჩემი სიმღერა ქართულ სიტყვაზეა აგებული. ქართულ სიტყვას აქ იგებენ, ჩემს ქვეყანაში, სხვაგან ვერ გაიგებენ.

„თბილისელები“

სვიმონ მასხარაშვილი:

ჩემმა დიდმა ბაბუამ გალაქტიონ მასხარაშვილმა კიროვის მკვლელობის ამბავი რომ გაიგო, ქუთაისში რესტორანი დაკეტა, უზარმაზარი სუფრა გაშალა და გაიძახოდა: ეს – ერთი და სხვა – მრავალიო!



სერგეი კიროვი და სერგო ორჯონიკიძე

პროფესორი სვიმონ მასხარაშვილი 30-ანი წლების ე.წ. დიდი ტერორისა და შიშიანობის მიზეზებზე საუბარს აგრძელებს და აღნიშნავს, რომ მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით 1937 წელს 1 მილიონამდე ადამიანი დააპატიმრეს, საიდანაც, სულ მცირე, 300 ათასი ლავრენტი ბერიამ 1939 წელს გაათავისუფლა, როცა სამუშაოდ მოსკოვში გადავიდა:

— სტალინის წინააღმდეგ შეთქმულება დიდი ორგანიზებულობით ვერ გამოირჩეოდა. არსებობდა რამდენიმე ჯგუფი, მაგრამ შეთქმულთა შორის **აბელ ენუქიძე** უსათუოდ იყო ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურა, როგორც ძველი ბოლშევიკი და სტალინთან ძალიან დაახლოებული პირი.

— ბატონო სვიმონ, თუ არ ვცდები, აბელ ენუქიძე სტალინის მეორე ცოლის ნადეჟდა ალილუევას ნათლია იყო?

— კი, ბატონო, ჩემი დიდი ბაბუა, ტარტუს უნივერსიტეტის კურსდამთავრებული **გალაქტიონ მასხარაშვილი** სტალინის პირველი ცოლის ეკატერინე სვანიძის ნათლია იყო, ხოლო **აბელ ენუქიძემ** სტალინის მეორე ცოლი **ნადეჟდა ალილუევა** მონათლა. რაც მთავარია, აბელ ენუქიძე სტალინის უახლოეს მეგობართან **კლიმენტი ვოროშილოვთან** ერთად ის პირია, რომელიც პირადად აკონტროლებდა კრემლის დაცვას!

— აბელ ენუქიძე კრემლის დაცვას როგორ აკონტროლებდა?

— საბჭოთა პარლამენტს, ანუ „ცაკ“-ს ჰყავდა ოთხი სიმბოლური თავმჯდომარე და ერთი მდივანი — **აბელ ენუქიძე.** „ცაკ“-ის დაქვემდებარებაში არსებული კურსანტთა პოლკი, სადაც 183 სანტიმეტრზე ნაკლები სიმაღლის ახალგაზრდას არ ღებულობდნენ, სწორედ კრემლის უსაფრთხოებას იცავდა და აბელ ენუქიძესა და თავდაცვის სახალხო კომისარს კლიმენტი ვოროშილოვს ექვემდებარებოდა. ფაქტობრივად, აბელ ენუქიძე კრემლს აკონტროლებდა, რაც მის ამბიციებს ზრდიდა და ვერაფრით ეგუებოდა იმ ფაქტს, რომ სტალინს ძველი ბოლშევიკები ახალგაზრდა კადრებით უნდა ჩაენაცვლებინა. სტალინის მიმართ წყენას ვერ მალავდა ვერც **სერგო ორჯონიკიძე,** რომელიც საბჭოთა კავშირის მძიმე მრეწველობის მინისტრი იყო.

1932 წელს პირველი ხუთწლიანი გეგმის ჩავარდნა სერგო ორჯონიკიძესაც დაბრალდა და მან სტალინისგან დიდი საყვედური მიიღო. არმიაშიც მძიმე ვითარება იყო, რადგან მხედართმთავრების გავლენიანი ნაწილი სტალინის წინააღმდეგ გახლდათ განწყობილი. კერძოდ, **მიხაილ ტუხაჩევსკი, ალექსანდრე ეგოროვი, იერონიმე უბორევიჩი, იონა იაკირი** და სხვები სტალინს მტრობდნენ. ესენი უკრაინაში, ბელორუსიასა და რუსეთში ძალიან მნიშვნელოვან სამხედრო ოლქებს მართავდნენ. აღარაფერს ვამბობ **ჰენრიხ იაგოდას** შესახებ, რომელიც საბჭოთა უშიშროებას ხელმძღვანელობდა და **ნიკოლაი ეჟოვთან** ერთად ჰომოსექსუალიც იყო და უცხოეთის აგენტიც.

ეს ხალხი რომ ერთმანეთში შეთანხმებულიყო, სტალინს ვერავინ და ვერაფერი გადაარჩენდა, მაგრამ 1934 წლის 1 დეკემბერს **სერგეი კიროვის** ყოფით ნიადაგზე მომხდარმა მკვლელობამ, როცა ის, ფაქტობრივად, საყვარელთან სექსუალური აქტის დროს გამოასალმეს სიცოცხლეს, ყველაფერი თავდაყირა დააყენა. სტალინმა იცოდა, რომ კიროვი საყვარლის ქმარმა მოკლა. ბოლოს და ბოლოს, ერთ-ერთი ვერსიით, სერგეი კიროვს შარვალზე სპერმის კვალიც კი ჰქონდა! ანუ ლენინგრადის მერი საყვარელთან სექსუალურ სურვილებს, ფაქტობრივად, კაბინეტში იკმაყოფილებდა. ამის გამხელა დიდი სირცხვილი იყო. ამიტომ, როგორც ერთხელ უკვე ვთქვით, სტალინმა, რომელმაც ჯერ კიდევ არაფერი იცოდა შეთქმულების შესახებ, ააგორა კამპანია, თითქოს კიროვი რევოლუციის მტრებმა და კონტრრევოლუციურმა ძალებმა მოკლეს.

— საინტერესოა, რა ეწერა იმ წერილში, რომელიც 1935 წლის იანვარში ცოლისძმამ ალექსანდრე სვანიძემ სტალინს გაუგზავნა?

— **ალექსანდრე სვანიძეს** ევროპაში ჰქონდა განათლება მიღებული და ფაშისტურ გერმანიაში საბჭოთა კავშირის სავაჭრო-ეკონომიკურ წარმომადგენლად მუშაობდა. როგორც ვთქვით, წერილი ქართულ ენაზე იყო დაწერილი და იწყებოდა ასე — **„მაპატიე, ძმაო სოსო!“** წერილში **ალექსანდრე სვანიძე** წერდა, რომ კონსტიტუციურმა ცვლილებებმა, „ნეპის“ გაუქმებამ და ინდუსტრიალიზაციის სიმძიმემ სტალინს ძველი მეგობრები აუმხედრა. წერილში **ალექსანდრე სვანიძემ** სტალინს შეთქმულები დაუსახელა — **აბელ ენუქიძე, სერგო ორჯონიკიძე და თავისი თავი!** ანუ ალექსანდრე სვანიძემ მთელი შეთქმულება „ჩაუშვა“. სტალინმა ისეთი დამაჯერებლობით დაიწყო იმის მტკიცება, რომ კიროვი რევოლუციის მტრებმა მოკლეს, ალექსანდრე სვანიძემ იფიქრა, ალბათ, ბელადმა ყველაფერი იცისო და თავის გადასარჩენად სტალინს აღსარებითი წერილი გაუგზავნა, შენდობა სთხოვა.

— მოკლედ, შეიძლება ითქვას, რომ სერგეი კიროვის მკვლელობამ სტალინი გადაარჩინა?

— დიახ, კიროვის მკვლელობა იყო ბედისწერა, რომელმაც სტალინი გადაარჩინა! ცოლისძმის მიერ გამოგზავნილი აღსარებითი წერილის შემდეგ სტალინი მოქმედებს როგორც ვირტუოზი პოლიტიკოსი და ინტრიგების დიდოსტატი. ბელადმა **აბელ ენუქიძე** კი არ დაიჭირა, არამედ — პირიქით, დააწინაურა და საბჭოთა კავშირის „ცაკ“-ის ერთ-ერთ თავმჯდომარედ დანიშნა, რითიც კრემლის დაცვას ჩამოაშორა. ენუქიძე კისლოვოდსკში წავიდა შვებულებაში, სადაც გაირკვა, რომ ბრძანება მისი ახალ თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ შეიცვალა და ის საბჭოთა კავშირის „ცაკ“-ის თავმჯდომარედ კი არა, ამიერკავკასიის „ცაკ“-ის თანათავმჯდომარედ დაინიშნა. პარალელურად, 1935 წლის 22 სექტემბერს სტალინი აწერს „საბჭოთა კავშირის მარშლის“ სამხედრო წოდებას. იმავე წელსვე ამ წოდებას ანიჭებენ ხუთ კაცს — **კლიმენტი ვოროშილოვს, სიმონ ბუდიონის, ალექსანდრე ეგოროვს, მიხაილ ტუხაჩევსკისა და ვასილ ბლიუხერს.** ამ ხუთი კაციდან ტუხაჩევსკი და ეგოროვი შექმულების მონაწილენი არიან. ამით სტალინი შეთქმულების მონაწილეთა ყურადღებას ადუნებს და ყველა მათ მომხრეს აწინაურებს ან ჩინ-მედლებით აჯილდოებს. მოკლედ, 1935 წელს სტალინი არის ულტრალიბერალი, კეთილი ბაბუა. 1935 წლის ბოლოს და 1936 წლის დასაწყისში ყველა ქალაქში დადგეს საახალწლო ნაძვის ხე, გამოჩნდნენ თოვლის პაპა და ფიფქიები. სტალინმა არმიაში აღადგინა მეფის დროინდელი სამხრეები, წოდებები, წარჩინებულ პირებს დაუნიშნა პერსონალური ავტომობილები, მისცა აგარაკები და 1935 წელს კონსტიტუციის პროექტზე მუშაობა საერთოდ შეწყვიტა. მოკლედ, ყველას ყველაფერი დააყარა. ბელადის მტრები და დამხობის მოსურნენი შოკში ჩავარდნენ. შეთქმულთა შორის უკვე დიდი დეზორიენტაცია და გაურკვევლობა დაიწყო... ბევრი კითხულობდა — იქნებ არც ღირს შეთქმულებაზე ფიქრი? მოკლედ, სტალინმა, როგორც უდიდესმა ფსიქოლოგმა და „პიარშიკმა“ ზუსტად გამოიცნო, რომ შეთქმულები მის წინააღმდეგ პირადი კეთილდღეობის დაკარგვის შიშმა გააერთიანა და ამის საპასუხოდ ადეკვატურ ზომებსაც მიმართა. როგორც კი 1935 წელი ჩაამთავრა, 1936 წელს სტალინმა დააპატიმრა **გერშონ ზინოვიევი და ლევ კამენევი.** მათ აღიარეს, რომ არიან შეთქმულების წევრები, თან ეს ყველაფერი ხდება უცხოელი ჟურნალისტების თვალწინ.

იოსებ სტალინი

სტალინი და ვოროშილოვი



იოსებ სტალინი და ეკატერინე სვანიძე

— ეს პროცესები დადგმული იყო?

— ფაქტია, რომ **კამენევი და ზინოვიევი,** რომლებიც მაშინ უკვე აბსოლუტურად არაფერს წარმოადგენდნენ, პროცესებზე გამოდიოდნენ და ლაპარაკობდნენ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაემხოთ სტალინი! მთელი დასავლეთი შოკში იყო. ერთ-ერთმა ამერიკელმა ჟურნალისტმა, რომელიც კამენევისა და ზინოვიევის სასამართლო პროცესებს აშუქებდა, ამ შრომა-საქმიანობისთვის პულიცერის პრემიაც კი მიიღო. 1936 წლის 26 სექტემბერს სტალინმა იერიში მიიტანა საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა მი-

„სტალინისა და ეკატერინე სვანიძის ქორწილი რაჭაში, სოფელ ბაჯში, სწორედ ჩვენს ოჯახში გადაიხადეს. თამადა ცნობილი პოეტის ოთარ ჭელიძის მამა იყო!“

„1936–1938 წლებში საქართველოში სულ დაახპატიმრეს 13 ათას 500 კაცი და აქედან დახვრიტეს დაახლოებით 3 ათასი. მათ შორის იყვნენ ჩვეულებრივი კრიმინალებიც!“

ნისტრ **ჰენრიხ იაგოდაზე,** რომელიც თანამდებობიდან გადააყენეს და კავშირგაბმულობის მინისტრად დანიშნეს. იაგოდას ნაცვლად „ენკავედეს“ ხელმძღვანელი გახდა **ნიკოლაი ეჟოვი** — კაცი, რომელსაც მანამდე „ჩეკასთან“ შეხება საერთოდ არ ჰქონია. პარალელურად, 1936 წლის 22 მაისს იქერენ მარშალ **მიხაილ ტუხაჩევსკის,** რომელიც ერთ-ერთი მთავარი შეთქმულია. მიზანში ასევე ამოღებული არიან **აბელ ენუქიძე და სერგო ორჯონიკიძეც.** 1937 წლის 11 თებერვალს **სერგო ორჯონიკიძე** თავს იკლავს, ხოლო მანამდე ერთი კვირით ადრე ხარკოვში აპატიმრებენ **აბელ ენუქიძეს.**

— ნუთუ არ შეიძლებოდა, აქ შემწყდარიყო რეპრესიები, ამდენი მსხვერპლი რა საჭირო იყო?

— საქმე ის გახლავთ, რომ შეთქმულებს საბჭოთა კავშირის პარტიულ და სამხედრო-პოლიტიკურ ელიტაში ბევრი თანამოაზრე ეგულებოდათ. მაგალითად, მარშალ **მიხაილ ტუხაჩევსკის** არმიაში მრავალი ათასი ფანატიკური მომხრე ჰყავდა, მიუხედავად იმისა, რომ ამ უნიჭო სარდალს არცერთი ბრძოლა არ მოუგია და ერთადერთი, რაც წარმატებით გააკეთა, გახლდათ ტამბოვის გუბერნიაში აჯანყებული გლეხობის გადაბუგვა და მიწასთან გასწორება. ყველაზე საინტერესო ის გახლავთ, რომ პროცესმა, რასაც დღეს „1937 წლის რეპრესიებს“ უწოდებენ, 1937 წლის ზაფხულიდან თავისთავად დაიწყო აგორება და სახელმწიფო მანქანაც ამოქმედდა. მაგალითად, იყო ასეთი პიროვნება — **ჰენრიხ ეიხე** — ციმბირის საოლქო კომიტეტის მდივანი, რომელმაც წამოაყენა წინადადება, რომ პარტიაში ჩატარებულიყო წმენდა! ეიხეს მხარი დაუჭირა **ნიკოლაი ეჟოვმაც.** სულელური განცხადებები იმის შესახებ, რომ თითქოს სტალინურ რეპრესიებს 20 მილიონი ადამიანი ემსხვერპლა, ცხადია, დასაჯერებელი არ არის, მაგრამ ფაქტია, რომ უახლოესი ადამიანები ერთმანეთს აბეზღებდნენ და სამარეს უთხრიდნენ.

— მაინც რამდენი ადამიანი დააპატიმრეს 1937 წელს?

— მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით 1937 წელს დააპატიმრეს 1 მილიონამდე ადამიანი, რომელთაგანაც, სულ მცირე, 300 ათასი **ლავრენტი ბერიამ** 1939 წელს გაათავისუფლა, როცა მოსკოვში გადავიდა. დაპატიმრება ხდებოდა სიებით. **ჰენრიხ ეიხემ** წამოაყენა ასეთი წინადადება — ჩვენს საკურატორო ოლქებში ჩვენ შევადგენთ იმათ სიებს, ვინც ჩვენი მტერიაო! ოლქის მდივნები მართლაც ადგენდნენ ასეთ სიებს, რომლებსაც მერე იხილავდა საბჭოთა კავშირის პოლიტბიურო. ვისაც იმ სიიდან ამოშლიდნენ, ის გადარჩენილი იყო, ხოლო დანარჩენები ექვემდებარებოდნენ რეპრესიებს.

ყველაზე საინტერესო ის გახლავთ, რომ სტალინმა საჩვენებელი პროცესებითა და ლოკალური სასამართლოებით მიჩქმალა ის ფაქტი, რომ ეს ადამიანები მისი მტრები იყვნენ. სტალინმა პროცესი ისე განაზოგადა, თითქოს დაპატიმრებულები ებრძოდნენ არა პირადად მას, არამედ სახელმწიფოს. მაგალითად, ჩემი დიდი ბაბუა **ბალაჭტიონ მასხარაშვილი,** რომელიც 1937 წელს 58-ე მუხლის პირველი „ა“ პუნქტით გაასამართლეს, როგორც ოჯახიდან ვიცი, რაჭაში ჩამოსულ **აბელ ენუქიძეს** მართლაც ხვდებოდა. ისინი სტალინის დამხობაზე ლაპარაკობდნენ. ამ საუბრებს ბაბუაჩემიც არის შესწრებული, რომელიც მაშინ ბავშვი იყო.

ჩემს დიდ ბაბუასთან ერთად დახვრიტეს გოგლა ლეონიძის ძმა **ლევან ლეონიძე,** რომელიც გერმანიაში **ალექსანდრე სვანიძის** მოადგილე იყო. ასევე დახვრიტეს **სულხან ცინცაძის** მამა, დახვრიტეს პროფესორი **ილია ჯანდიერი,** დახვრიტეს ცნობილი კალათბურთელის ოთარ ქორქიას მამა **მიხეილ ქორქია,** დახვრიტეს **სანდრო ახმეტელის** ძმა და ბიძა **კაშვილები** — დათა, სიმონი და სტეფანე. დათა და სიმონი ტარტუს უნივერსიტეტში ჩემი დიდი პაპის თანაკურსელები, ვეტერინარები იყვნენ. მათ ჯერ სამედიცინო ფაკულტეტი დაამთავრეს, ხოლო შემდეგ ვეტერინარები გახდნენ.

პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, გრიგოლ რობაქიძე

სანდრო ახმეტელი

„სანდრო ახმეტელი თავისმა ხასიათმა დაღუპა, ხოლო პაოლო იაშვილი და ტიციანი გრიგოლ რობაქიძის უცხოეთში დარჩენას გადაჰყვნენ!“

ამავე ჯგუფში იყო ცნობილი ფეხბურთელის **ბივი ჩოხელის ბიძაც,** რომელიც გადასახლებაში დაიღუპა. დახვრიტეს **ბიორგი ელიავაც** — ბაქტერიოფაგის დამაარსებელი. ფაქტობრივად, ეს იყო ერთი ჯგუფი — ბაქტერიოლოგები, ვეტერინარები, მიკრობიოლოგები და ეპიდემიოლოგები. ჩემი დიდი ბაბუა **ბალაჭტიონ მასხარაშვილი** სიმონ ახმეტელის მეჯვარე და შვილის ნათლია იყო. მანვე მონათლა **სულხან ცინცაძე, ოთარ ქორქია** და აკადემიკოსი **ბიორგი ჰოლოშვილი,** რომლის მამაც იყო **სევერიან ჰოლოშვილი** — აკაკი წერეთლის მკურნალი ექიმი. ეს ადამიანები ახალგაზრდობიდან იცნობდნენ ერთმანეთს, მათ ჰქონდათ კარგი სტუდენტობა, მეფის დროს ცხოვრობდნენ კარგად, ბავშვობიდან პირადი კავშირები და ნაცნობობა ჰქონდათ **სტალინთან, მამია ორახელაშვილთან, აბელ ენუქიძესთან** და სხვა ბოლშევიკ ლიდერებთან; ასევე კავშირები ჰქონდათ საზღვარგარეთ და რაც ყველაზე მთავარია, ესენი იყვნენ პატრიოტები და ნაციონალისტები, რომლებიც სტალინში ხედავდნენ პატარა საქართველოს მტერს!

ევგენი მიქელაძე

„ევგენი მიქელაძე სანდრო ახმეტელის მეგობარი და მამია ორახელაშვილის სიძე იყო და სწორედ ამას შეეწირა!“

— რატომ?

— მათ სძულდათ სტალინი, რადგან ბელადში ხედავდნენ ამოუწურავი რესურსების მქონე ადამიანს, ზეკაცს, რომელიც აძლიერებდა საბჭოთა კავშირს. ამ პატრიოტებისთვის უკეთესი იქნებოდა, თუ საბჭოთა კავშირი დასუსტდებოდა, რადგან ამ შემთხვევაში საქართველოს დამოუკიდებლობის შანსი გაიზრდებოდა. აქედან გამომდინარე, სტალინი მათთვის იყო ბუნებრივი მტერი და სწორედ ამიტომ იბრძოდნენ მის დასამხობად. ცნობილი ფაქტია, რომ ჩემმა დიდმა ბაბუამ **ბალაჭტიონ მასხარაშვილმა** კიროვის მკვლელობის ამბავი რომ გაიგო, ქუთაისში რესტორანი დაქეტა, უზარმაზარი სუფრა გაშალა და გაიძახოდა: **ეს — ერთი და სხვა — მრავალიო!**

— ანუ რეპრესიებისთვის რაღაც მიზეზი ყოფილა!

— აი, სწორედ მაგას ვამბობ. სტალინის წინააღმდეგ შეთქმულების ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი **აბელ ენუქიძე** ამათ ყველას იცნობდა. ბაბუაჩემის მამასთან მას ძალიან ახლო ურთიერთობა ჰქონდა და რაჭაში რომ ამოვიდოდა, ჩვენთან სახლშიც მოდიოდა. სტალინისა და ეკატერინე სვანიძის ქორწილი რაჭაში, სოფელ ბაჯში, სწორედ ჩვენს ოჯახში გადაიხადეს. თამადა ცნობილი პოეტის **ოთარ ჭელიძის** მამა იყო. ბაჯში ორი აზნაურული წარმოშობის გვარია — მასხარაშვილები და სვანიძეები და საუკუნეებია, ამ გვარებს შორის ქორწინება არ ხდება, რადგან ყველა სვანიძის ნათლია მასხარაშვილია. სხვათაშორის, სტალინს არსენას როლი ათამაშეს იმ წარმოდგენაში, რომელიც მაშინ ჩემი დიდი ბაბუის სახლში დადგეს.

— საქართველოში რამდენი კაცი შეეწირა ე.წ. სტალინურ რეპრესიებს?

— 1936-1938 წლებში საქართველოში სულ დააპატიმრეს 13 ათას 500 კაცი და აქედან დახვრიტეს 3 ათასი. მათ შორის იყვნენ ჩვეულებრივი კრიმინალებიც. უშუალოდ 1937 წელს უზენასემა სასამართლომ ჩაატარა სამი საჩვენებელი პროცესი, რომელთაგან ბოლო ჩემი დიდი პაპისა იყო. სამივე ამ პროცესზე დაახლოებით 30 კაცი გაასამართლეს და მინიმუმ 5 კაცი არ დახვრიტეს. 1956 წლიდან მოყოლებული, როცა ხრუშჩოვმა სტალინისა და ბერიას განქიქება დაიწყო და ორივე ქართველი ჯალათებად გამოაცხადა, ხრუშჩოვის ადმინისტრაციამ ყველა სიბინძურესთან ერთად ისიც თქვა, თითქოს ყველა სასამართლო პროცესი ფალსიფიცირებული იყო! ეს ბევრმა ვერ გააპროტესტა და აი, რატომ: 1937 წელს ჩატარებულ საჩვენებელ პროცესზე გასამართლებულებს ბრალი ედებოდათ კონკრეტულ მავნებლობებში. მაგალითად, ეპიდემიების ხელოვნურად გავრცელებაში, სახალხო მეურნეობის ხელოვნურად დანგრევაში, საბოტაჟსა და ა.შ. სასამართლო მასალებში ამ მავნებლობებზე საუბარს მართლაც ბევრი ადგილი უჭირავს და ძალიან ცოტაა ლაპარაკი ბრალდებულთა პოლიტიკურ მსოფლმხედველობასა და მოტივებზე. სტალინმა ეს გააკეთა განზე — **პირადი მტრები მან ბაასაღა მავნებლებად და ხალხის მტრებად და არა პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებად ან პატრიოტებად!** ამით მან განსასჯელებს პოლიტიკური წამებულების მანტიის მორგების საშუალება მოუსპო. წმინდა „პიარის“ თვალსაზრისით, სტალინის ეს ნაბიჯი სწორი იყო. ამიტომაც 1936-1938 წლების რეპრესიებს როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთ ნეგატიური რეაქცია არ მოჰყოლია! უფრო მეტიც, სტალინს მაშინ თითქმის ყველა ამართლებდა.

— მიხეილ ჯავახიშვილს რას ერჩოდნენ?

— ჯავახიშვილი „ჯაყოს ხიზნებს“ გადაჰყვა! სტალინს ეს რომანი ძალიან მოსწონდა, მაგრამ 30-ანი წლების დასაწყისიდან სწორედ იმ წრემ, რომელშიც ჩემი დიდი ბაბუაც მოიაზრებოდა, სტალინს შეარქვა **„ჯაყო“.** ეს ხალხი სტალინის ამ ახალი „სახელის“ პოპულარიზაციას დიდი მონდომებით ეწეოდა. სწორედ ამის გამო „ჯაყოს ხიზნების“ აკრძალვა გარდაუვალი გახდა. ეს კი მიხეილ ჯავახიშვილის დაპატიმრების გარეშე ვერ მოხდებოდა.

— ევგენი მიქელაძე რას შეეწირა?

— ევგენი მიქელაძე სანდრო ახმეტელის მეგობარი და მამია ორახელაშვილის სიძე იყო და სწორედ ამას შეეწირა!

— სანდრო ახმეტელი რამ დაღუპა?

— სანდრო ახმეტელი ოჯახით იყო შეთქმულთა წრის წევრი და ყველაფერი იცოდა. თავის ნეგატიურ დამოკიდებულებას ბერიასა და, ზოგადად, კომუნისტური ხელმძღვანელობის მიმართ ის არასოდეს მალავდა. ყველაზე მთავარი — **სანდრო ახმეტელი** თავისმა ხასიათმა დაღუპა, ხოლო **პაოლო იაშვილი და ტიციანი გრიგოლ რობაქიძის** უცხოეთში დარჩენას გადაჰყვნენ, რადგან გერმანიაში წასულ რობაქიძეს თავდებად დაუდგნენ.



მიხეილ ჯავახიშვილი

„ჯავახიშვილი „ჯაყოს ხიზნებს“ გადაჰყვა!“

ესაუბრა
დიტო ჩუბინიძე
გაგრძელება იქნება

2019 წელს შვეიცარიის სარეიტინგო ასოციაციამ სპეციალური პრიზით დააჯილდოვა სამკურნალო წამლები: „გულის ელექსირი" და „იმუნო-ჰერბი". *ამ პრეპარატების გამოყენებამ შესანიშნავი შედეგები აჩვენა* ***„კოვიდ-19"-ის წინააღმდეგაც.*** *მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს:* ***საქართველოს ეკოლოგიის აკადემიის წევრი, ექიმი კახა საბახტარიშვილი:***

კახა საბახტარიშვილი:
ბავშვებისათვის „კოვიდ-19"-ის აცილება თავისუფლადაა შესაძლებელი!

ვარ 38 წლის. „კოვიდ-19" გადავიტანე მაისის თვეში მსუბუქი ფორმით. გულს არასოდეს ვუჩიოდი, მაგრამ კოვიდის გადატანიდან 3 თვის შემდეგ დამეწყო ქვედა კიდურების მსუბუქი შეშუპება, გულის არეში პერიოდულად ჩხვლეტები, ქოშინი ფიზიკური დატვირთვისას. მაქვს დაღლილობის შეგრძნება. რას მირჩევდით?
თბილისი. ***თ.ი. 38 წლის***

— ადრე მიაჩნდათ, რომ **„კოვიდ-19"**-ის გამომწვევი კორონავირუსი მხოლოდ ფილტვის ქსოვილს აზიანებდა. ახლა უკვე ზუსტად დადგენილია, რომ კორონავირუსი ადამიანის ორგანიზმის პრაქტიკულად ყველა ორგანოს აზიანებს და ეს ყველაზე მეტად **გულსა და სისხლძარღვებს** ეხება. უფრო მეტიც, **ვაშინგტონის უნივერსიტეტის კვლევებით,** იმ ადამიანების 40 პროცენტს, რომლებსაც ადრე გული საერთოდ არ აწუხებდათ, „კოვიდ-19"-ის მსუბუქი ფორმით გადატანის შემთხვევაშიც კი **გულზე სერიოზული გართულებები** აღმოაჩნდათ და ეს პრობლემები კოვიდის გადატანიდან რამდენიმე კვირის ან თვის შემდეგ იჩენს თავს. დადგინდა: „კოვიდ-19"-ის გამომწვევი ვირუსი ადვილად აღწევს გულის უჯრედებში და ხშირად იწვევს გულის კუნთის ანთებას, ანუ **მიოკარდიტს.** თქვენს შემთხვევაში სწორედ მიოკარდიტის მსუბუქი ფორმით გამოვლინებასთან გვაქვს საქმე. თუ ამას ყურადღებას არ მივაქცევთ, შესაძლოა, **არითმია და ექსტრასისტოლიაც** განვითარდეს. ეს კი ზრდის **ინსულტის ან ინფარქტის** განვითარების რისკს ახალგაზრდა, პრაქტიკულად, ჯანმრთელ ადამიანებშიც კი!

2012 წელს საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრომ დაამტკიცა ნატურალური, ბუნებრივი კომპონენტებისაგან შემდგარი სამკურნალო წამალი **„გულის ელექსირი",** რომელიც: **1. ხსნის სპაზმებს; 2. აფართოებს გულის მკვებავ სისხლძარღვებს და ზრდის გულის კუნთში ჟანგბადის მიწოდებას; 3. აქვთ ანტიარითმიული მოქმედება; 4. არის წნევის მარეგულირებელი** (ე.ი. არა აქვს შეზღუდვა — შეიძლება გამოყენება, როგორც დაბალი, ასევე მაღალი წნევის დროსაც); **5. ხელს უშლის თრომბების წარმოქმნას; 6. არ გააჩნია მიჩვევის ეფექტი, გვერდითი მოქმედება** და შეიძლება გამოყენება ნებისმიერ ქიმიურ მედიკამენტთან კომბინაციაში.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ **„გულის ელექსირის"** შემადგენლობაში შედის ისეთი ბუნებრივი კომპონენტები, რომლებსაც გააჩნიათ ნერვულ სისტემაზე **დამამშვიდებელი** მოქმედება. ეს კი აუცილებელია ყველა ადამიანისათვის, რომელმაც „კოვიდ-19" გადაიტანა. აქედან გამომდინარე თქვენთვის აუცილებელია **„გულის ელექსირის" მიღება: 5-7 წვეთი დღეში 3-4-ჯერ.**

საერთოდ მოულოდნელი **ინფარქტის, ინსულტის** თავიდან ასაცილებლად **„გულის ელექსირი"** სასურველია, მიიღოს ყველა იმ ადამიანმა, რომელმაც კორონავირუსი გადაიტანა. დღეში თუნდაც 2-3-ჯერ. **სტენოკარდიული შეტევის** დროს, როდესაც ინფარქტის განვითარების საფრთხე დიდი იყო, არაერთი შემთხვევა დაფიქსირდა, როდესაც ყოველ 5 წუთში მიღებულმა **„გულის ელექსირმა"** ადამიანის **სიცოცხლე გადაარჩინა.**

მხედველობას არასოდეს ვუჩიოდი, მაგრამ მას შემდეგ, რაც ერთი წლის წინათ კორონავირუსი შემხვდა, აშკარად გამიუარესდა. რითი ახსნით ამ ფაქტს?
ბათუმი. ***ზ.მ. 50 წლის***

— კორონავირუსი იწვევს **მიკროთრომბოზებს,** რომელიც თავისუფლად შეიძლება განვითარდეს ნებისმიერი ორგანოს მკვებავ სისხლძარღვებში გულის, თირკმლების, თავის ტვინის, კიდურების და ა.შ. მათ შორის, თვალის მკვებავ სისხლძარღვებში, რაც სისხლძარღვთა ანთებას, ანუ **ვასკულიტს** იწვევს. ვასკულიტი კი სერიოზული დაავადებაა, რაც მხედველობის გაუარესებას იწვევს. თქვენს შემთხვევაში შეიძლება ამ მოვლენას ჰქონდეს ადგილი.

„კოვიდ-19"-საგან გამოწვეული მიკროთრომბოზების გასაწოვად და თავიდან ასაცილებლად ჰომეოპათიურ მედიცინაში თითქმის 300 წელიწადია, წარმატებით გამოიყენება ჰომეოპათიური წესით მომზადებული მცენარე **„არნიკა მონტანა".** ეს კომპონენტი მიკროთრომბოზების გარდა გამოიყენება **ტრავმების, სისხლჩაქცევების, საერთო სისუსტის, დაღლილობის, გადატვირთვის შედეგად გულის გადაძაბვის და გულისცემის აჩქარების დროსაც. „არნიკა მონტანა" „გულის ელექსირის"** ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი კომპონენტია. სწორედ მისი დამსახურებაა ის, რომ **„გულის ელექსირის"** ის მომხმარებლები, რომლებიც ადვილად დაღლას უჩივიან, **„გულის ელექსირის"** მიღების შემდეგ უფრო მხნედ გრძნობენ თავს. უმცირდებათ ან საერთოდ ეხსნებათ **ქოშინი, გულისცემის აჩქარება** და ა.შ.

ოჯახის ყველა წევრი იმუნიტეტის გასაძლიერებლად და „კოვიდ-19"-ის ასაცილებლად 2 წელზე მეტია, ვღებულობთ „იმუნო ჰერბს". ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ჩემს შვილს შეხვდა კორონავირუსი და ძალზე მსუბუქად გადაიტანა. შეიძლება თუ არა „იმუნო ჰერბის" მიღება დავაწყებინო ჩემს შვილიშვილებს, რომლებიც 3, 5 და 11 წლის არიან?
ქუთაისი. ***ქ.შ. 67 წლის***

— საქართველოში ამჟამად გავრცელებულია კორონავირუსის **„დელტა"** შტამი. **სახიფათოა ბავშვებისთვის,** განსაკუთრებით მათთვის, რომელთა ასაკი 10 წლამდეა. საქმე იმაშია, რომ ბავშვის იმუნური სისტემა 10 წლამდე არ არის სრულყოფილი და ჩამოყალიბებული. 7-8 წლის ასაკამდე ბავშვის იმუნური სისტემის 80-90 პროცენტი მოდის ნუშურა ჯირკვლებზე, ანუ ე.წ. **„გლანდებზე".** ეს „გლანდები" კი ხშირად **გაწითლებულია, ჩირქდება** და ა.შ. საქართველოში ქრონიკული ტონზილიტის შემთხვევაში ხშირად მიმართავენ „გლანდების" ამოჭრას — **ტონზილექტომიას, რაც დაუშვებლად მიმაჩნია.** ამით ბავშვებს, პრაქტიკულად, დაუცველს ვტოვებთ მათი იმუნიტეტის მთავარი ორგანოს ნუშურა ჯირკვლების გარეშე. გამომდინარე იმ გარემოებიდან, რომ **ა) ბავშვის იმუნური სისტემა არასრულყოფილია; ბ) დიდია იმ ბავშვთა რიცხვი, რომელთაც „გლანდები" ამოჭრილი აქვთ, „დელტა"** შტამით დაავადებული ბავშვების რიცხვი საქართველოში კატასტროფული სიჩქარით იზრდება.

საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრომ დაამტკიცა **„იმუნო ჰერბი",** როგორც მე-3 ჯგუფის **ანტივირუსული და ანტიბაქტერიული, იმუნიტეტის** ამწევი წამალი. მე-3 ჯგუფი იმას ნიშნავს, რომ ის არის **ა) სრულიად უსაფრთხო; ბ) არ გააჩნია გვერდითი მოქმედებები; გ) გაიცემა ურეცეპტოდ** ექიმის დანიშნულების გარეშე. მისი მიღება „კოვიდ-19"-ის და სხვა რესპირატორული ინფექციების: **გრიპი, პარაგრიპი, ადენოვირუსები** და ა.შ. სამკურნალოდ და საპროფილაქტიკოდ შეუძლიათ **ბავშვებს 1 თვის ასაკიდან, ორსულებს და მეძუძურ დედებსაც.**

2009 წელს, როდესაც მსოფლიოში **„ღორის გრიპის"** პანდემია მძვინვარებდა, ვინც **„იმუნო ჰერბს"** ღებულობდა პროფილაქტიკის მიზნით: **ა) „ღორის გრიპი" არ ემართებოდა; ბ) თუკი გრიპი მაინც შეხვდებოდა, დაავადება ვითარდებოდა მსუბუქად, ყოველგვარი გართულებების გარეშე.**

იგივე შედეგი აჩვენა **„იმუნო ჰერბმა"** „კოვიდ-19"-თან მიმართებაში. ძალზე ბევრია შემთხვევა, როდესაც ერთი ოჯახის მხოლოდ **იმ წევრს არ დაემართა „კოვიდ-19",** რომელიც პროფილაქტიკის მიზნით **„იმუნო ჰერბს"** ღებულობდა.

რაც შეეხება ნუშურა ჯირკვლების ანთებას, ანუ **ტონზილიტს,** ჩვენს კლინიკაში შემუშავებულია მისი სამკურნალო კომპლექსი: **„ტონზილ-ჰერბი".** ჩემი თითქმის 25-წლიანი პრაქტიკის განმავლობაში არც კი მახსენდება შემთხვევა, როცა **„იმუნო ჰერბის"** და **„ტონზილ-ჰერბის"** გამოყენებით რომელიმე ბავშვს „გლანდების" ამოჭრა დასჭირვებოდა.

ავიცერი „ფაიზერის" ვაქცინის ორი დოზით. იმუნიტეტის გასაძლიერებლად მინდა „იმუნო ჰერბის" მიღება. რას მირჩევდით?
თბილისი. ***ხ.ს. 35 წლის***

— აცრა **„კოვიდ-19"**-ის წინააღმდეგ იცავს ორგანიზმს „კოვიდ-19"-ისაგან, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ორგანიზმი დაცულია ზამთრის სეზონში მიმდინარე რესპირატორული დაავადებებისაგან — სურდო, გრიპი, პარაგრიპი და ა.შ. **„იმუნო-ჰერბი"** აქტიურებს ორგანიზმის **ბუნებრივ იმუნიტეტს** T-ლიმფოციტების აქტივაციის მეშვეობით. **ჩემი რჩევაა,** მიიღეთ **„იმუნო ჰერბი"** პროფილაქტიკის მიზნით **დღეში 2-3-ჯერ 4-5 წვეთი ერთ მიღებაზე.** ეს, ერთი მხრივ, თითქმის 100 პროცენტამდე გაზრდის „კოვიდ-19"-ის მიმართ აცრის ეფექტიანობას და, მეორე მხრივ, თქვენ საიმედოდ იქნებით დაცული **სურდოს, გრიპის, პარაგრიპის** და სხვ რესპირატიული ინფექციებისაგან.

დამიდგინდა „კოვიდ-19". შეიძლება თუ არა მივიღო „იმუნო ჰერბი" და რამდენჯერ დღეში?
გორი. ***ა.ვ. 74 წლის***

— როცა კორონავირუსი ხვდება ორგანიზმში, ის ჯერ იბუდებს ყელის არეში, შემდეგ ხვდება ფილტვებში. **„იმუნო ჰერბში"** შემავალი პირველი კომპონენტია **აკონიტი** (Aconitum), რომელიც ხელს უშლის ვირუსის გადასვლას ფილტვებში. თუკი ვირუსმა ეს ბარიერი გადალახა და მოხვდა ფილტვებში, მოქმედებას იწყებს „იმუნო ჰერბში" შემავალი მეორე კომპონენტი **ბრიონია** (Brionia), რომელიც ხელს უშლის ფილტვებში ანთების განვითარებას. თუ ვირუსმა ეს ბარიერიც გადალახა და ფილტვში ანთებითი პროცესები დაიწყო, საქმეში ერთვება მესამე კომპონენტი **ბელადონა** (Belladonna), რომელიც განაპირობებს, რომ ფილტვში ანთებითმა პროცესმა ყოველგვარი გართულების გარეშე ჩაიაროს. „იმუნო ჰერბში" შედის სხვა კომპონენტებიც, რომლებიც ზრდიან ორგანიზმის წინააღმდეგობას ვირუსული ინფექციების მიმართ. ჩემი რჩევაა, მიიღოთ **„იმუნო ჰერბი"** დღეში 4-5-ჯერ. „იმუნო ჰერბში" შემავალი კომპონენტები მიეკუთვნებიან **იმუნომოდულატორების** ჯგუფს.

აღსანიშნავია ისიც, „იმუნო ჰერბის" რეცეპტურაში გამოყენებულია ის კომპონენტებიც, რომლებმაც ყველაზე საშიში პანდემიის **„ისპანკის"** დროს (სიკვდილიანობა აღწევდა 40 პროცენტს) სიკვდილიანობა **1 პროცენტამდე** შეამცირა.

სად არის შესაძლებელი „იმუნო ჰერბის" და „გულის ელექსირის" შეძენა?

— ამ პრეპარატების შეძენა შესაძლებელია ყველა სააფთიაქო ქსელში. ახლახან ამ სიას დაემატა **„იმპექსის"** სააფთიაქო ქსელი.

მეტი ინფორმაცია არის ფეისბუქზე:
„კახა საბახტარიშვილის ჯანმრთელობის ცენტრი",
ბახტრიონის ქ. 10 ა. ტელ.: 593-31-70-34

კვირგვინოსნები

ლევან რატიანი
ექიმი, პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის ხელმძღვანელი



ბევრი პაციენტი სკამზე ზის მიმღებ განყოფილებაში იმიტომ, რომ ადგილი არ არის. ბოლო რამდენიმე კვირაა, საერთოდ ადგილი არ არის კლინიკაში. ხანდახან გული მისკდება ხოლმე, როცა სკამზე ჩამომსხდარ პაციენტებს ვხედავ, რომლებიც, სამწუხაროდ, ძალიან ცუდ მდგომარეობაში არიან, უჭირთ სუნთქვა. რამ გამოიწვია ეს? — გამოიწვია ჩვენმა დაუდევრობამ, ერთმანეთის გაუფრთხილებლობამ.
„ტვ იმედი"

ბიძინა კულუმბეგაშვილი
ინფექციონისტ-იმუნოლოგი



ერთი თვის წინათ დავწერე, თუ ვაქცინაცია არ გავააქტიურეთ, წლის ბოლომდე 2000-ზე მეტი ჩვენი მოქალაქე დაიღუპება-მეთქი. კრიტიკის ქარცეცხლი და წყევლა-კრულვა არ დამაკლეს, კიდევ ნუ სტრესავ ხალხს, საიდან იცი, შე იუდა, წინასწარ რამდენი მოკვდებაო. ერთი თვისთავზე 1400 ადამიანია გარდაცვლილი. ერთი თქვენს თავში ჩამახედა, რა ხდება? აიცერით!
„რეზონანსი"

ზაზა წერეთელი
ნორვეგიის სამეფოს ჯანდაცვის სამინისტროს ყოფილი მრჩეველი

2009 წელს მადრიდში მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ეგიდით ტარდებოდა კონფერენცია, რომელიც პენიტენციურ ჯანდაცვას ეხებოდა. იმ დროს საქართველოში ამ მიმართულებას **სანდრა რულოვსი** კურირებდა. იმდროინდელ გამოსვლაში ქალბატონმა მოყვა, თუ რამდენი კარგი რამ გააკეთა პენიტენციურ სისტემაში ჯანდაცვის გასაუმჯობესებლად და რომ საქართველოს ეს სისტემა ერთ-ერთი საუკეთესო იყო ევროპაში. იმის მერე 12 წელი გავიდა, კიდევ ბევრი რამ გაკეთდა იმ სისტემაში, ჰოდა, მაინტერესებს, **სანდრას** თუ მოსწონდა ეს სისტემა, ახლა რატომ არის ცუდი და გამოუსადეგარი მისი მეუღლისთვის. მითუმეტეს, როდესაც ქალბატონი მაშინ გულზე მჯიღს იცემდა და ამტკიცებდა, რომ პენიტენციური ჯანდაცვის სისტემა თითქმის არ განსხვავდებოდა არაპენიტენციურისგან და რომ ეს მისი და მისი მეუღლის დამსახურება იყო. ჰოდა, არ მინდა, დავიჯერო, რომ მაშინ ცრუობდა.
„ალია"

ივანე ჩხაიძე
იაშვილის კლინიკის სამედიცინო დირექტორი

რაც შეიძლება სწრაფად უნდა შემოვიღოთ **„მწვანე პასპორტები",** ეს არ არის დისკრიმინაცია! აქციებს არ მივესალმები, ყველა ასეთი შეკრება არის რისკი ვირუსის კიდევ ერთი აფეთქებისა.
„კვირის პალიტრა"

დათო ევგენიძე:

გეგა კობახიძეს იმ ქვეყნიდან უნდოდა გაქცევა, სადაც შეყვარებული „კაგებემ“ წაართვა!

„ჩვენ ის თაობა ვიყავით, რომლებიც გოგოებს ვეპრანჭებოდით იმით, რომ ლექსებს ვწერდით, ვუკრავდით, ვხატავდით და არა იმით, ვის უფრო ძვირფასი მანქანა ჰქონდა!“

2021 წლის 18 ნოემბერს 38 წელი სრულდება მე-20 საუკუნის საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე რეზონანსული და ტრაგიკული მოვლენიდან, რომელიც თბილისის აეროპორტიდან თვითმფრინავის გატაცების მცდელობას უკავშირდება. იმ ექვსი მამაკაციდან, ვინც გატაცების საქმეში მონაწილეობდა და ვისაც „თვითმფრინავის ბიჭები“ უწოდეს, ერთ-ერთი იყო ცნობილი რეჟისორის მიხეილ კობახიძისა და მსახიობ ნათელა მაჭავარიანის 22 წლის შვილი, მსახიობი გეგა კობახიძე. 38 წლის შემდეგ გეგა კობახიძესთან უკანასკნელ შეხვედრას მისი უახლოესი მეგობარი, კომპოზიტორი დათო ევგენიძე იხსენებს.

— თვითმფრინავის გატაცებაში გეგა კობახიძის მონაწილეობისა და საბჭოთა საქართველოდან გაქცევის გადაწყვეტილების ერთ-ერთ მიზეზად ასახელებენ მის სურვილს, უცხოეთში გათხოვილი ყოფილი შეყვარებული ენახა!

— ეს ამბავი ჩემი მოყოლილია, ჩემი ნაფიქრი, შეიძლება არასწორი, მაგრამ რის შემსწრეც ვარ, იმას ვამბობ. გეგას ბავშვობაში ძალიან უყვარდა ლამაზი, ქერა და ცისფერთვალება გოგო **თამრიკო ჯაფარიძე.** საერთო მეგობართა წრე გვქონდა, ვიცოდით ამ სიყვარულის შესახებ, მაგრამ გოგონას ძალით ათხოვებდნენ ერთ უცხოელზე, რომელსაც ჯეფრი ერქვა, ამერიკელი იყო (თუ კანადელი, არ მახსოვს). 19 წლის ასაკში გეგა და თამრიკო გაიპარნენ, ჩემს მეგობართან სახლში იყვნენ, როდესაც ღამით „კაგებე“ თავზე დაადგა და თამრიკო ლოგინიდან აიცალეს. გეგამ ძალიან დიდი ტრავმა მიიღო, ჩათვალეთ, რომ ეს იყო მისი პირველი მძაფრი სიყვარული. საოცარი ბუნების ადამიანი გახლდათ, რომ იტყვიან, თამრიკოს თავზე ბუზს არ აფრენინებდა.

— რატომ გადაწყვიტეს გაპარვა?

— ჩვენი თაობის ურთიერთობები დღევანდელ ურთიერთობას არ ჰგავდა, იმ ასაკში ქალიშვილი გოგონასთვის ბიჭთან ერთად გაპარვა იმას ნიშნავდა, რომ შემდეგ იმ გაპარულ გოგოს უკან არავინ აღარ დააბრუნებდა. გეგას და თამრიკოსაც სწორედ ამის იმედი ჰქონდათ, მაგრამ თამრიკო გეგას წაართვეს და ჯეფრის გააყოლეს. ამის შესახებ გეგა აღარ ლაპარაკობდა, მაგრამ დიდი ტკივილით დადიოდა, ქვეცნობიერს ხომ არ სძინავს! ამიტომაც, ვფიქრობ, რომ **ბეგბას იმ ძმეყნიდან უნდოდა წასვლა, სადაც სიყვარული წაართვეს, სადაც შეყვარებულ წყვილს საქმე „კაბებემ“ გადაუწყვიტა.**

— თამრიკო ჯაფარიძე მას შემდეგ არ გინახავთ?

— უცხოეთში ცხოვრობდა, დიდი ხანია, არ მინახავს, არც ის ვიცი, სად არის. უკვე შუა ხნის ასაკში იქნება.

— გეგა კობახიძე სხვებთან ერთად თვითმფრინავის გატაცებას რომ აპირებდა, არ იცოდით?

— რომ მცოდნოდა, ამის უფლებას არ მივცემდი, სახლში ჩავკეტავდი, გასაღებს გადავაგდებდი, არ გავუშვებდი, გადავაფიქრებინებდი. **ბეგბა ტერორისტი არ ყოფილა, სულ სხვა თვისებების ადამიანი იყო, რომანტიკოსი, პოეტი, კარგად ხატავდა. დარწმუნებული ვარ, ვერც ხვდებოდა, რას აკეთებდა.** ჩემი უახლოესი მეგობრის ძმა გახლდათ **ზია ტაბიძე** — ერთ-ერთი იმ ბიჭებიდან, ამ საქმეზე გვილაპარაკია კიდეც და გამოძიებიდანაც ხმა გავრცელდა, რომ ისინი ამ ოპერაციას გეგმავდნენ პატარა თვითმფრინავით, რომელიც ფოთიდან სოხუმში დაფრინავდა, ზუსტად იმდენი მოთავსდებოდნენ, რამდენიც იყვნენ. მეც გადავფრენილვარ ამ პატარა თვითმფრინავით, მგზავრებსა და პილოტს ერთი ფარდა ჰყოფდა. იმ ჯგუფმა შემდეგ ეს პატარა თვითმფრინავი უფრო დიდი, მგზავრებით სავსე თვითმფრინავით შეცვალა, უდანაშაულო ადამიანები საფრთხის ქვეშ აღმოჩნდნენ, ტრაგედია მოხდა.

— სასამართლო პროცესებს ესწრებოდით?

— არა, იმ პერიოდში მოსკოვის კონსერვატორიაში ვსწავლობდი და თბილისში სპეციალურად გეგას ქორწილისთვის ჩამოვედი. 1977 წელს ჩავაბარე კონსერვატორიაში და მას მერე, არდადეგებზეც და არდადეგების შუა პერიოდშიც თბილისში ხშირად ჩამოვდიოდი, საქართველოს გარეშე ვერ ვძლებდი, ჩემი მეგობრები ყოველთვის აეროპორტში მხვდებოდნენ, მათ შორის იყო გეგაც. ის შემოდგომა პირველი ჩამოსვლა იყო, როცა გეგა აეროპორტში არ დამხვდა, რაც ძალიან გამიკვირდა.

— გაიხსენეთ გეგა კობახიძესთან ბოლო შეხვედრა.

— გეგასთან ჩემი ბოლო შეხვედრა მისი და თინა ფეტვიაშვილის ქორწილის ღამეს იყო. **მე, ირაკლი ჩარკვიანი და ლევან აბაშიძე** სუფრიდან ცოტა ადრე გავედით, გეგა გამოგვეკიდა, ასე ადრე რატომ მიდიხართო. არ ვსვამთ და წავალთ-მეთქი. ჩაგვეხუტა. ვინაიდან მაშინ ღამის კლუბები არ იყო, მე და ირაკლიმ გადავწყვიტეთ, ნუცუბიძის ქუჩაზე ჩემს ახალმიღებულ ბინაში მივსულიყავით და ინსტრუმენტებზე დაგვეკრა. იმ სახლში საცხოვრებლად ჯერ არ ვიყავი გადასული, მხოლოდ მუსიკალური ინსტრუმენტები მქონდა შეტანილი. ღამის 2 საათი იქნებოდა, როცა სახლში მივედით, კარებში წერილი დაგვხვდა: ვიყავით გეგა, თინიკო და კომპანია. ირაკლის ვუთხარი, რადგან გეგა აქ იყო, ესე იგი, მოვეხატრეთ, ჩვენი ნახვა უნდოდა-მეთქი. წავედით მასთან, კანდელაკის ქუჩაზე ცხოვრობდა, პირველ სართულზე იყო მისი ბინა, ფანჯარაზე დავუკაკუნეთ. უკვე წვებოდა, მაგრამ ჩაიცვა და ცოლთან — თინიკოსთან ერთად ჩემთან ნუცუბიძეზე წავედით. მთელი ღამე მუსიკას ვუკრავდით, ირაკლი — გიტარაზე, მე — პიანინოზე, გეგა — დასარტყამ ინსტრუმენტზე. დილით დავიშალეთ. 8 საათი იქნებოდა, როცა გეგა სახლში მივიყვანეთ. ჩაგვეხუტა, მერე სიგარეტის — „ქემელის“ კოლოფი მესროლა, „თურქიშ ბრენდ“ ეწერა — თურქული წარმოების თუთუნი. ახლა ვხვდები, ეს რა გზავნილი იყო, ესე იგი, იქ მივდივარო. რა თქმა უნდა, მაშინ ამაზე არ მიფიქრია.

— იმ დღის ამინდი გახსოვთ?

— მანქანიდან როცა გადმოვედით, კარგა ხანს გეგას სახლთან ვიდექით, არ წვიმდა.

— იმ ღამით რა კომპოზიციები დაუკარით?

— არ მახსოვს, თან ვუკრავდით, თან ვღლაბუცობდით, ვერთობოდით.

— მისთვის უჩვეულო საქციელი არ შეგინიშნავთ?

— ისე ჩაგვეხუტა, თითქოს დიდი ხნით გვემშვიდობებოდა, არადა, ბათუმში მიდიოდა და უკან მალე უნდა დაბრუნებულიყო. ასეთი ჩახუტებები ჩვენს ყოველდღიურობაში არ იყო, ამიტომ გვეუცნაურა გეგასგან ეს უჩვეულო საქციელი.

— „ქემელის“ კოლოფი სავსე იყო?

— ახლაც თვალწინ მიდგას ეს კოლოფი, 8 ღერი ეწყო, 4 ღერი ირაკლის მივეცი, 4 მე დავტოვე. მას შემდეგ, რაც გეგა შინ დავტოვეთ, ჩვენც სახლებში წავედით — ირაკლი მაღაზია „ელექტრონიკასთან“ ცხოვრობდა, მე — რუსთაველზე, №44-ში. მე და ირაკლი გეგაზე ცოტა ნაწყენები ვიყავით, ვიეჭვიანეთ, რადგან ჩვენ არ წაგვიყვანა მეჯვარედ და გვერდით ისინი დაისვა, ვინც ჩვენს სამეგობრო წრეში არ იყვნენ. მთელი ამ ჯგუფიდან მხოლოდ **დავით მიქაბერიძეს** ვიცნობდი.

— ვინ იყვნენ გეგას მეჯვარეები?

— იქ იყვნენ **ძმები ივერიელები, გეგას გვერდით სოსო წერეთელი** იჯდა, ხოლო თინას მხარეს — არ ვიცი, ისინი ჩვენი მეგობრები არ ყოფილან, თუმცა, მათი სახელები თბილისში გაგებული მქონდა. მე და გეგა უახლოესი მეგობრები ვიყავით, ის და ჩემი და ლია ერთსა და იმავე წელსა და რიცხვში იყვნენ დაბადებული — 1961 წლის 7 ივლისს. რაღაც პერიოდი ერთ კლასშიც სწავლობდნენ, წელს 60 წელი შეუსრულდებოდათ. ჩემი დის გარდაცვალების მერე გეგა ჩემთან იხდიდა ხოლმე დაბადების დღეს. არასოდეს დამავიწყდება მისი ხმა, მისი მონაწილეობით ტელევიზორში ერთ კადრსაც რომ თვალი მოვკრა, რაც უნდა მეჩქარებოდეს, ვჯდები და ვუყურებ. სახსოვრად დამრჩა ფოტოები, მოგონებები სალონურ კონცერტებზე, რომელსაც ხან ირაკლისთან ვატარებდით პეკინზე, ხან ჩემთან — ნუცუბიძეზე, ხანაც — გეგასთან კანდელაკზე. უფრო დიდ ფართობში — **კოკა იგნატოვის** სახელოსნოში **ძეთუსია იგნატოვასთან, ძეთი მესხიშვილთან, ნინა ჯაფარიძესთან.** ჩვენ ის თაობა ვიყავით, რომლებიც გოგოებს ვეპრანჭებოდით იმით, რომ ლექსებს ვწერდით, ვუკრავდით, ვხატავდით და არა იმით, ვის უფრო ძვირფასი მანქანა ჰქონდა!

— როდის გაიგეთ გეგა კობახიძის დახვრეტის ამბავი?

— გვიან, რამდენიმე წლის მერე. მოსკოვში **ზია ჩუბინიშვილთან** სახლში ვიყავით, ჟურნალისტი **დათუნა მაჭავარიანი** შემოვიდა და თქვა, გეგა დახვრიტესო. ეს იყო საშინელება, მოუშუშებელი ტკივილი. მანამდე ამბობდნენ, ციმბირში არიანო და რამდენიმე წელი მათთვის თბილ ტანსაცმელს ვაგროვებდით. **მეზობრის ბარდაცვალება საშინელი ბრძოლაა, მაგრამ დახვრეტა — წარმოუდგენელი ტკივილი!**

— 38 წლის შემდეგ, უკვე 60 წლის გეგა კობახიძეს რას ეტყოდით?

— **ბეგბას ვეტყოდი, რომ ძალიან მენატრება — მეტს არაფერს!** დიახ, მენატრება, მაკლია ყოველ წამს, ყოველ წუთს, ყოველ დროს — როგორც გალაკტიონი იტყოდა. **ბეგბას სახლი ჩემი ერთ-ერთი საყვარელი ადგილია თბილისში, როცა მის სიახლოვეს მანქანით ჩავივლი, არ არსებობს, ცოტა ხნით არ შემაჩერო.** ამ დღეს იმ „ქემელის“ კოლოფი არ შემინახავს, მაგრამ ის წერილი, რაც იმ ღამით კარებში დამიტოვა: „ვიყავით მე, თინიკო და კომპანია“ — სახლში შევიტანე და არ გადამიგდია. მერე მოხდა ის საბედისწერო ისტორია — 18 ნოემბერს, მეორე დღეს — 19-ში ირაკლი ჩარკვიანის დაბადების დღე თენდებოდა. მას შემდეგ 38 წელი გავიდა. აღარც ირაკლია, 19 ნოემბერს მას 60 წელი შეუსრულდებოდა. მამამისი —**ბესლა ჩარკვიანიც** ამ დღეებში მივაბარეთ მიწას.

ესაუბრა
ქეთევან ხამიცაშვილი

მიხეილ ცაგარელი: ზოდიაქოს ნიშნები და მძღოლები

— კუროს ნიშნით დაბადებულმა მძღოლმა რა იცის შესანიშნავად? რატომ არის ბევრისთვის მისაბაძი მაგალითი ანდა რა თვალსაზრისით იკავებს პირველ ადგილს? ავტომობილებში რა იზიდავს და რას ანიჭებს პრიორიტეტს? ტყუპი საჭის მართვისას რით გამოირჩევა? ადვილად რას იცვლის? ხშირად რა ახასიათებს და როდის სჭირდება მხარდაჭერა? როგორია ტიპური კირჩხიბისთვის მანქანის მართვის სტილი? მისი ავტომობილისთვის რა არის დამახასიათებელი და ხშირ შემთხვევაში, რა შეიძლება იხილოთ ან მოიძიოთ მის სალონსა თუ ყუთში ანდა რომელ მანქანებს ანიჭებს უპირატესობას და რატომ? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი გვესაუბრება.

— განვაგრძოთ საუბარი იმის შესახებ, თუ რით გამოირჩევიან და რა თავისებურებანი ახასიათებთ ამა თუ იმ ზოდიაქოს ნიშნით დაბადებულებს საჭის მართვისას. ამ მიმართებით როგორია მათი მანქანის მართვის სტილი თუ პრიორიტეტები. როგორც აღნიშნეთ, ნელი სიჩქარით მოძრავი ვერძის ნახვა პრაქტიკულად შეუძლებელია, თუმცა, საკმაოდ ფრთხილია. კუროს ნიშნით დაბადებულზე რას გვეტყვით, როგორია მძღოლის ამპლუაში?

— **2.** გზებზე მოძრაობისას არც **კურო** გამოირჩევა დიდი მოთმინებით. უფრო მეტიც, თუ ცუდ განწყობაზეა, ყველაფერი აღიზიანებს — შუქნიშანი, სხვა მძღოლები, ფეხით მოსიარულენი, ჯებირები თუ განათება. ასეთ დროს საკმაოდ მოუთმენლია, მაგრამ მან კარგად იცის საკუთარი სისუსტე, ამიტომ ცდილობს, თავი გააკონტროლოს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ **კურო** საკმაოდ პროფესიონალურად ატარებს ავტომობილს. მას ძალუძს რთული სიტუაციებიდან ადვილად თავის დაღწევა, რთული მანევრის ჩატარება, რაც ბევრისთვის მისაბაძია. **კურო-მძღოლს** იზიდავს როგორც ფუფუნება, ისე სტილი, ამიტომ ისეთ მანქანას ირჩევს, რომლითაც გადაადგილება ერთდროულად კომფორტულიცაა, მოსახერხებელიც და სასიამოვნოც. ხშირად ძვირადღირებული ავტომობილით სარგებლობს, რომელსაც აქვს ნატურალური ტყავის სავარძლები, სალონის გასათბობი კონდიციონერი, ბარი, კომპიუტერული ნავიგაცია და სხვ. **კურო** კარგი მძღოლია, მანქანის ტარება უყვარს და მას განსაკუთრებულად უვლის. **უსაფრთხოების თვალსაზრისით კი პირველ ადგილს იკავებს, რადგან კანონები კარგად იცის და ავარიულ სიტუაციაში იშვიათად აღმოჩნდება ხოლმე.** ნიშანდობლივია, რომ რომელი მანქანაც არ უნდა ჰყავდეს, იქნება ეს **„ფორდ ტაურუსი“ თუ „ლენდ როვერჯი“,** ის აუცილებლად კარგად მოერგება და შეისისხლხორცებს მას. თუმცა, პრიორიტეტული მისთვის მაინც მაღალი კლასის მანქანები იქნება, როგორიც გახლავთ **„მერსედეს ბენცი“, „როლს როისი“** და სხვა.

3. ტყუპს ავტომობილის მართვის მხოლოდ ერთი დამახასიათებელი სტილი არ ბააჩნია. ის გზებზე გადაადგილებისას ხან ძალიან პუნქტუალური და ყურადღებიანია და ყველა დეტალს ამჩნევს, ხან სხვა რამეზე ფიქრობს და მხოლოდ მისთვის გასაგები ავტოპილოტით მოძრაობს. ტყუპ-მძღოლს მარტოობა არ უყვარს, ამიტომ ცდილობს, ვინმესთან ერთად იმგზავროს. ალბათ, შეგიმჩნევიათ მძღოლი, რომელიც მარტოა სალონში, თან მანქანას მართავს და თან ტელეფონით საუბრობს. **ტყუპი-მძღოლი** სწორედ ასე იქცევა. **ნიშანდობლივია, რომ ამ ნიშნის წარმომადგენლებს მრავალფუნქციურ რეჟიმში მუშაობა კარგად გამოსდით.** მათ ძალიან უყვართ ურთიერთობაც და გარემოს შეცვლაც, გადაადგილება და მოძრაობა, ამიტომ, რაც არ უნდა პარადოქსული იყოს, მშვენივრად ართმევს თავს ერთდროულად საუბარსაც და მანქანის მართვასაც. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ **ტყუპი** ადვილად იცვლის აზრს და რაიმე აზრის სწრაფად და სრულად ჩამოყალიბება უჭირს. გადაწყვეტილებას კი საკმაოდ სწრაფად იღებს, ამიტომაც, შესაძლოა, მოძრაობის მომენტში მიმართულების შეცვლა მოისურვოს და პოზიციის შეცვლა დაიწყოს, ერთი სავალი გზიდან მეორეზე გადავიდეს, მოულოდნელად მოხვევა დაიწყოს და სხვ. სწორედ ამ დროს ესაჭიროება მხარდაჭერა. ავტომობილებიდან ის უპირატესობას ადვილად მანევრირებად, ჰაეროვან და სწრაფ მანქანებს ანიჭებს, როგორიცაა **„ფოლკსვაგენი“ „ჯეტა“ ან „მაზდას“** ფირმის ენერგიული სპორტული **„მიატა“.** ძალიან მოსწონს ორკარიანი მანქანებიც.

4. კირჩხიბი-მძღოლის გზაზე შემჩნევა კი თითქმის შეუძლებელია, რადგან ნებისმიერი სახის მოძრაობისას, იქნება ეს გადატვირთული ტრასა თუ ნახევრად ცარიელი გზა, მისი მანევრირება მშვიდი და არაფრით გამორჩეულია, ამიტომაც არც საკუთარ თავს და არც სხვას დისკომფორტს არ უქმნის. მოგეხსენებათ, რომ **კირჩხიბს** თავისი საცხოვრებელი ადგილი ძალიან უყვარს და ცდილობს, საჭიროების გარეშე სახლიდან არ გავიდეს, მაგრამ, როცა გადის, ჭუჭყიანიც სურს, ასევე დაცულად იგრძნოს თავი. ამაში კი მას ავტომობილი ეხმარება. შესაბამისად, გარემო მის მანქანაში ისეთივე მყუდრო და კომფორტული უნდა იყოს, როგორც საკუთარ სახლში აქვს. **კირჩხიბი-მძღოლის** სალონში ხშირად შეგიძლიათ იხილოთ თილისმები, სხვადასხვა გამოსახულებები ან სათამაშოები. ყუთში ყოველთვის იპოვით პირველადი მოხმარების საგნებს, ოჯახის წევრთა ფოტოებს, სხვადასხვა საბის მოწყობილობას, რომელიც უფრო გამოსადეგია სახლში ან პიკნიკის დროს, მაგრამ მისთვის მთავარია, რომ მანქანა იყოს იმდენად კომფორტული, რომ შორეული მოგზაურობის შემთხვევაში მასში შესაძლებელი იყოს სრულფასოვნად ცხოვრება. ამ მიზნით კი არაერთი ავტომობილია გამოსადეგი. მათ შორის, **„ჯიპები“. კირჩხიბის ნიშნით** დაბადებულნი სტატისტიკის მიხედვით, ყველაზე ხშირად უპირატესობას ანიჭებენ **„ფოლკსვაგენს“.** ამასთან, მათი მანქანა უმთავრესად ღია ფერისაა — თეთრი ან ვერცხლისფერი.

რუბრიკას უძღვება
მარინა მერკვილაძე

15-21 ნოემბრის ასტროლოგიური პროგნოზი

ვერძი (21.03-20.04)
დაბალი ენერგეტიკული მაჩვენებელი გაქვთ, ამიტომ გადაღლასა და მძიმე ფიზიკურ ვერჯიშს მოერიდეთ. მატერიალური მდგომარეობაც ჯერჯერობით არ შეიცვლება, ამიტომ ხარჯი აკონტროლეთ. სამსახურში პრობლემის წარმოქმნისას დახმარებისთვის გამოცდილ ადამიანებს მიმართეთ. სიყვარულისა და ოჯახური სიმყუდროვის მოთხოვნილება გაიზრდება. პირადი ურთიერთობებიც გაუმჯობესდება, შვილებს, შესაძლოა, თქვენი დახმარება დასჭირდეთ.

კურო (21.04-20.05)
ახალგაცნობილებთან სიფრთხილე გმართებთ. რთულ სიტუაციაში აუცილებელი იქნება არჩევანის გაკეთება, რაზეც თქვენი მომავალი კეთილდღეობაა დამოკიდებული, საქმეები თანამიმდევრულად და დინჯად შეასრულეთ, დიდ ხარჯს მოერიდეთ, სასიყვარულო ურთიერთობის ჩამოყალიბების ან გაღრმავების შემთხვევაში, შინაგანი შიშებისგან გათავისუფლდებით, ხანმოკლე მოგზაურობა კი როგორც საქმეზე, ისე ჯანმრთელობაზე სასიკეთოდ აისახება.

ტყუპი (21.05-22.06)
ენერგოპოტენციალი დაგიქვეითდებათ, რის გამოც ჯანმრთელობის შენარჩუნებისთვის მეტი ყურადღება და ძალისხმევა იქნება საჭირო, კონკურენტებსა და ფარულ მტრებს არ აჭყვეთ. ეცადეთ, როგორც სამსახურში, ისე ბიზნესსა და პირად ურთიერთობებში არსებული მდგომარეობა შეინარჩუნოთ. ფინანსებთან დაკავშირებით ნუ გარისკავთ, თუმცა, წვრილმანი შენაძენი ყოფას გაგილამაზებთ. შორეულ ქვეყანაში მოგზაურობა დადებითად წარიმართება. ახალი სასიყვარულო კავშირი კი არასტაბილური იქნება და მალე მოგბეზრდებათ.

კირჩხიბი (23.06-22.07)
ხარჯები გააკონტროლეთ. კოლეგებთან უთანხმოება, შესაძლოა, ფარული მოწინააღმდეგეების ხრიკებთან იყოს დაკავშირებული. ხანმოკლე მოგზაურობებისთვის კარგი პერიოდია. შეხვედრა-გადაადგილებანი ახალი კავშირების დამყარებაში დაგეხმარებათ, შეყვარებულის პრობლემის მიმართ ყურადღებიანი იქნებით, რაც თქვენს ურთიერთდამოკიდებულებას უფრო გულთბილს გახდის.

ლომი (23.07-23.08)
ეცადეთ, კოლეგები და ხელმძღვანელობა ნაკლებად აკრიტიკოთ, რათა მათთან ურთიერთობა არ გაიფუჭოთ, განმარტოებას ერიდეთ და შეეცადეთ, ძველი კავშირები აღადგინოთ, რათა თქვენი იდეების განხორციელებისას მეტი მოგება ნახოთ. ამ პერიოდში ორგანიზმი დასუსტებულია, ფიზიკური გადაღლა ძველ დაავადებას გაამწვავებს, ამიტომ, საჭიროებისას მკურნალობა დროულად ჩაიტარეთ. თავისუფალი დრო კი დაუთმეთ მეუღლეს, ბავშვებს ან საყვარელ ადამიანს.

ქალწული (24.08-23.09)
საქმეთა სიუხვე დასვენების საშუალებას არ მოგცემთ. ბევრ ადამიანთან ურთიერთობაც გაგიჭირდებათ. პრობლემების მოგვარებისას უკიდურესობებს მოერიდეთ. კონკურენტებიც გააქტიურდებიან, ამიტომ თადარიგი წინასწარ დაიკავეთ. ეცადეთ, ოჯახური სიმყუდროვე შეინარჩუნოთ, პროვოკაციებს არ აჰყვეთ. ბავშვებს მეტი ყურადღება დაუთმეთ. კარგი იქნება, თუ ამ პერიოდში დროს დაუთმობთ დასვენებას, ჯანმრთელობის აღდგენასა და მოგზაურობას.

15-21 ნოემბრის ასტროლოგიური პროგნოზი

სასწორი (24.09-22.10)
ნაკლებშედეგიანი იქნება ნებისმიერი საქმიანობა, მაგრამ გულს ნურაფერზე აიცრუებთ. ეცადეთ, არ გადაიღალოთ, ხშირად დაისვენეთ და ყველანაირი შეხვედრა და მოგზაურობა გადადეთ. შესაძლოა, რჩეული უფრო პრაქტიკულად მიუდგეს თქვენს ურთიერთობას. პერიოდულად დაისვენეთ და პროფილაქტიკური მკურნალობის კურსი ჩაიტარეთ. შეყვარებულთან უთანხმოების შემთხვევაში კი ეცადეთ, უფრო მომთმენი და გამგებიანი იყოთ.

ღრიანკალი (23.10-22.11)
სხვათა აზრს ყურადღება მიაქციეთ და გამოცდილ ადამიანთა რჩევებიც გაითვალისწინეთ. მისტიკის შეცნობის სურვილმა, ეცადეთ, რეალობის შეგრძნება არ დაჩრდილოს. კვალიფიკაცია აიმაღლეთ და ახალი კავშირები დაამყარეთ. ფიზიკური დატვირთვა, ბევრ ადამიანთან ურთიერთობა და მოგზაურობა არ არის რეკომენდებული, რადგან ორგანიზმი დასუსტებულია. სასიყვარულო პარტნიორთანაც უფრო სერიოზული და თავშეკავებული იქნებით.

მშვილდოსანი (23.11-21.12)
რთული პერიოდია კოლეგებთან კეთილგანწყობის შესანარჩუნებლად, მოერიდეთ სარკაზმსა და კრიტიკას. რადიკალიზმი თქვენს წინსვლასა და წარმატებას ხელს შეუშლის. ეცადეთ, არ ინერვიულოთ, რათა ჯანმრთელობა არ გაიუარესოთ. აუცილებელი ხარჯი ახლობლებთან კონფლიქტს გამოიწვევს. თუ შეყვარებული მთელ ყურადღებას ვერ დაგითმობთ, უკმაყოფილებას ნუ გამოთქვამთ.

თხის რქა (22.12-19.01)
გექნებათ უამრავი საქმე, რაც საჭიროებს სწრაფ გადაწყვეტილებას. სამსახურში ხრიკებისა და ინტრიგების შემჩნევისას ინტუიციას უსმინეთ და არავისთან იკონფლიქტოთ. მეგობრები ყოველმხრივ დახმარებას გაგიწევენ. თქვენს კარიერასა და პირად ურთიერთობაზე იმოქმედა და სტილის შეცვლა სასიკეთოდ აისახება. მოგზაურობისას მოსალოდნელია გაუთვალისწინებელი სირთულეები, ამიტომ წინდახედულობა გმართებთ.

მერწყული (20.01-18.02)
ზომიერად იმუშავეთ, რათა ჯანმრთელობას არ ავნოთ. ფინანსური საბუთების მიმართ მეტი ყურადღება გამოიჩინეთ, რათა შეცდომა არ დაუშვათ და ვალის აღება არ მოგიწიოთ. ხელშეკრულების დადების ან პარტნიორული ურთიერთობის დამყარებისას უცნობებთან ნუ იურთიერთებთ, რათა არავინ მოგატყუოთ. შეყვარებულთან ნუ იკამათებთ და თქვენი მოსაზრებანი არგუმენტებით დაასაბუთეთ.

თევზები (19.02-20.03)
დამოუკიდებლობის მოთხოვნილება იმატებს და განცალკევებით ცხოვრებასა და მუშაობას მოისურვებთ. თუმცა, ამისთვის დამატებითი ფინანსების მოძიება და ძველი კავშირების გამყარება მოგიწევთ. ეცადეთ, კოლეგებისა და პარტნიორების მიმართ სამართლიანობა შეინარჩუნოთ და დაიცვათ. კარგი პერიოდია სიყვარულისთვის, გართობისა და დასვენებისთვის. მყარი ჯანმრთელობა ძველი საქმეების დასრულებაში დაგეხმარებათ.

რას უქადის ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

15 ნოემბერი, ორშაბათი

მზე იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 06.50 საათზე, ჩადის 16.41 საათზე. **მთვარე** ვერძის ზოდიაქოშია. ამოდის 15.06 საათზე, ჩადის 16 ნოემბერს 02.37 საათზე (მთვარის მე-12 დღე იწყება 16.40 საათზე. მე-2 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** ამ კვირაში პლანეტა **ურანისა** და პლანეტა **ქირონის** დაძაბული ურთიერთობა **შავ მთვარესთან** ხელს შეუშლის მნიშვნელოვან მოლაპარაკებებს, მათ შორის, ეკონომიკის სფეროში. მზად იყავით პარტნიორებთან ან ოპონენტებთან ფინანსური გაუგებრობებისთვის. ოჯახს მეტი დრო დაუთმეთ, ნუ გადაიღლებით. ხელმძღვანელისა და კოლეგებისგან დახმარებას ნუ ელით. ნეგატიური დღეა ქორწინებისთვის, ხელშეკრულების დასადებად, ფინანსური გარიგებისთვის, სტომატოლოგიური პროცედურებისთვის, საგზაო წესების დარღვევისთვის. კარგი დღეა საყოფაცხოვრებო ნივთების, სპორტული ინვენტარის შესაძენად, მგზავრობისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თავი, სისხლძარღვები, კბილები. **ქვები:** ლალი, იაგუნდი, წითელი იასპი, ძოწი, ფირუზი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, თხის რქისთვის.

16 ნოემბერი, სამშაბათი

მზე იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 06.51 საათზე, ჩადის 16.40 საათზე. **მთვარე** ვერძის ზოდიაქოშია. ამოდის 15.28 საათზე, ჩადის 17 ნოემბერს 03.39 საათზე (მთვარის მე-13 დღე იწყება 16.49 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 19.52 საათიდან 23.59 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს ელექტრომოწყობილობასთან და მჭრელ საგნებთან მიმართებით მეტი სიფრთხილე გმართებთ. ექსპერიმენტს მოერიდეთ და ტექნიკურ დანადგარებს გაუფრთხილდით. აკონტროლეთ ემოციები, კამათისკენ მიდრეკილება. არ არის სასურველი მოლაპარაკებების წარმოება, ქორწინება, საფინანსო ოპერაციები, კაპიტალდაბანდება, ხელშეკრულების დადება, პლასტიკური ოპერაციები, სტომატოლოგიური პროცედურები, თმის შეჭრა-შეღებვა. ნუ გადატვირთავთ ნერვულ სისტემასა და თვალებს. კარგი დღეა ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, საყოფაცხოვრებო ნივთების, სპორტული ინვენტარის შესაძენად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თავი, გრძნობათა ორგანოები, სისხლძარღვები, კბილები. **ქვები:** ლალი, იაგუნდი, ძოწი, ტოპაზი, წითელი იასპი. **პოზიტიური დღეა** ტყუპისთვის, ლომისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

17 ნოემბერი, ოთხშაბათი

მზე იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 06.53 საათზე, ჩადის 16.39 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (06.19) კუროს ზოდიაქოში. ამოდის 15.50 საათზე, ჩადის 18 ნოემბერს 04.41 საათზე (მთვარის მე-14 დღე იწყება 16.58 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 01.00 საათიდან 06.19 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს ყოველგვარ ექსპერიმენტს მოერიდეთ. მაღალია ტრავმების, ავარიების ალბათობა. ყურადღებით იყავით, განსაკუთრებით ელექტრომოწყობილობებთან მიმართებით. კარგი დღეა სასიკეთო საქმეებისთვის, ქორწინებისთვის, მგზავრობისთვის, უძრავი ქონების, სამშენებლო მასალების, საიუველირო ნაწარმის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, ავეჯის, პარფიუმერიის შესაძენად, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის. გარკვეულ სიტუაციაში დეტალური გარკვევისთვის არ არის სასურველი გარისკვა, სულსწრაფობა, ორპირ ქარში ყოფნა. მაღალია გაციების, ანგინის, ყურის ანთების ალბათობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი. **ქვები:** აქატი, მალაქიტი, ონიქსი, ზურმუხტი, მარგალიტი. **პოზიტიური დღეა** თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, სასწორისთვის.

18 ნოემბერი, ხუთშაბათი

მზე იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 06.54 საათზე, ჩადის 16.38 საათზე. **მთვარე** კუროს ზოდიაქოშია. ამოდის 16.14 საათზე, ჩადის 19 ნოემბერს 05.43 საათზე (მთვარის მე-15 დღე იწყება 17.09 საათზე. მე-2 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს ყურადღებით იყავით ელექტროგაყვანილობასთან მიმართებით. მაღალია მოკლე ჩართვის ალბათობა, უსაფრთხოების წესები დაიცავით, მით უფრო, რომ ხვალინდელი **მთვარის დაბნელებისა და სავსემთვარეობის** წინა დღეა. ინფორმაცია შეამოწმეთ. საიდუმლოს ნუ გათქვამთ. აკონტროლეთ საფულე. იმოქმედეთ პრინციპით „შვიდჯერ გაზომე, ერთხელ გაჭერი“. არ არის სასურველი ქორწინება, სულსწრაფი გადაწყვეტილების მიღება, სარისკო ქმედებანი, ახალი საქმის დაწყება, ხელშეკრულების დადება, ახალი ნაცნობობა. კარგი დღეა ყოველდღიური საქმეებისთვის, უკვე დაწყებული საქმის გასაგრძელებლად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი. **ქვები:** აქატი, მალაქიტი, გიშერი, ონიქსი, ყვითელი იასპი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის. **ნეგატიურია** ტყუპისთვის, მშვილდოსნისთვის.

19 ნოემბერი, პარასკევი

მზე იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 06.55 საათზე, ჩადის 16.37 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (18.34) ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 16.41 საათზე, ჩადის 20 ნოემბერს 06.46 საათზე (**სავსემთვარეობაა,** პიკი — 12.58 საათზე. ამ დროს იწყება მე-3 ფაზა). **მთვარის დაბნელებაა,** პიკი — 12.59 საათზე. მე-16 დღე იწყება 17.24 საათზე). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 12.59 საათიდან 18.34 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** მძიმე ენერგიების ზემოქმედების დღეა. მოიშორეთ ცუდი აზრები, ემოციები აკონტროლეთ. მაღალია ტრავმების, ავარიების, კონფლიქტების, ცდუნებების, შეცდომების ალბათობა. სავსემთვარეობა და მთვარის დაბნელება კუროს ზოდიაქოში განაპირობებს ეკონომიკური სტრატეგიის შეცვლას, საბანკო სისტემის რეფორმის აუცილებლობას, უარის თქმას მომავალ წელს საკრედიტო ეკონომიკაზე ანდა მის მნიშვნელოვნად შემცირებას. დღეს არ არის სასურველი გადაღლა, ეჭვიანობა, ახალი საქმის დაწყება, ხელშეკრულების დადება, რაიმეს შეძენა. კარგი დღეა მავნე ჩვევისგან გათავისუფლებისთვის, შემოქმედებისთვის. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას. მეტი ყურადღება მართებთ კუროს, ლომს, ღრიანკალსა და მერწყულს. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი. **ქვები:** გიშერი, აქატი, მალაქიტი, აკვამარინი, ტოპაზი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის.

20 ნოემბერი, შაბათი

მზე იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 06.56 საათზე, ჩადის 16.37 საათზე. **მთვარე** ტყუპის ზოდიაქოშია. ამოდის 17.13 საათზე, ჩადის 21 ნოემბერს 07.48 საათზე (მთვარის მე-17 დღე იწყება 17.44 საათზე. მე-3 ფაზა). **ტენდენციები:** დღეს ემოციები აკონტროლეთ, ნუ იკამათებთ. ცდუნებებს ნუ აჰყვებით. არ არის სასურველი ქორწინება, სასიყვარულო კონტაქტები, უძრავი ქონების შეძენა, ახალი თანამშრომლის მიღება. მაღალია დაცინვის, ჭორების, ინტრიგების, სიცრუის, არასწორი ინფორმაციის მიღების ალბათობა, მოერიდეთ უჰაერო სივრცეში ყოფნას, საიდუმლო ინფორმაციის გამხელას, ახალი საქმის დაწყებას. კარგი დღეა სამეცნიერო კვლევისთვის, პიარ-კამპანიისთვის, მსუბუქი ფიზიკური ვარჯიშებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ფილტვები, ბრონქები, მხრები, ხელები. **ქვები:** ტოპაზი, აკვამარინი, საფირონი, ჰიაცინტი, ლაბრადორიტი, ბერილი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის.

21 ნოემბერი, კვირა

მზე იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 06.57 საათზე, ჩადის 16.36 საათზე. **მთვარე** ტყუპის ზოდიაქოშია. ამოდის 17.51 საათზე, ჩადის 22 ნოემბერს 08.48 საათზე (მთვარის მე-18 დღე იწყება 18.12 საათზე. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 19.53 საათიდან 23.59 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს მოერიდეთ კამათს, მით უფრო ოფიციალურ პირთან. წესები და კანონები დაიცავით. მაღალია ჭორების, ინტრიგების ალბათობა. არ არის სასურველი უძრავი ქონების შეძენა, ქორწინება, სასიყვარულო კონტაქტები, უჰაერო სივრცეში ყოფნა. კარგი დღეა სარეკლამო და პიარ-კამპანიისთვის, მიმოწერისთვის, აუქციონისა და კონფერენციებისთვის, საკომუნიკაციო აპარატურის შესაძენად, სწავლისთვის, მშენებლობისთვის, მასაჟისა და საუნისთვის, დალაგება-დასუფთავებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ფილტვები, ბრონქები, მხრები, ხელები. **ქვები:** ტოპაზი, ციტრინი, ქარვა, აკვამარინი, ნეფრიტი. **პოზიტიური დღეა** ტყუპისთვის, ლომისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის, თევზებისთვის.

„ასავალ-დასავალის“ რედაქცია სამძიმარს უცხადებს **ჯონდი ბაღათურიას** მეუღლის

ნათია ფოფხაძის

გარდაცვალების გამო.

სააქკლესიო კალენდარი

15 ნოემბერი. ორშაბათი. მოწამეთა: აკვინდინესი, პიგასისა, აფთონისა, ელპიდიფორესი, ანემპოდისტესი და მათთანათა; ღირსისა მარკიანე კვირინელისა.

✝ **16 ნოემბერი. სამშაბათი. ღირსისა ნიკოლოზისა, ქართველთა მნათობისა, აკოლოთიათა აღმწერელისა;** დიდმოწამე გიორგის ტაძრის განახლება ლუდიასა შინა, სადა მდებარე არს პატიოსანი გვამი მისი; მოწამეთა: აკეფსიმე ეპისკოპოსისა, იოსებ ხუცისა და აითალა დიაკონისა; მოწამე მხედართა: ატიკესი, აღაპისა, ევდოქსისა, კატერისა, ისტუკარისა, პაქტოვისა, ნიქტოპოლიონისა და მოყვასთა მათთა; ღირსისა აკეფსიმესი; მართლისა სნანდულიასი.

✝ **17 ნოემბერი. ოთხშაბათი. წმიდათა და მართალთა ქრისტეს საფლავის მცველთა: იოანე, სტეფანე და ესაია ქართველთა;** ღირსისა იოანიკე დიდისა; მღვდელმოწამეთა ნიკანდრესი, მირონელი ეპისკოპოსისა და ერმე ხუცისა.

✝ **18 ნოემბერი. ხუთშაბათი.** მოწამეთა გალაქტიონისა და ეპისტემიასი; მოციქულთა: პატრობისა, ერმისა, ლინესი, გაიოზისა, ფილოლოგისა, 70-თაგანთა; გრიგოლისა, ალექსანდრიელი მთავარეპისკოპოსისა; იონასი, ნოვგოროდელი მთავარეპისკოპოსისა.

✝ **19 ნოემბერი. პარასკევი.** პავლესი, კონსტანტინოპოლელი პატრიარქისა, აღმსარებელისა; ქალწულმოწამეთა: ტეკუსასი, ალექსანდრასი, პოლაქტიასი, კლავდიასი, ევფროსინესი, ათანასიასი და მატრონასი; ღირსისა ლუკა ტავრომენიელისა; ღირსისა ვარლამ ხუტინსკელისა.

✝ **20 ნოემბერი. შაბათი.** მელიტინელ 33-თა მოწამეთა: იერონისა, ისიხისა, ნიკანდრესი, ათანასესი, მამანტისა, ბარაქისა, კალინიკესი, თეაგენესი, ნიკონისა, ლონგინოზისა, თეოდორესი, ვალერისა, ქსანთესი, თეოდულესი, კალიმაქესი, ევგენისა, თეოდოქესი, ოსტრიქისა, ეპიფანესი, მაქსიმიანესი, დუკიტესი, კლავდიანესი, თეოფილესი, გიგანტისა, დოროთესი, თეოდოტესი, კასტრიკისა, ანიკიტესი, თემელისა, ევტიქისა, ილარიონისა, დიოდოტესი და ამონიტესი; ღირსისა ლაზარე გალისიელისა, სასწაულმოქმედისა; მოწამისა თეოდოტესი; მოწამეთა: მელასიპესი და კასინასი და ძისა მათისა ანტონინესი; მოწამეთა: ავქტისა, ტავრიონისა და თესალონიკისა.

✝ **21 ნოემბერი. კვირა. კრება წმიდისა მთავარანგელოზისა მიქაელისა და გაბრიელისა და სხვათა წმიდათა უხორცოთა ზეცისა ძალთა.** მთავარანგელოზთა: რაფაელისა, ურიელისა, სელაფიელისა, იეგუდიელისა, ვარახიელისა და იერომიელისა. მთავარანგელოზების ეკლესიების დღესასწაული: ქუთაისის მწვანეყვავილას, მენჯის, ალგეთის, ჯუმათის, დიმის, ერკეთის, გრემის, შუამთის. **მთავარანგელოზობა.**

გამოცდილი ბუჯინისტი:

იყიდის ძველ, 1920 წლამდე გამოშვებულ, წიგნებს რუსულ ენაზე — 1500 ლარად, ჟურნალებს — 1945 წლამდე გამოშვებულს, პლაკატებს, არქივებს, მეტალის თოჯინებს და სხვა სათამაშოებს (ბეწვიანების გარდა) 1980 წლამდე გამოშვებულს.

591-75-35-38

32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტჯორდებისა და კროსჯორდის პასუხები:

თარაზულად: 4. ქაფჩა; 8. პანამა; 11. კაპილარი; 12. რაიხი; 13. ლერწი; 14. რომენი; 15. სემინარი; 16. მზერა; 17. კოალა; 18. მონეტა; 19. კალაპოტი; 23. ნაომი; 24. პასი; 26. დენევი; 27. ნარკომანი; 28. ბაგა; 30. ჯუზეი; 31. მიდია; 34. არავითარი; 35. რომეო; 36. ხუარე; 37. კაკაო; 38. ამირეჯიბი; 43. ტბორი; 44. ჟიგა; 46. კარმა; 47. ალიმენტი; 48. ჭირი; 50. კამბალა; 51. ქიმი; 53. დინამიტი; 57. ნედლი; 58. ფიგუ; 59. მესა; 60. მიკლოგია; 61. სირისტი; 62. ურჩი; 63. ამინ.

შვეულად: 1. კარტა; 2. ტიკინი; 3. იამატო; 4. ჭილიკი; 5. ფარგანა; 6. არიმანი; 7. მინესოტა; 8. პირამიდა; 9. ნომინანტი; 10. მინოტავრი; 19. კანტატა; 20. ლორალი; 21. პრომილე; 22. ტრაბახი; 24. პიჭინი; 25. ხიშარი; 28. ბერეტა; 29. გომბორი; 31. მოკიკი; 32. დეკარტი; 33. არომატი; 39. მულტი; 40. რამპა; 41. ჯანყი; 42. ბზიკი; 44. ყამწი; 45. გრადუსი; 48. ჭანარი; 49. როდოსი; 51. ქიმია; 52. მისხი; 53. დუმა; 54. ნეკი; 55. მოლა; 56. ტოგა; 58. ფაუ.

დუმადაფაშაირისიმონიავაგონიომარიოტიტიარაკი გორილამაზინაპალმირადარიალიკაპიტანინიუსენი

რუსეთის პარლა-მენტი	სასკოლო ინვენტარი	ექსპრომტი	საეკლესიო თანამდებობათა ყიდვა-გაყიდვა	მატარებლის შემადგენელი ნაწილი	ზღვის დიდი კიბო	ყურის ანთება	ზღაპრული შინაარსის იგავი

ორი კამათ-ელზე	იშტა	დიდებულის საპატიო ტიტული ოსმალეთში	ერთგვარი კანფეტი	ქართველი მსახიობი მამაკაცი	სადურგლო სახაზავი	ოტელი თბილისში	რომის პაპის გვირგვინი	დას-ტური სიტყვა



თარაზულად: 4. კალატოზის კედლის სალესი იარაღი; 9. ფართოფარფლიანი საზაფხულო ჭუდი; 11. წვრილი სისხლძარღვი; 12. გერმანიის იმპერია; 13. ვაზის ერთწლიანი რქა; 14. ბოშათა თეატრი მოსკოვში; 15. სტუდენტთა ჯგუფური მეცადინეობა; 16. დვალის ოფთალმოლოგიური კლინიკა; 17. ჩანთოსანი დათვი; 18. ლითონის ფულია; 19. მდინარის სადენი ჩაღრმავება; 23. მოდელი ... კემბბელი; 24. ბურთის გადაცემა თანაგუნდელისათვის; 26. ფრანგი მსახიობი ქალი; 27. ნარკოტიკების მომხმარებელი; 28. საკვების ჩასაყრელი დაბმული საქონლისათვის; 30. ყავის მოსადულებელი ჭურჭელი; 31. წყლის სანიტარი მოლუსკი; 34. უარყოფითი ნაცვალსახელი: არცერთი, არაფერი; 35. ჯულიეტას სატრფო (შექსპირი); 36. ფრანგი მსახიობი მამაკაცი; 37. შოკოლადის ხე; 38. ქართველი მწერალი („დათა თუთაშხია“); 43. დაგუბებული წყალი, გუბე; 44. ინგლისური წარმოშობის ცეკვა; 46. ინდუიზმის ცენტრალური მცნება; 47. ხარჯი, რომელსაც ოჯახს მოშორებული პირი უხდის სარჩენად; 48. ცხოველთა მწვავე გადამდები დაავადება; 50. თევზის სახეობა; 51. ვარსკვლავის წვეტი; 53. ასაფეთქებელი ნივთიერება; 57. ახალშემოსული, ქორფა (ბოსტნეული, ხილი); 58. პორტუგალიელი ფეხბურთელი; 59. კათოლიკური წირვა; 60. სოკოების შემსწავლელი ბოტანიკის ნაწილი; 61. ნესტი, ტენი; 62. თავნება, დაუმორჩილებელი; 63. ლოცვის დასკვნითი სიტყვა.

შვეულად: 1. დახურული ოთხთვლიანი ეტლი; 2. დედოფალა; 3. წმინდა იაპონური იეროგლიფები; 4. ოხუნჯი, ხუმარა; 5. ღამის პატარა პეპელა; 6. სპარსული ბოროტების ღვთაება; 7. აშშ-ის შტატი; 8. რასაც წარმოადგენს ფარაონების აკლდამა; 9. ნომინაციაზე წარდგენილი პირი; 10. მეფე მინოსის ურჩხული (ბერძნულ მითოლოგიაში); 19. დიდი ვოკალურ-ინსტრუმენტული საზეიმო ხასიათის მუსიკალური ნაწარმოები; 20. ფრანგული პარფიუმერული ფირმა; 21. რიცხვის მეათასედი ნაწილი (პროცენტის მეათედი); 22. თავის ქება, ბაქიაობა; 24. გამარტივებული ინგლისური ენა; 25. ზმანება; 28. იტალიური პისტოლეტი; 29. ალაზნისა და ივრის წყალგამყოფი ქედი; 31. გაუმჯობესებული მოპედი; 32. ფრანგი ფილოსოფოსი; 33. კეთილსურნელება; 39. რთული სიტყვის ნაწილი, ნიშნავს მრავალჯერობას; 40. სცენის გასანათებელი მოწყობილობა; 41. აჯანყება; 42. კრაზანა; 44. ზოგი საეკლესიო ლოცვის კრებული; 45. ტემპერატურის საზომი ერთეული; 48. თევზის სახეობა; 49. საბერძნეთის კუნძული; 51. საბუნებისმეტყველო მეცნიერება; 52. შორეული ნათესავი; 53. რუსეთის პარლამენტი; 54. პატარა თითი; 55. მუსლიმანთა რელიგიური კულტის მსახური; 56. ძველი რომაული ტანსაცმელი; 58. ფაშისტური გერმანიის რაკეტა.

კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე

მაიმუნის სახეობა	იტალიელი მსახიობი ქალი	სანკტ-პეტერბურგის პოეტური სახელი	თერგის ხეობის მონაკვეთი ყაზბეგის რაიონში	სამხედრო ჩინი	შიშველი სხეულის გამოსახულება ხელოვნებაში	სნეულება, ანუ

ქალაქი შიდა ქართლში	გი დე მოპასანი – „.... მეგობარი“	ლაბისებრი საწვავი პროდუქტი	ლოკატორი	ხის ალვისრი	მთრიმლავი ნივთიერება	ფატმანის ქმარი („ვეფხის-ტყაოსანი“)

ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...



სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ. მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.

რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჭარბით კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.

დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზეკავშირული

ასავალ დასავალი

2021 წლის 15-21 ნოემბერი №47 (1407)

გამოდის ორშაბათობით

ISSN 2233-3800

მეღიაჯოხპოხაცია "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

სარედაქციო კოლეგია

აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელი ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.

წერილები გამოგზავნეთ მისამართზე: **თბილისი, 0160, „ასავალ-დასავალი“.**
ტელეფონები: **215-25-25; 215-35-35; (+995) 570-50-50-50; (+995) 570-50-50-70**
„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.ge** ან **www. asdas.ge**
ელ-ფოსტა: **mail@asavali.ge** ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე:
www. facebook.com/Asavali.Ge გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**

გაზეთი გამოდის COVID-19-ის ბიოტექნიკურ-დივერსიული პანდემიის ხანაში